

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინის ფაკულტეტი

სალომე ხუბულავა

სელენის ნაწილობრივი დოზების 10%-იანი სუსპენზიის ეფექტურობა ექსპერიმენტული შაქრიანი  
დიაბეტის მონო და ინსულინთან კომბინირებული მკურნალობისას და მისი უსაფრთხოება.

მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ნოდარ ხოდელი

სამეცნიერო თანახელმძღვანელი: პროფესორი გიორგი ფიჩხაია

თბილისი

2023

## 1.1. აბსტრაქტი

**შესავალი:** შაქრიანი დიაბეტი(შ.დ) ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადებაა მსოფლიოში არაგადამდებ დაავადებათა შორის. დაავადებულთა რიცხვი ისევე როგორც შ.დ.-ის გართულებების გამო გარდაცვლილთა რაოდენობა მუდმივად იზრდება. შ.დ.-ით დაავადებულთა უმრავლესობას აღნიშნება სერიოზული გართულებები, რაც შრომისუნარიანობის დაქვეითებას იწვევს, ასევე როგორც პაციენტის ისე სახელმწიფოს მხრიდან დიდ დანახარჯებს უკავშირდება. შაქრიანი დიაბეტის სწრაფი გავრცელება, გართულებების სიმრავლე მოითხოვს მკურნალობაში ხელმისაწვდომი და ეფექტური ტექნოლოგიების ჩართვას. ბოლო წლებში აღნიშნულ ტექნოლოგიებს შორის მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ნანოტექნოლოგიები. ნანონაწილაკების გამოყენებამ ბიოლოგიასა და მედიცინაში სულ უფრო გაიკვალა გზა. დიაბეტთან მიმართებაში კი აღსანიშნავია სელენის ნანონაწილაკები. სელენი ჩვენი ორგანიზმის ერთ ერთი მნიშვნელოვანი მიკროელემენტია. არსებობს სელენის შემცველი ცილები რომელთა შორის აღსანიშნავია ძლიერი ანტიოქსიდანტი- გლუტათიონპეროქსიდაზა (GPX). შაქრიანი დიაბეტის დროს ორგანიზმში იზრდება თავისუფალი რადიკალების რაოდენობა. აღსანიშნავია ოქსიდაციური სტრესის კავშირი შაქრიანი დიაბეტის გვიანი გართულებების განვითარებაში. სელენის დეფიციტი აქვეითებს ანტიოქსიდანტ გლუტათიონპეროქსიდაზას GPX-ის რაოდენობას და შესაბამისად ზრდის ოქსიდაციურ სტრესს. ოქსიდაციურ სტრესს ასევე ზრდის ჰიპერგლიკემია. ამავდროულად მცირდება ანტიოქსიდანტების: სუპეროქსიდ დისმუტაზას(SOD), გლუტათიონ პეროქსიდაზას(GPx) და კატალაზას აქტივობა, რაც თავის მხრივ აქვეითებს ანტიოქსიდანტურ დაცვას. სელენი(Se) კერძოდ კი სელენოციტინი აუცილებელი კომპონენტია GPx შემადგენლობაში. პანკრეასი განსაკუთრებით მგრძობიარეა სელენის დეფიციტის მიმართ. GPx დეფიციტს შეიძლება ერთ-ერთი მთავარი როლი ქონდეს შ.დ.-ის გართულებების პათოგენეზში-ოქსიდაციური

სტრესის გაზრდის გამო. ამიტომაც გამოითქვა მოსაზრება ანტიოქსიდანტების გამოყენების თაობაზე შ.დ.-ის შორეული გართულებების პრევენციის და მკურნალობის მიზნით. შაქრიანი დიაბეტის მკურნალობა სელენის ნანონაწილაკებითა და ტრადიციული მკურნალობის მეთოდებით აქტუალურ საკითხად რჩება, ვინაიდან ჯერ არ ჩატარებულა ექსპერიმენტული კვლევა დიაბეტით დაავადებულ ვირთაგვებზე მეტალური სელენის ნანონაწილაკების სუსპენზიის შედარებით მაღალი დოზების გამოყენებით. აღნიშნული საშუალებას მოგვცემს ვიმოქმედოთ სელენის ნანონაწილაკების სუსპენზიის დოზების დიდი დიაპაზონში რათა შევიმუშაოთ დიაბეტის გართულებების კომბინირებული მკურნალობის კიდევ ერთი ეფექტური, ხელმისაწვდომი და უსაფრთხო საშუალება.

**მასალა მეთოდები:** შემუშავდა სელენის ნანონაწილაკების მიღების მარტივი, იაფი და ხარიახიანი მეთოდი მექანო-სონოქიმიური მეთოდით(ლაბორატორიული ნანოწისქვილი და ულტრაბგერითი ჰომოგენაიზერი). განხორციელდა სელენის ნანონაწილაკების ფიზიკო-ქიმიური თვისებების შესწავლა (მასკანერებელი და ტრანსმისიული ელექტრონული მიკროსკოპები, დინამიური შუქის გამფანტავი და ზეტა საიზერი). დადგინდა სელენის ნანონაწილაკების სუსპენზიის მაქსიმალური დოზები და თერაპიული დიაპაზონი, შესწავლილ იქნა სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიის გავლენა ბიოქიმიურ და მორფოლოგიურ მაჩვენებლებზე მისი ერთჯერადი და მრავალჯერადი მიღებისას in vivo ექსპერიმენტში მღრღნელებზე. ჩატარდა სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიის ეფექტურობის შესწავლა, მღრღნელებში გამოწვეული შაქრიანი დიაბეტის მოდელზე, მონო და ინსულინთან ერთად კომბინირებული მკურნალობისას. ექსპერიმენტული კვლევებისათვის გამოყენებული იქნა უჯიშო თეთრი ვირთაგვები (სხეულის მასა 250-300 გრ). ერთჯერადი და მრავალჯერადი შეყვანისათვის. სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიის უსაფრთხოების შეფასება მისი ერთჯერადი და მრავალჯერადი მიღებისას წარმართა OECD გაიდლაინის მიხედვით. სელენის

ნანონაწილაკების ერთჯერადი მიღებისას 8-12 კვირის ვირთაგვები რანდომულად დაიყო სამ ჯგუფად: სამი ვირთაგვა ერთ ჯგუფში(1 დედალი და 2 მამალი). სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზია მიეწოდებოდათ ერთჯერადად ორალურად სპეციალური საკვები ნემსის გამოყენებით. სელენის ნანონაწილაკების მრავალჯერადი მიღებისას 8-12 კვირის ალბინოსი ვირთაგვები რანდომულად დაიყო სამ ჯგუფად: 10 ვირთაგვა ერთ ჯგუფში (2 დედალი და 8 მამალი). სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზია ვირთაგვებს მიეწოდებოდათ ყოველ დღე პერორალურად 45 და 90დღის განმავლობაში. სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიის ეფექტურობის შესწავლისას, მდრდნელებში გამოწვეული შაქრიანი დიაბეტის მოდელზე, 8-12 კვირის ალბინოსი ვირთაგვები დაიყო 4 ჯგუფად თითოეულ ჯგუფში 10 ვირთაგვა (2 დედალი და 8 მამალი), I ჯგუფს ეძლეოდა მხოლოდ სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზია, II ჯგუფს სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზია და ინსულინის ინექცია, III ჯგუფს უკეთებოდა მხოლოდ ინსულინის ინექცია, ხოლო IV ჯგუფი არ იღებდა არანაირ მკურნალობას.

**მიღებული შედეგები:** განხორცილებელული კვლევების შედეგად მიღებულ იქნა რომ სელენის ნანონაწილაკების 10%-იან სუსპენზიას გააჩნია ინსულინის მსგავსი ჰიპოგლიკემიური მოქმედება, სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიით მონოთერაპია იწვევს თირკმელების შეშუპების შემცირებას დიაბეტიან ვირთაგვებში, სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიის როგორც მონო, ისე ინსულინთან კომბინირებული მკურნალობისას მორფოლოგიურად აღინიშნებოდა სხვადასხვა ზომის და ფორმის ბეტა უჯრედების რეგენერაციის მრავლობითი უბნები.

## **Abstract**

**Introduction:** Diabetes mellitus (D.M.) is one of the most common diseases in the world. The number of patients, as well as the number of deaths due to complications of diabetes,



is constantly increasing. Majority of patients with diabetes have serious complications, which cause a decrease in working capacity, this is also associated with large costs from both side as patient and as the country. The rapid spread of diabetes mellitus, the multiple complications require to search new, affordable and effective technologies in treatment. Among these technologies, nanotechnologies have taken an important place in recent years. The use of nanoparticles in biology and medicine has increasingly made its way. Selenium nanoparticles should be notable in relation to diabetes. Selenium is one of the important elements in our body. There are proteins containing selenium, one of them is he powerful antioxidant glutathione peroxidase (GPX). During diabetes, the number of free radicals increases. Oxidative stress plays one of the roles in development of late complications of Diabetes Mellitus. Selenium deficiency reduces the amount of antioxidant - glutathion peroxidase (GPX) and therefore increases oxidative stress. Oxidative stress is also increased by hyperglycemia. At the same time, the activity of antioxidants: Superoxide Dismutase (SOD), Glutathione peroxidase (GPx) and Catalase decreases, which reduces antioxidant protection. Selenium (Se), in particular, selenocysteine, is a necessary component of the GPx. Pancreas is very sensitive to selenium deficiency. GPx deficiency may play one of the main roles in pathogenesis of D.M. complications - due to increased oxidative stress. That is why using of antioxidants in D.M. in order to prevent later complications could be an option. The treatment of diabetes mellitus with selenium nanoparticles with traditional treatment methods remains an actual issue, since no experimental study has yet been conducted on diabetic rats using relatively high doses of metallic selenium nanoparticle suspension. This will allow us to operate in a wide range of doses of selenium nanoparticle suspension to develop another effective, affordable and safe combined treatment of Diabetes Mellitus complications.

**Materials and methods:** A simple, inexpensive and accurate method of getting selenium nanoparticles by mechano-sonochemical method (laboratory nanomill and ultrasonic homogenizer) was developed. The physical and chemical properties of selenium

nanoparticles were studied (scanning and transmission electron microscopes, dynamic light scattering and zeta sizer). The maximum doses and therapeutic range of the suspension of selenium nanoparticles were determined, the influence of a 10% selenium nanoparticles suspension on biochemical and morphological indicators was studied, during its single and multiple administration in an in vivo experiment on rodents. Studying effectiveness of a 10% selenium nanoparticles suspension was conducted on diabetic rats, with mono and insulin combined treatment. Albino rats (body weight 250-300 g) were used for experimental studies, during single and multiple dose administration. Assessing safety of 10% selenium nanoparticle suspension during its single and multiple intake was carried out according to OECD guidelines. During single intake of selenium nanoparticles 8-12 weeks albino rats were randomly divided into three groups: 3 rats per group (1 female and 2 males). A 10% suspension of selenium nanoparticles was administered orally as a single dose using a special feeding needle. In multiple doses of selenium nanoparticles, 8–12-week albino rats were randomly divided into three groups: 10 rats per group (2 female and 8 male). A 10% suspension of selenium nanoparticles was administered to rats orally every day for 45 and 90 days. In studying the effectiveness of a 10% suspension of selenium nanoparticles on diabetic rodents 8-12-week albino rats were divided into 4 groups 10 rat each (2 female and 8 male); group I was given only a 10% suspension of selenium nanoparticles, group II was given 10 % suspension and insulin injection, group III received only insulin injection, and group IV did not receive any treatment.

**Results:** As a result of the conducted studies, it was obtained that 10% selenium nanoparticle suspension has insulin like hypoglycemic action; monotherapy with a 10% selenium nanoparticle suspension leads to a reduction in renal edema in diabetic rats; morphologically, multiple regeneration sites of beta-cells of different sizes and shapes, have been observed using both mono-therapy with 10% selenium nanoparticle suspension and insulin-combined therapy in diabetic rats.

## სარჩევი

აბსტრაქტი.....	II
სარჩევი .....	VII
ცხრილების, გრაფიკებისა და ილუსტრაციების ჩამონათვალი .....	VIII
აბრევიატურის ჩამონათვალი.....	XII
2. ძირითადი ნაწილი .....	1
შესავალი.....	1
პრობლემის აქტუალობა.....	1
კვლევის მიზანი და ამოცანები .....	6
მეცნიერული სიახლე.....	7
კვლევის პრაქტიკული ღირებულება.....	7
სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა.....	8
მსოფლიოსა და საქართველოში შაქრიანი დიაბეტის გავრცელების სტატისტიკური მონაცემები.....	8
შაქრიანი დიაბეტის კლასიფიკაცია და განვითარება.....	20
კლინიკური სურათი და გართულებები, მათი სტატისტიკური და ეკონომიკური ანალიზი.....	33
შაქრიანი დიაბეტისა და მისი გართულებების ეკონომიკური შედეგები/დანახარჯები, მოკლე მიმოხილვა .....	45
შაქრიანი დიაბეტის მკურნალობის სქემები საქართველოსა და მსოფლიოში.....	49
კვლევის მასალა და მეთოდები.....	57
ექსპერიმენტის მსვლელობისას გამოყენებული მასალა და მეთოდები .....	57
საკვლევი ჯგუფების დახასიათება .....	59
სელენის ნაწონაწილაკების მისაღებად გამოყენებული მეთოდები .....	63
სელენის ნაწონაწილაკების სუსპენზიის ტოქსიურობის შესწავლის მეთოდები ერთჯერადი და მრავალჯერადი პერორალური მიღებისას .....	64

STZ-ით გამოწვეული შაქრიანი დიაბეტის მოდელირება და შაქრიანი დიაბეტით დასნებოვნებული ვირთაგვების სელენის ნაწონაწილაკების 10% სუსპენზიით მონო და ინსულინთან კომბინირებული მკურნალობის მეთოდიკა .....	65
ლაბორატორიული ვირთაგვების აუტოფსიური მასალის ჰისტოლოგიური შესწავლისას გამოყენებული მეთოდები .....	66
სისიხლის ბიოქიმიური გამოკვლევებისას გამოყენებული მეთოდები .....	66
კვლევის შედეგები.....	68
სელენის ნაწონაწილაკების დახასიათება .....	68
ვირთაგვების საკონტროლო ჯგუფში ღვიძლის, თირკმლისა და პანკრეასის ჰისტოლოგიური გამოკვლევისას მიღებული შედეგები .....	71
ლაბორატორიულ ვირთაგვებზე სელენის ნაწონაწილაკების 10% სუსპენზიის გავლენა ბიოქიმიურ და მორფოლოგიურ მაჩვენებლებზე მისი ერთჯერადი და მრავალჯერადი მიღებისას .....	74
შაქრიანი დიაბეტით დასნებოვნებული ვირთაგვების სელენის ნაწონაწილაკების 10% სუსპენზიით მონო და კომბინირებული მკურნალობის შედეგები.....	84
კვლევის შედეგების ანალიზი .....	100
დასკვნები .....	116
<b>3. დასკვნითი ნაწილი .....</b>	<b>116</b>
ბიბლიოგრაფია:.....	116
გამოქვეყნებული ნაშრომების სია: .....	173
მოხსენებები ნაშრომის თემაზე.....	174
დანართები:.....	174
<b>1.2. ცხრილების, გრაფიკებისა და ილუსტრაციების ჩამონათვალი</b>	
სურათი 1. გლუტათიონპეროქსიდაზას მოქმედება.....	4
სურათი 2. მსოფლიოში შაქრიანი დიაბეტით დაავადებული მოსახლეობის სტატისტიკა წლების მიხედვით, 20-79 ასაკობრივ ჯგუფში (მილიონი). დიაბეტის საერთაშორისო ფედერაცია, მე-10-ე გამოცემის ატლასი (2021წ). .....	9
სურათი 3. შაქრიანი დიაბეტი მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში. დიაბეტის საერთაშორისო ფედერაცია, მე-10-ე გამოცემის ატლასი (2021წ).....	10
სურათი 4. შაქრიან დიაბეტთან დაკავშირებული გლობალური დანახარჯების ზრდის ტენდენცია, 2006-2045 წლები. მილიარდი აშშ დოლარი, დიაბეტის საერთაშორისო ფედერაცია IDF 2021 .....	47

სურათი 5. ნანოწისქვილის მოქმედების მექანიზმი .....	63
სურათი 6. სელენის მეტალური ფხვნილის მოლეკულური შემადგენლობის რენტგენოსპექტრულ ანალიზი (97% ) JEOL -ის მასკანირებელი ელექტრონული მიკროსკოპი JSM-6510LV .....	68
სურათი 7. სელენის სუფთა ფხვნილი(ნატეხები) ზომით 50-80 მიკრომეტრი, JEOL მასკანირებელი ელექტრონული მიკროსკოპი JSM-6510LV.....	69
სურათი 8. სელენის ნანონაწილაკების ზეტა პოტენციალი .....	70
სურათი 9. სელენის ნანონაწილაკების ზომის გაფანტვის მაჩვენებელი .....	70
სურათი 10. სელენის ნანონაწილაკების ზომა, მასკანერებელი მიკროსკოპი მასკანერებელი მიკროსკოპით JOEL JEM-100SX.....	71
სურათი 11. ვირთაგვების საკონტროლო ჯგუფი. ღვიძლი. H&E .....	72
სურათი 12. ვირთაგვების საკონტროლო ჯგუფი. თირკმელი. H&E .....	73
სურათი 13. ვირთაგვების საკონტროლო ჯგუფი. პანკრეასი. H&E (X100) .....	73
სურათი 14. ღვიძლი. H&E. SeNPs 5000მგ/კგ მიღების შემდეგ A (X40) B (X100) ...	77
სურათი 15. ღვიძლი. H&E. SeNPs 5000მგ/კგ მიღების შემდეგ პორტული ტრიადა. A: (X250) B: (X400) პორტული ვენის ტოტი და მასში არსებული სელენის გრანულები .....	77
სურათი 16. ღვიძლი. H&E. SeNPs 5000მგ/კგ მიღების შემდეგ (X250) . სინუსოიდებში არსებული სელენის გრანულები (ისარი) .....	78
სურათი 17. სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიის ერთჯერადი მიღება. ღვიძლი. H&E. ....	79
სურათი 18. თირკმელი. H&E. SeNPs 5000მგ/კგ მიღების შემდეგ; A (X200) B (X300). მცირედ გაფართოებული კაფსულის ღრუ (თეთრი ისარი). სელენის ნანონაწილაკების გროვები (წითელი ისარი).....	80
სურათი 19. თირკმელი. H&E. SeNPs 5000მგ/კგ მიღების შემდეგ, A, B (X300). სელენის ნანონაწილაკების გროვები (თეთრი ისარი).....	80
სურათი 20. თირკმელი. H&E. SeNPs 5000მგ/კგ მიღების შემდეგ A, B (X200). A თირკმლის ქერქოვანი ნივთიერება პროქსიმალური და დისტალური კლაკნილი მილაკები. B თირკმლის ტვინოვანი ნივთიერება .....	80
სურათი 21. A - პანკრეასი. H&E. SeNPs 5000მგ/კგ (X300), საკვლევი სუსპენზია (თეთრი ისარი). B და C - პანკრეასი SeNPs 5000მგ/კგ (X300), საკვლევი სუსპენზია კაპილარებსა(B) და არტერიოლაში(C) თეთრი ისრებით.....	81
სურათი 22. სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიის მრავალჯერადი მიღება. ღვიძლი. H&E.....	83
სურათი 23. სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიის მრავალჯერადი მიღება. თირკმელი. H&E.....	84
სურათი 24. DM-ით დაავადებული ვირთაგვები. ღვიძლი. H&E.....	87
სურათი 25. DM-ით დაავადებული ვირთაგვები, პანკრეასი. H&E. A, B, C (X400).	88

სურათი 26. DM-ით დაავადებული ვირთაგვები, თირკმელი. H&E.....	88
სურათი 27. DM-ით დაავადებული ვირთაგვები, თირკმელი (X400). H&E. ....	89
სურათი 28. DM-ით დაავადებული ვირთაგვები, თირკმელი. A, B (X400). ფლორესცენციულ მიკროსკოპი, ცილოვანი ნივთიერების დაგროვება ინტერსტიციუმში (ისარი) .....	89
სურათი 29. DM-ით დაავადებული ვირთაგვების მკურნალობა მხოლოდ ინსულინის ინექციით. H&E.....	90
სურათი 30. DM-ით დაავადებული ვირთაგვების მკურნალობა მხოლოდ ინსულინის ინექციით, პანკრეასი. H&E.....	91
სურათი 31. DM-ით დაავადებული ვირთაგვების მკურნალობა მხოლოდ ინსულინის ინექციით. თირკმელი. H&E.....	92
სურათი 32. დიაბეტით დასნებოვნებულ ვირთაგვებში მხოლოდ SeNPs 10% სუსპენზიის მიღება ღვიძლი. H&E. A: (X200) ღვიძლის შეუცვლელი არქიტექტონიკა. B: (X400) კუფფერის უჯრედები (თეთრი ისარი), სინუსოიდები (წითელი ისარი) .....	92
სურათი 33. DM-ით დასნებოვნებულ ვირთაგვებში მხოლოდ SeNPs 10% სუსპენზიის მიღება. H&E. ....	93
სურათი 34. DM-ით დასნებოვნებული ვირთაგვები, SeNPs-ის 10% სუსპენზიით მონო მკურნალობა, პანკრეასი. H&E.....	94
სურათი 35. DM-ით დასნებოვნებული ვირთაგვები, SeNPs-ის 10% სუსპენზიით მონო მკურნალობა, პანკრეასი. H&E.....	94
სურათი 36. DM-ით დასნებოვნებული ვირთაგვები, SeNPs-ის 10% სუსპენზიით მონო მკურნალობა, თირკმელები. H&E. A, B (X200) .....	95
სურათი 37. DM-ით დასნებოვნებული ვირთაგვები, SeNPs-ის სუსპენზიით მონო მკურნალობა, თირკმელები (X200). ფლორესცენციული მიკროსკოპით ჩანს რომ თირკმელებში შემუპება არ ვლინდება, ცილოვანი ნივთიერებები არ არის დაგროვილი ინტერსტიციუმში.....	95
სურათი 38. DM-ით დასნებოვნებული ვირთაგვები, SeNPs-ის 10% სუსპენზიით და ინსულინით კომბინირებული მკურნალობა, ღვიძლი. H&E. (X200).....	96
სურათი 39. DM-ით დასნებოვნებული ვირთაგვები, SeNPs-ის 10% სუსპენზიითა და ინსულინით კომბინირებული მკურნალობა, პანკრეასი. H&E. A, B, C, D (X400). რეგენირებული ლანგერჰანისი კუნძულები (თეთრი ისარი), ჰიპერვასკულარიზაცია, სისხლძარღვები (წითელი ისარი) .....	97
სურათი 40. DM-ით დასნებოვნებული ვირთაგვები, SeNPs-ის 10% სუსპენზიითა და ინსულინით კომბინირებული მკურნალობა, თირკმელი. H&E.....	98
სურათი 41. DM-ით დასნებოვნებული ვირთაგვები, SeNPs-ის 10% სუსპენზიითა და ინსულინით კომბინირებული მკურნალობა, თირკმელი (X400).	

ფლოურესცენციული მიკროსკოპით ჩანს რომ თირკმელებში შეშუპება არ ვლინდება, ცილოვანი ნივთიერებები არ არის დაგრივილი ინტერსტიციუმში. ... 99

დიაგრამა 1. მსოფლიოს პირველი ათი ქვეყანა შაქრიანი დიაბეტით დასნებოვნებული მოსახლეობის(ასაკი 20-79წ) მიხედვით. მათი ზრდის ტენდენცია. დიაბეტის საერთაშორისო ფედერაცია IDF 2021.....11

დიაგრამა 2. შაქრიანი დიაბეტის რაოდენობის ზრდა 20-79 წლის ასაკობრივ ჯგუფში (სვეტები) და მოსალოდნელი ზრდადი პრევალენტობა 2045 წლისათვის (შავი ხაზი). (დიაბეტის საერთაშორისო ფედერაცია IDF2021)..... 13

დიაგრამა 3. 65 წელს გადაცილებულ პაციენტებში შაქრიანი დიაბეტის რაოდენობის ზრდა 2019-2045წლების განმავლობაში, ზრდადი პრევალენტობა. (დიაბეტის საერთაშორისო ფედერაცია IDF) .....13

დიაგრამა 4. მსოფლიოში 2021 წელს შ.დ.-ით გარდაცვლილთა რაოდენობა (ასაკი 20-79წელი), დიაბეტის საერთაშორისო ფედერაცია IDF 2021 ..... 15

დიაგრამა 5. შაქრიანი დიაბეტის ინსიდენტობის მაჩვენებელი დიაბეტის ტიპის მიხედვით საქართველოში. წყარო-დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.....16

დიაგრამა 6. საქართველოში შაქრიანი დიაბეტით დაავადებული მოსახლეობის პროცენტულობის ზრდა წლების მიხედვით, დიაბეტის საერთაშორისო ფედერაცია IDF 2021..... 18

დიაგრამა 7. საქართველოში შაქრიან დიაბეტთან დაკავშირებული დანახარჯები წლების მიხედვით, დიაბეტის საერთაშორისო ფედერაცია IDF 2021 .....19

დიაგრამა 8. ქვეყნები რომლებიც შაქრიანი დიაბეტთან დაკავშირებული დანახარჯებით ლიდერობენ მსოფლიოში, დიაბეტის საერთაშორისო ფედერაცია IDF 2019, 2021 .....47

დიაგრამა 9. მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში შაქრიანი დიაბეტისა და მისი გართულებების ჯანდაცვის წლიური დანახარჯები (მილიონი აშშ დოლარი), ასახულია მისი ზრდის ტენდენცია 2011, 2021, 2030 და 2045 წლების მიხედვით. დიაბეტის საერთაშორისო ფედერაცია IDF 2021 ..... 48

დიაგრამა 10. მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონისა და საქართველოში შაქრიანი დიაბეტისა და მისი გართულებების ჯანდაცვის წლიური დანახარჯები (მილიონი აშშ დოლარი), ასახულია მისი ზრდის ტენდენცია 2011, 2021, 2030 და 2045 წლების მიხედვით. დიაბეტის საერთაშორისო ფედერაცია IDF 2021 .....48

დიაგრამა 11. საკონტროლო და საკვლევი ვირთაგვების საშუალო წონა სელენის ნაწილაკების 10% სუსპენზიის გავლენის შესწავლისას მისი მრავალჯერადი მიღების დასაწყისში და 45 დღის შემდეგ.....74

დიაგრამა 12. საკონტროლო და საკვლევი ვირთაგვების საშუალო წონა სელენის ნაონაწილაკების სუსპენზიის გავლენის შესწავლისას მისი მრავალჯერადი მიღების დასაწყისში და 90 დღის შემდეგ.....	75
დიაგრამა 13. გლუკოზის(mg/dL) საშუალო ბიოქიმიური მაჩვენებლები შაქრიანი დიაბეტით დასნებოვნებული ვირთაგვების სელენით მონო და კომბინირებული მკურნალობის შემდგომ .....	86
დიაგრამა 14. ლანგერჰანსის კუნძულების ფართობის შეფარდებითი პროცენტის გადანაწილება საკვლევი ჯგუფების მიხედვით (LI Langerhans Islands).....	100

ცხრილი 1. შაქრიანი დიაბეტით დაავადებული შრომისუნარიანი ადამიანების რაოდენობის 2021 და 2045 წლების განმავლობაში, ზრდადი პრევალენტობა (დიაბეტის საერთაშორისო ფედერაცია IDF 2019, 2021) .....	12
ცხრილი 2. საქართველოში შაქრიანი დიაბეტის ინსიდენტობა ზრდასრულებში. წყარო: დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.....	17
ცხრილი 3. საქართველოში შაქრიანი დიაბეტის ინსიდენტობა 0-15 წლის მოსახლეობაში. წყარო: დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი .....	18
ცხრილი 4. სისხლის ბიოქიმიური პარამეტრები SeNPs ერთჯერადი მიღებისას. ....	75
ცხრილი 5. სისხლის ბიოქიმიური პარამეტრები SeNPs 10% სუსპენზიის მრავალჯერადი მიღებისას.....	82
ცხრილი 6. ბიოქიმიური მაჩვენებლები შაქრიანი დიაბეტით დასნებოვნებული ვირთაგვების სელენით მონო და კომბინირებული მკურნალობის შემდგომ. ....	85
ცხრილი 7. გლუკოზის საშუალო ბიოქიმიური მაჩვენებლები შაქრიანი დიაბეტით დასნებოვნებული ვირთაგვების სელენით მონო და კომბინირებული მკურნალობის შემდგომ. ....	85
ცხრილი 8. ლანგერჰანსის კუნძულების ფართობების შეფარდებითი წილი და პროცენტი.....	100
სქემა 1. OECD გაიდლაინი - პროდუქტის ტოქსიურობის შესწავლა.....	64

### 1.3. აბრევიატურის ჩამონათვალი

შ.დ - შაქრიანი დიაბეტი

DM- შაქრიანი დიაბეტი

T1DM - შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1

T2DM- შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2



SeNPs- სელენის ნანონაწილაკები  
10% SeNPsS - სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზია  
ROS- რეაქტიული ჟანგბადის სახეობები  
SOD- სუპეროქსიდდისმუტაზა  
GPx - გლუტათიონპეროქსიდაზა  
GSH - გლუტათიონი  
BUN - შარდოვანა  
CREA - კრეატინინი  
AST- ასპარტატამინოტრანსფერაზა  
ALT - ალანინამინოტრანსფერაზა  
GGT - გამაგლუტამილტრანსფერაზა  
TG - ტრიგლიცერიდები  
CHOLT - საერთო ქოლესტერინი  
HDL - მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინები  
LDL - დაბალისი სიმკვრივის ლიპოპროტეინები  
ALB - ალბუმინი  
GLUC - გლუკოზა  
STZ- სტრეპტოზოტოცინი  
დთდ- დიაბეტით გამოწვეული თვალის დაავადებები (DED)  
დრ-დიაბეტური რეტინოპათია  
დმშ-დიაბეტური მაკულარული შეშუპება  
თქდ- თირკმლის ქორნიკული დაავადება  
ჯანმო- ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია

## 2. ძირითადი ნაწილი

### 2.1. შესავალი

#### 2.1.1. პრობლემის აქტუალობა

შაქრიანი დიაბეტი (შ.დ.) არაგადამდებ დაავადებათა შორის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადებაა. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიხედვით განვითარებულ ქვეყნებში მას სიკვდილიანობის მიზეზებს შორის მეხუთე-მეექვსე ადგილი უჭირავს, განვითარებად ქვეყნებში კი მეცხრე-მეათე(WHO, 2020), ეჭვგარეშეა, რომ შაქრიანი დიაბეტი 21-ე საუკუნეში ჯანმრთელობის დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა.

დიაბეტით დაავადებულთა უმრავლესობას აღნიშნება სერიოზული გართულებები, რაც შრომისუნარიანობის დაქვეითებას იწვევს. დიაბეტით გამოწვეული ნაადრევი სიკვდილიანობა ოჯახების შემოსავლის დაკარგვის ერთ-ერთი მიზეზია. დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებში, სადაც ამჟამად დიაბეტით დაავადებულთა თითქმის 75% ცხოვრობს, ყოველივე ეს მოითხოვს ამ დაავადების მიმართ სასწრაფო და გადამწყვეტი ზომების გატარებას(International Diabetes Federation, 2021)(IDF, 2019). დიაბეტის და მისი გართულებების მკურნალობაში აუცილებელია ხელმისაწვდომი და ეფექტური ტექნოლოგიების ჩართვა. ბოლო წლებში აღნიშნულ ტექნოლოგიებს შორის მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ნანოტექნოლოგიები. ნანონაწილაკების გამოყენებამ ბიოლოგიასა და მედიცინაში სულ უფრო გაიკვალა გზა. დიაბეტთან მიმართებაში კი აღსანიშნავია სელენის ნანონაწილაკები.

სელენი ჩვენი ორგანიზმის ერთ ერთი მნიშვნელოვანი მიკროელემენტია. არსებობს სელენის ორგანული (სელენმეთიონინი, სელენოცისტენი) და არაორგანული (სელენიტი, სელენატი) ნაერთები. აღსანიშნავია სელენის შემცველი ცილები რომელთა შორის აღსანიშნავია გლუტათიონპეროქსიდაზა (GPX), თირეოიდრედუქტაზა (TR), სელენფოსფატსინთეტაზა (SPS) (Rayman, 2000)(Rayman, 2012)(Kvanchakhadze, 2018)(Stadtman, 1990).

უახლესი გამოკვლევები მოწმობს სელენის დადებით გავლენას სხვადასხვა ორგანოთა სისიტემაზე. სელენის ნანონაწილაკებს აქვთ ძლიერი ანტიოქსიდანტური, ანტიმიკრობული, ანტიკანცეროგენული თვისებები, ხასიათდებიან ქსოვილებში კარგი ბიოშელწევადობით, ნაკლებ ტოქსიურობით, შესაძლებელია მათი პერორალური მიღება (Katrin Loeschner, Niels Hadrup, Marianne Hansen, Bente Gammelgaard, Laura Hyrup Møller, Alicja Mortensen, & Larsen, 2014) (A. Wadhvani & Utkarsha U. Shedbalkar & Richa Singh & Balu A. Chopade, 2016)(Wang, Yanbo Yan, Xuxia L Fu, 2013)(Anu et al., 2020)(Liu et al., 2012)(Geoffrion et al., 2020)(Wadhvani et al., 2017)(Forootanfar et al., 2014)(Shen et al., 2010)(Jayaprakash & Marshall, 2011)(Z. Huang, Guo, Wong, & Jiang, 2007)(M. H. Yazdi, Mahdavi, Varastehmoradi, Faramarzi, & Shahverdi, 2012).

სელენის დეფიციტი იწვევს არითმიებს, გულის უკმარისობს, კარდიომეგალიას, კარდიომიოპათიას, თრომბოემბოლიებს, მიოკარდიუმის ინფარქტს(Aro, A., Alfthan, G., & Varo, 1995)(Oropeza-Moe, Wisløff, 2014)(Kieliszek, Lipinski, & Błażej, 2017)(Burke, M. P., & Opeskin, 2002). სელენის დეფიციტის დროს მცირდება ორგანიზმის დამცველობითი უნარი თავისუფალი რადიკალების მიმართ (Burke, M. P., & Opeskin, 2002)(Tinggi, 2008)

შაქრიანი დიაბეტი დაავადებაა რომელსაც ახასიათებს მრავალი გვიანი გართულება: გულსისხლძარღვთა დაავადება, ნეფროპათია, ნეიროპათია, რეტინოპათია და სხვა(The American Diabetes Association (ADA), 2020)(WHO, 2019)(IDF, 2019)(Chawla, Chawla, & Jaggi, 2016)(David M. Nathan, 1993)(Zheng, Ley, & Hu, 2018).

სხვადასხვა დაავადებების, სტრესის, არასწორი ცხოვრების რეჟიმის, გარემოს დაბინძურების, ორგანიზმში მძიმე მეტალების შეღწევის დროს ორგანიზმში იზრდება თავისუფალი რადიკალების რაოდენობა(Nijhawan, Arora, & Behl, 2019) (Kvanchakhadze, 2018) (Biswas, Das, & Banerjee, 2017)(Tan, Norhaizan, Liew, & Rahman, 2018)(Liguori et al., 2018)(Maher, González-Maciel, Reynoso-Robles, Torres-Jardón, & Calderón-Garcidueñas, 2020)(Pizzino et al., 2017). აღნიშნულნი აზიანებენ უჯრედებს და შესაბამისად წარმოადგენენ მრავალი დაავადებების, მათი გართულებებისა და ნაადრევი სიბერის მიზეზი(Tan et al., 2018)(Liguori et al., 2018)(Moldogazieva, Mokhosev, Mel'nikova, Porozov, & Terentiev, 2019).




ანტიოქსიდანტები მაგალითად: გლუტათიონპეროქსიდაზა (GPX), სუპეროქსიდდისმუტაზა (SOD), ის ნივთიერებებია რომლებიც თრგუნავენ ზეჟანგური ჟანგვის პროცესებს და იცავენ უჯრედულ სუბსტრატებს თავისუფალი რადიკალების "დამანგველი" მოქმედებისგან(Dworzański et al., 2020)(Strycharz-Dudziak et al., 2019)(Gusti, Qusti, Alshammari, Toraih, & Fawzy, 2021)(Ighodaro & Akinloye, 2018).

ორგანიზმში გლუტათიონპეროქსიდაზას GPX-ს რვა ტიპია, რვავეს ფუნქცია ანტიოქსიდანტური აქტივობაა, ახასიათებთ ქსოვილოვანი სპეციფიურობა. GPX1(გლუტათიონპეროქსიდაზა 1) უჯრედების ციტოპლაზმაში არის ლოკალიზებული. განსაკუთრებული აქტივობით გამოირჩევიან ღვიძლსა და ერითროციტებში. GPX2 ძირითადად საჭმლის მომნელებს სისტემის უჯრედებში გვხვდება, რაც მიუთითებს საკვებიდან მიღებული ოქსიდანტების წინააღმდეგ დამცველობით ფუნქციას. GPX4 ძირითადად სათესლებშია ლოკალიზებული(Lubos, Loscalzo, & Handy, 2011)(Ursini & Maiorino, 2013)(Flohé, 2007)(Roveri, Flohé, Maiorino, & Ursini, 2002).

ზეჟანგური ჟანგვა, თავისუფალი რადიკალების რაოდენობის მატება მნიშვნელოვან როლს თამაშობს შაქრიანი დიაბეტის პათოგენეზში, აღსანიშნავია ოქსიდაციური სტრესის კავშირი შაქრიანი დიაბეტის გვიანი გართულებების განვითარებაში (Sedighi, Makhloogh, Shokrzadeh, & Hoorshad, 2014)(Pricci et al., 2003)(Martín-Gallán, Carrascosa, Gussinyé, & Domínguez, 2007)(Singal, Belló-Klein, Farahmand, & Sandhawalia, 2001)(Joshi et al., 2011)(Mercuri, Quagliaro, & Ceriello, 2000)(Darmaun et al., 2005)(Maxwell et al., 1997)(Cheeseman & Slater, 1991)(Halliwell, 1994)(Tabar, 2012)(Vassort & Turan, 2010).

სელენის დეფიციტი აქვეითებს ანტიოქსიდანტ გლუტათიონპეროქსიდაზას GPX-ის რაოდენობას და შესაბამისად ზრდის ოქსიდაციურ სტრესს(Kornhauser et al., 2008)(Steinbrenner, Bilgic, Alili, Sies, & Brenneisen, 2006)(Brenneisen, Steinbrenner, & Sies, 2005)(Tabar, 2012)(Vassort & Turan, 2010)(Zachara et al., 2011). ოქსიდაციურ სტრესს ასევე ზრდის ჰიპერგლიკემია - სუპეროქსიდ რადიკალის(O<sub>2</sub><sup>-</sup>) და სხვა რეაქტიული ჟანგბადის სახეობების(ROS) მატების გამო. ამავდროულად მცირდება ანტიოქსიდანტების: სუპეროქსიდ დისმუტაზას(SOD), გლუტათიონ პეროქსიდაზას(GPx) და კატალაზას

აქტივობა, რაც თავის მხრივ აქვეითებს ანტიოქსიდანტურ დაცვას. სელენი(Se) კერძოდ კი სელენოცისტეინი აუცილებელი კომპონენტია ანტიოქსიდანტური ფერმენტის კერძოდ კი GPx) შემადგენლობაში. გლუტათიონი(GSH) ერთ ერთი ძლიერი ანტიოქსიდანტია. GPx-ის ბიოლოგიური როლია დაიცვას ორგანიზმი ოქსიდაციური სტრესისაგან. თავისუფალ რადიკალთან ურთიერთქმედების შემდეგ (GSH) გადადის ოქსიდირებულ ფორმაში(სურ.1) (GSSG)(Rayman, 2000)(Rayman, 2012)(Stadtman, 1990)(Kvanchakhadze, 2018)(Shamberger, 1983).



სურათი 1. გლუტათიონპეროქსიდაზას მოქმედება.

წყარო: Glutathione and the Cofactors. <https://www.purelabvitamins.com/blog/Glutathione-and-the-Cofactors.php>

მრავალი გამოკვლევები არის ჩატარებული ექსპერიმენტულ მედიცინაში დიაბეტიტ დაავადებულ ვირთაგვებზე, სადაც გამოვლინდა სელენის დადებით ეფექტი. მას გააჩნია ჰიპოგლიკემიური, ანტიდიაბეტური (Ozturk et al., 2015)(Pillai, Sugathan, & Indira, 2012)(H F Aly, 2012)(Tayibeh Ghaffari, Nouri, Irannejad, & Rashidi, 2011)(Roy, Dontamalla, Mondru, Sannigrahi, & Veerareddy, 2011)(Zou, Qiu, Chen, Dou, & Liang, 2016)(Aly & Mantawy, 2012) ჰიპოლიპიდემიური (ქოლესტერინი, ტრიგლიცერიდები, LDL) (Ozturk et al., 2015)(Tayyeb Ghaffari, Nouri, Saei, & Rashidi, 2012)(Tayibeh Ghaffari et al., 2011)(Roy et al., 2011)(Hamza, EL-

Megharbel, Altalhi, Gobouri, & Alrogi, 2020) ანტიოქსიდანტური ეფექტი(Tayyebah Ghaffari et al., 2012)(Tayibeh Ghaffari et al., 2011)(Roy et al., 2011). დიაბეტის მკურნალობისას გაცილებით დიდი ეფექტურობით გამოირჩევა სელენის კომბინაცია ინსულინთან და ჰიპოგლიკემიურ პერორალურ მედიკამენტებთან(T. Xu et al., 2013)(T. J. Xu, Liu, & Yuan, 2011)(Tian Jiao Xu, Liu, & Yuan, 2011), სელენმა ასევე გამოავლინა ინსულინის მსგავსი მოქმედება(Pillai et al., 2012)(Al-Quraishy, Adkhil, & Moneim, 2015), აქვს ღვიძლის, პანკრეასის ბეტა უჯრედების დამცველობითი უნარი(H F Aly, 2012)(Chang et al., 2009)(Shafik & El Batsh, 2016)(Bhattacharjee, Basu, Ghosh, Biswas, & Bhattacharya, 2014)(Zou et al., 2016)(Dkhil, Bauomy, Diab, & Al-Quraishy, 2016)(Al-Quraishy et al., 2015). სელენით მკურნალობა ამცირებს კრეატინინის, შარდოვანას და ალბუმინურიის დონეს, ამცირებს დიაბეტით გამოწვეულ ნეფროპათიის შედეგებს(Roy et al., 2011)(Hassan et al., 2021), აქვს დადებითი ეფექტი დიაბეტური ჭრილობის შეხორცების დროს. სელენით გამდიდრებულ დიატას აქვს არა მარტო ანტიოქსიდაციური შედეგი არამედ იცავს თირკმლის ტუბულოინტესტინუმს(Reddi & Bollineni, 2001)(Hassan et al., 2021), ეფექტურია თირკმლის უკმარისობისა და მისი ტერმინალური სტადიის დროს(Zachara, 2015)(Kiss, 2013)(Iglesias, Selgas, Romero, & Díez, 2013).

პანკრეასი განსაკუთრებით მგრძობიარეა სელენის დეფიციტის მიმართ. დადგენილია რომ სელენის დეფიციტი გავლენას ახდენს პანკრეასის სტრუქტურასა და ფუნქციაზე(Lu et al., 2016). სელენოდეფიციტის დროს აუტოფსიის შედეგად ნანახია პანკრეასის დისტროფიის შემთხვევები(J. Xu et al., 2017)(Han et al., 2017). სელენის დეფიციტი კი თავის მხრივ ამცირებს ინსულინისა და გლუკაგონის რაოდენობას(S. Li et al., 2020)(Brigelius-Flohé & Flohé, 2017).

ჩატარებულია კვლევები სადაც ნაჩვენებია რომ შ.დ.-ით დაავადებულ ადამიანებში სელენის და GPx რაოდენობა ნაკლებია ჯანმრთელ პირებთან შედარებით. ასევე დადგენილია რომ შ.დ. ტიპი 2-ის ერთ-ერთი გართულებით - ნეფროპათიით დაავადებულ პაციენტებში სელენის და GPx რაოდენობა მცირდება დიაბეტის პროგრესირებასთან ერთად, რაც ერთ-ერთ წამყვანი ფაქტორია შაქრიანი დიაბეტის ქრონიკული გართულებების ჩამოყალიბებაში(Kornhauser et al., 2008)(Sedighi, Zargari, & Varshi, 2014)(Tabar, 2012)(Vassort & Turan, 2010).

GPx დეფიციტს შეიძლება ერთ-ერთი მთავარი როლი ქონდეს შ.დ.-ის გართულებების პათოგენეზში-ოქსიდაციური სტრესის გაზრდის გამო. თავისუფალი რადიკალების რაოდენობის გაზრდისა და ანტიოქსიდანტური დაცვის დაქვეითების გამო შ.დ.-ით დაავადებული ადამიანი საჭიროებს ანტიოქსიდანტების შედარებით დიდი რაოდენობით მიღებას ვიდრე ჯანმრთელი პირი(Dal & Sigrist, 2016)(Balbi et al., 2018)(Alfonso-Muñoz, Burggraaf-Sánchez de las Matas, Mataix Boronat, Molina Martín, & Desco, 2021)(Johansen, Harris, Rychly, & Ergul, 2005).

მას შემდგომ რაც დადასტურდა თავისუფალი რადიკალების როლი დიაბეტის პათოგენეზში, გამოითქვა მოსაზრება ანტიოქსიდანტების გამოყენების თაობაზე შ.დ.-ის შორეული გართულებების პრევენციის და მკურნალობის მიზნით.

აღსანიშნავია რომ პანკრეასის ბეტა უჯრედები წარმოდგენენ ერთ-ერთ ყველაზე ნაკლებად უზრუნველყოფილ უჯრედებს საკუთარი ანტიოქსიდანტური აქტივობის თვალსაზრისით.  $H_2O_2$ -ის აქტივობა აქვეითებს კატალაზას, გლუტათიონპეროქსიდაზას აქტივობას. GPX1-ის რაოდენობა ბეტა უჯრედებში სხვა ქსოვილებთან შედარებით მცირეა, მაგალითად ჰეპატოციტებთან შედარებით მხოლოდ 1%-ს აღწევს. ამიტომაც ბეტა უჯრედები ძალიან მგრძობიარენი არიან ჰიპერგლიკემიისა და ანთების მედიატორების (ციტოკინების) ზემოქმედების მიმართ(Lei & Vatamaniuk, 2011)(J. Wang & Wang, 2017)(Harmon et al., 2009)(Lenzen, Drinkgern, & Tiedge, 1996)(Sigfrid et al., 2004)(Acharya & Ghaskadbi, 2010).

შაქრიანი დიაბეტის მკურნალობა აქტუალურ საკითხად რჩება, ამავე ვინაიდან ჯერ არ ჩატარებულა ექსპერიმენტული კვლევა დიაბეტით დაავადებულ ვირთავებზე მეტალური სელენის ნანონაწილაკების სუსპენზიის შედარებით მაღალი დოზების გამოყენებით. წინამდებარე კვლევის განხორციელება საშუალებას მოგვცემს შევიმუშაოთ დიაბეტის გართულებების კომბინირებული მკურნალობის კიდევ ერთი ეფექტური, ხელმისაწვდომი და უსაფრთხო საშუალება.

### 2.1.2. კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანია ჩვენს მიერ დამზადებული სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიის (10% SeNPsS) ეფექტურობის შესწავლა მღრღნელებში გამოწვეული შაქრიანი დიაბეტის

მოდელზე, მონო და ინსულინთან ერთად კომბინირებული მკურნალობისას და უსაფრთხოების შეფასება.

ამ მიზნის მისაღწევად დავისახეთ შემდეგი ამოცანები:

- სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიის დამზადება, და მასში სელენის ნანონაწილაკების ფიზიკო ქიმიური თვისებების შესწავლა
- სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიის გავლენა ბიოქიმიურ და მორფოლოგიურ მაჩვენებლებზე მისი ერთჯერადი და მრავალჯერადი მიღებისას in vivo ექსპერიმენტში მღრღნელებზე
- სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიის ეფექტურობის შესწავლა, მღრღნელებში გამოწვეული შაქრიანი დიაბეტის მოდელზე, მონო და ინსულინთან ერთად კომბინირებული მკურნალობისას
- სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიის ტოქსიურობის შესწავლა

### 2.1.3. მეცნიერული სიახლე

- შემუშავებულია სელენის ნანონაწილაკების სუსპენზიის მიღების მარტივი, იაფი და ხარისხიანი მეთოდი
- დადგენილია სუსპენზიის მაქსიმალური დოზები და თერაპიული დიაპაზონი
- განხორციელდა დიაბეტით დასნებოვნებულ ვირთაგვებში სელენის ნანონაწილაკების სუსპენზიისა და ინსულინის კომბინირებული და მონო მკურნალობის შედარება მორფოლოგიური მასალის და სისხლის ბიოქიმიური ანალიზების გამოყენებით
- დადგენილია სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიის ტოქსიურობა მისი ერთჯერადი და მრავალჯერადი მიღებისას

### 2.1.4. კვლევის პრაქტიკული ღირებულება



სელენის ნანონაწილაკები ძლიერი ანტიოქსიდაციური თვისებების გამო, შეამცირებს შაქრიანი დიაბეტის შორეული გართულებების პროგრესირებას, რაც ხელს შეუწყობს დიაბეტის მართვას, გააუმჯობესებს სიცოცხლის ხარისხს, შრომისუნარიანობას, შეამცირებს სიკვდილიანობის რიცხვსა და შაქრიანი დიაბეტის მკურნალობის დანახარჯებს.

პროექტის დასრულების შემდეგ დაწყებული საქმიანობის გაგრძელების პერსპექტივად გვესახება სელენის ნანონაწილაკების სუსპენზიის სრული წინაკლინიკური და კლინიკური კვლევების განხორციელება შესაბამისი სამკურნალწამლო საშუალების შექმნისათვის.


## 2.2. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

### 2.2.1. მსოფლიოსა და საქართველოში შაქრიანი დიაბეტის გავრცელების სტატისტიკური მონაცემები

#### შაქრიანი დიაბეტის გავრცელების ეპიდემიოლოგიური თავისებურებები მსოფლიოში

შაქრიანი დიაბეტი არაგადამდებ დაავადებათა შორის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადებაა. მრავალ განვითარებად და ინდუსტრიულ ქვეყანაში შაქრიანმა დიაბეტმა საკმაოდ გავრცელებული სახე მიიღო და მას სიკვდილიანობის მიზეზებს შორის მეოთხე-მეხუთე ადგილი უჭირავს. პოპულაციური კვლევების თანახმად, შაქრიანი დიაბეტის ახალ შემთხვევათა უმრავლესობა არ ვლინდება ადრეულ სტადიაზე. შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის შემთხვევების დიდი წილი არადიაგნოსტირებულია. შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ პირებში გართულებები ინვალიდობის, სიკვდილიანობისა და ცხოვრების ხარისხის გაუარესების წამყვან მიზეზს წარმოადგენს. გართულებები მოიცავს სხვადასხვა ორგანოთა სისტემას და გარკვეულ შემთხვევებში სხვადასხვა კლინიკური გამოვლინებები ახასიათებს, აღნიშნული დამოკიდებულია დაავადების კონტროლის ხარისხზე, ხანგრძლივობაზე, პაციენტის ასაკზე და ა.შ.


2021 წლის დიაბეტის საერთაშორისო ფედერაციის (დსფ) მე-10-ე გამოცემის ატლასის მონაცემებით მდგომარეობა მეტად საგანგაშოა: შაქრიან დიაბეტს მუდმივად მზარდი ტენდენცია ახასიათებს(სურ.2) (International Diabetes Federation, 2021)



სურათი 2. მსოფლიოში შაქრიანი დიაბეტით დაავადებული მოსახლეობის სტატისტიკა წლების მიხედვით, 20-79 ასაკობრივ ჯგუფში (მილიონი). დიაბეტის საერთაშორისო ფედერაცია, მე-10-ე გამოცემის ატლასი (2021წ).

მსოფლიოში 537 მილიონი მილიონი ადამიანი არის დაავადებული შაქრიანი დიაბეტით (ასაკი 20-79), აქედან გამომდინარე ზრდასრული მოსახლეობის 10.5%-ს მსოფლიო მასშტაბით დადგენილი აქვს შაქრიანი დიაბეტი. დაავადებულთა უმეტესობა ძირითადად დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში ცხოვრობს. ამ ტენდენციის გათვალისწინებით ექსპერტები ვარაუდობენ, რომ 2030 წლისთვის შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთა რაოდენობა სავარაუდოდ 643 მილიონი, 2045 წლისთვის კი 783 მილიონი იქნება, რაც მსოფლიო მასშტაბით 50%-მდე ზრდას ნიშნავს. განსაკუთრებული სიმწვავეთა ზრდის ტემპი მსოფლიოს განვითარებად(ეკონომიკურად არასტაბილურ) ქვეყნებში აღინიშნება. მაგალითად აფრიკის კონტინენტზე 2045წლისთვის 134% ზრდა არის მოსალოდნელი. მიუხედავად იმისა რომ ევროპის რეგიონში უმეტესად განვითარებული, საშუალო და მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებია, აქაც აღინიშნება 13% ზრდის

ტენდენცია. ქვემოთ მოყვანილ სურათზე კარად ჩანს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში არსებული ვითარება და სამომავლო ზრდის ტემპები(International Diabetes Federation, 2021) (სურ. 3)




სურათი 3. შაქრიანი დიაბეტი მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში. დიაბეტის საერთაშორისო ფედერაცია, მე-10-ე გამოცემის ატლასი (2021წ).

20 წლის წინ მოზრდილ ასაკში დიაბეტით დაავადებული პირების რაოდენობა მსოფლიოს მთელი მოსახლეობის 4,7%-ს შეადგენდა, 2016 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა 8,5%-ს მიაღწია, დაავადების გავრცელება 2016 წლისათვის გაორმაგდა. 2016 წელს მსოფლიოში ყოველ 10 წამში 2 პაციენტით იმატებდა შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთა რაოდენობა, რაც შეესაბამება 7 მილიონს წელიწადში. შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთა თითქმის ნახევარი 40-59 წლის ასაკის პირებია, მათგან 70% განვითარებადი ქვეყნებიდანაა. ექსპერტთა ვარაუდით, 2025 წლისათვის განვითარებად ქვეყნებში დიაბეტით

დაავადებულთა უდიდესი წილი ძირითადად შრომისუნარიანი(ასაკი 20-64) მოსახლეობა იქნება(IDF, 2019).

დიაბეტის საერთაშორისო ფედერაციის 2021 წლის მონაცემებით გამოვლინდა ის 10 ქვეყანა სადაც შაქრიანი დიაბეტით დაავადებული მოსახლეობის რიცხვი ყველაზე მაღალია, ასევე ნაჩვენებია სავარაუდო ზრდის მაჩვენებელი 2045 წლისათვის (დიაგრამა 1)



დიაგრამა 1. მსოფლიოს პირველი ათი ქვეყანა შაქრიანი დიაბეტით დასნებოვნებული მოსახლეობის(ასაკი 20-79წ) მიხედვით. მათი ზრდის ტენდენცია. დიაბეტის საერთაშორისო ფედერაცია IDF 2021


2019 წელს მსოფლიო მასშტაბით 351.7 მილიონი შრომისუნარიანი მოსახლეობა(ასაკი 20-64წ) შაქრიანი დიაბეტის დადასტურებული ან დაუდასტურებელი დიაგნოზით ცხოვრობდა. 2021 წელს კი ამ ციფრმა 537 მილიონამდე მიაღწია, ექსპერტების ვარაუდით აღნიშნული ციფრი 2030 წლისთვის 642.7 ხოლო 2045 წლისთვის კი 783.2 მილიონს მიაღწევს. განსაკუთრებით დიდი მატება დაფიქსირდება საშუალო და დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნათლად ჩანს შ.დ. დაავადებული შრომისუნარიანი ადამიანების რაოდენობის ზრდა და პრევალენტობის პროცენტი მსოფლიოში და კონკრეტულად დაბალ, მაღალ და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში(ცხრილი 1) (International Diabetes Federation, 2021)(IDF, 2019).

შაქრიანი დიაბეტით დაავადებული მოსახლეობა (20-79 ასაკობრივი დიაპაზონი) მსოფლიო ბანკის შემოსავლის მიხედვით გადანაწილებულ ქვეყნებში 2021 და 2045 წლებში				
	2021		2045	
მსოფლიო ბანკი შემოსავლის კლასიფიკაცია	შ.დ.-ის პრევალენტობა (%)	შ.დ.-ით დასნებოვნებული მოსახლეობა (მილიონი)	შ.დ.-ის პრევალენტობა (%)	შ.დ.-ით დასნებოვნებული მოსახლეობა (მილიონი)
მსოფლიო	10.5%	536.6	12.2	783.2
მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნები	11.1	103.9	12.4	117.7
საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნები	10.8	414	13.1	623.3
დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნები	18.8	5.5	6.1	42.2
სიკვდილიანობა		6.7		


ცხრილი 1. შაქრიანი დიაბეტით დაავადებული შრომისუნარიანი ადამიანების რაოდენობის 2021 და 2045 წლების განმავლობაში, ზრდადი პრევალენტობა (დიაბეტის საერთაშორისო ფედერაცია IDF 2019, 2021)

დიაბეტის პრევალენტობა მსოფლიო მასშტაბით მოსახლეობის ასაკის მატებასთან ერთად იზრდება და მაქსიმუმს 65 წლის შემდეგ აღწევს. დიაბეტის საერთაშორისო ფედერაციის მიხედვით 2020წელს გამოქვეყნებულ ანგარიშში - თუ 2019 წელს 135 მილიონი ადამიანი 65-99 ასაკის დიაპაზონში დაავადებული იყო შაქრიანი დიაბეტით, რაც მთლიან დაავადებულთა 19.3% შეადგენდა. 2021 წელს 75-79ასაკიში დიაბეტის პრევალენტობამ 24% შეადგინა, ხოლო 2045წელს კი სავარაუდოდ 24.7% იქნება. დიაბეტით დაავადებულთა რიცხვის ზრდა მხცოვან ასაკში, თავის მხრივ ზრდის ჯანდაცვის სისტემის დანახარჯებს და რჩება ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად ქვეყნების ეკონომიკისათვის. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნათლად ჩანს შაქრიანი დიაბეტის მზარდი გავრცელება 65წლის > პაციენტებში,

მზარდი პრევალენტობის პროცენტით(დიაგრამა 2,3) (International Diabetes Federation, 2021) (IDF, 2019).



დიაგრამა 2. შაქრიანი დიაბეტის რაოდენობის ზრდა 20-79 წლის ასაკობრივ ჯგუფში (სვეტები) და მოსალოდნელი ზრდადი პრევალენტობა 2045 წლისათვის (შავი ხაზი). (დიაბეტის საერთაშორისო ფედერაცია IDF2021)




დიაგრამა 3. 65 წელს გადაცილებულ პაციენტებში შაქრიანი დიაბეტის რაოდენობის ზრდა 2019-2045წლების განმავლობაში, ზრდადი პრევალენტობა. (დიაბეტის საერთაშორისო ფედერაცია IDF)

ზრდადია შაქრიანი დიაბეტის შემთხვევები, განსაკუთრებით—ბავშვთა და მოზარდთა ასაკში. შ.დ. ტიპის მიხედვით განსხვავებული სტატისტიკაა მსოფლიოში. მაგალითად ევროპის ქვეყნებში ბავშვთა და მოზარდთა ასაკში დადგენილი შაქრიანი დიაბეტის თითქმის ყველა შემთხვევა ტიპი 1-ია, მაშინ როდესაც იაპონიაში შ.დ.-ის მეორე ტიპი უფრო ხშირია(IDF, 2019).

დიაბეტის საერთაშორისო ფედერაციის 2021 წელის ატლასის მიხედვით მსოფლიოში 0-14 წლამდე ასაკის მოსახლეობაში შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1-ის პრევალენტობა 651700, ხოლო ინსიდენტობა 108300-ია, ხოლო 0-19 წლამდე პრევალენტობაკი - 1,211,900, ხოლო ინსიდენტობა 149500-ია (International Diabetes Federation, 2021). პრევალენტობისა და ინსიდენტობის განსაკუთრებული ზრდა აღინიშნება ევროპის, აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, ინდოეთში, აშშ-ში, ბრაზილიაში, ჩინეთში, დიდი ბრიტანეთსა და რუსეთის ფედერაციაში (International Diabetes Federation, 2021) (IDF, 2019).

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით შაქრიანი დიაბეტისა და მისი გართულებებისაგან ყოველწლიურად მილიონობით ადამიანი იღუპება. 2019 წელს 4.2 მლნ ადამიანი გარდაიცვალა, ყველაზე დიდი სიკვდილიანობის მაჩვენებელი დაბალი შემოსავლის ქვეყნებში დაფიქსირდა. გარდაცვლილ ადამიანთა დაახლოებით 89% ცხოვრობდა აფრიკის და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. მსოფლიოში ყოველ 10 წამში ერთი ადამიანის გარდაცვალების მიზეზს დიაბეტთან დაკავშირებული გართულება წარმოადგენს. მსოფლიოში ყოველწლიურად საერთო გარდაცვლილ ადამიანთა 11.3%-ის გარდაცვალების მიზეზი შაქრიან დიაბეტთან არის დაკავშირებული, ხოლო აქედან თითქმის ნახევარი(46.2%) 20-79 წლის ასაკის მოსახლეობაა(WHO, 2019)(IDF, 2019). მსოფლიო მოსახლეობის 20-79 ასაკობრივ ჯგუფში შაქრიან დიაბეტით გამოწვეული სიკვდილიანობა საერთო სიკვდილიანობის დაახლოებით 10.7%-ს შეადგენს, რაც აღემატება სხვადასხვა დაავადებით გარდაცვლილთა რაოდენობას მაგალითად: 1.1 მლნ აივ-შიდსით, 1.8 მლნ ტუბერკულოზით და 0.4 მლნ მალარიით(IDF, 2019). 2021 წელს შაქრიანი დიაბეტისა და ისი გართულებების გამო 6.7 მილიონი ადამიანი გარდაიცვალა(International Diabetes Federation, 2021). ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია 2021 წელს შაქრიანი დიაბეტის მიზეზით გარდაცვლილი მოსახლეობის რაოდენობა (ასაკი 20-79წელი) (დიაგრამა 4)





დიაგრამა 4. მსოფლიოში 2021 წელს შ.დ.-ით გარდაცვლილთა რაოდენობა (ასაკი 20-79წელი), დიაბეტის საერთაშორისო ფედერაცია IDF 2021

დიაბეტის საერთაშორისო ფედერაციის მიერ 2020 წელს გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ მოსახლეობაში გარდაცვალების სიხშირე მომატებულია. შაქრიანი დიაბეტის შედეგად განვითარებული გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები და ინსულტი 2-3-ჯერ, სიბრმავე 10-ჯერ, ნეფროპათია 12-15-ჯერ, ქვემო კიდურების განგრენა 20-ჯერ არის მომატებული. ბევრ ქვეყანაში დიაბეტი სიბრმავის, თირკმლის უკმარისობის, გულ-სისხლძარღვთა დაავადების, ქვემო კიდურების ამპუტაციის ძირითადი მიზეზია (IDF, 2019)

აღსანიშნავია ის ფაქტიც რომ 2016 წელს მსოფლიო მოზრდილი მოსახლეობის საერთო პოპულაციიდან ორიდან ერთ ადამიანში შაქრიანი დიაბეტი არაღიაგნოსტირებული იყო. უამრავი ადამიანი შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ით ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ცხოვრობს ისე, რომ არ იცის ამ მდგომარეობის შესახებ. დიაგნოზის დადგენის მომენტში დიაბეტის გართულებები უკვე შეიძლება არსებობდეს. არაჯანსაღი კვება დაბალი ფიზიკური აქტივობა, ბევრ ქვეყანაში ბავშვთა და მოზარდთა ასაკში დიაბეტი ტიპი 2-ის განვითარებას მიზეზი ხდება, რაც შემდგომში შეიძლება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი პრობლემა გახდეს; არაღიაგნოსტირებული შაქრიანი დიაბეტის 80% ძირითადად დაბალი და საშუალო შემოსავლის ქვეყნებში ცხოვრობს, რომლის ნათელი




მაგალითს წარმოადგენს სუბ-საჰარის რეგიონი აფრიკაში, სადაც არადიაგნოსტირებული შაქრიანი დიაბეტის პროცენტი 66,7%-ს აღწევს (Ministry of Internally Displaced Persons from the occupied Territories, Labor, 2016).

შაქრიანი დიაბეტის გავრცელების ეპიდემიოლოგიური თავისებურებები საქართველოში

საქართველოში შაქრიანი დიაბეტი სხვა არაგადამდებ დაავადებებთან ერთად ჯანდაცვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. დაავადების გავრცელება ქვეყანაში საკმაოდ მაღალია. (დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, 2017)

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის 2021 წლის სტატისტიკური ცნობარის მიხედვით უკანასკნელ წლებში საქართველოში აღინიშნებოდა ზოგადად დიაბეტის კლების ტენდენცია, თუმცა 2021 წელს დაფიქსირდა შაქრიანი დიაბეტის ტიპი II ახალი შემთხვევების მატება ინციდენტობის მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე გაუტოლდა 291.1 (2020 წელს - 236.0) (დიაგრამა 5) (დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, 2021).

შაქრიანი დიაბეტის ინციდენტობის მაჩვენებელი დიაბეტის ტიპის მიხედვით, საქართველო



დიაგრამა 5. შაქრიანი დიაბეტის ინციდენტობის მაჩვენებელი დიაბეტის ტიპის მიხედვით საქართველოში. წყარო-დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

2021 წელს შაქრიანი დიაბეტის ტიპი I ახალი შემთხვევების 16.4% რეგისტრირებული იყო 15 წლამდე ბავშვებში (2020 წელს - 7.9%). შაქრიანი დიაბეტის ტიპი II 8 ახალი შემთხვევა რეგისტრირებული ბავშვებში (2020 წელს - 19)(დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, 2021).

არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების კვლევის (STEPS-2016) მონაცემებით, უზმოზე გლუკოზის მომატებული მაჩვენებელი (6.1-7.0 მმოლ/ლ) 18-69 წლის მოსახლეობის 2%-ს აღმოაჩნდა, ხოლო უზმოზე გლუკოზის მაღალი მაჩვენებელი (>7 მმოლ/ლ) – მოსახლეობის 4.5%-ს(დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, 2021).

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის 2020 წლის სტატისტიკური ცნობარის მიხედვით საქართველოში შაქრიანი დიაბეტის ინსიდენტობა 100 000 ზრდასრულ და 0-15 წლამდე მოსახლეზე 2019 და 2020 წლებში შემდეგია (ცხრილი 2,3) (დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, 2020)

**შაქრიანი დიაბეტი, საქართველო**

ახალი შემთხვევები	2019		2020	
	რაოდენობა	ინციდენტობა 100000 მოსახლეზე	რაოდენობა	ინციდენტობა 100000 მოსახლეზე
<b>შაქრიანი დიაბეტი სულ</b>	<b>16598</b>	<b>446.2</b>	<b>10213</b>	<b>214.3</b>
შაქრიანი დიაბეტი, ტიპი I	1552	41.7	1238	33.3
შაქრიანი დიაბეტი, ტიპი II	11662	313.5	8786	236.0
<b>წლის ბოლოს მეთვალყურეობაზე მყოფი კონტინგენტი</b>	<b>რაოდენობა</b>	<b>პრევალენტობა 100000 მოსახლეზე</b>	<b>რაოდენობა</b>	<b>პრევალენტობა 100000 მოსახლეზე</b>
<b>შაქრიანი დიაბეტი სულ</b>	<b>78700</b>	<b>2115.5</b>	<b>94269</b>	<b>2532.3</b>
შაქრიანი დიაბეტი, ტიპი I	13222	355.4	13771	369.9
შაქრიანი დიაბეტი, ტიპი II	65478	1760.1	71449	1919.3


ცხრილი 2. საქართველოში შაქრიანი დიაბეტის ინსიდენტობა ზრდასრულებში. წყარო: დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

**შაქრიანი დიაბეტი 0-15 წლამდე ასაკის ბავშვებში, საქართველო**

ახალი შემთხვევები	2019		2020	
	რაოდენობა	ინციდენტობა 100000 ბავშვზე	რაოდენობა	ინციდენტობა 100000 ბავშვზე
შაქრიანი დიაბეტი სულ	<b>123</b>	<b>16.3</b>	<b>117</b>	<b>15.4</b>
შაქრიანი დიაბეტი, ტიპი I	73	9.6	98	12.9
შაქრიანი დიაბეტი, ტიპი II	11	1.5	19	2.5
წლის ბოლოს მეთვალყურეობაზე მყოფი ავადმყოფები	რაოდენობა	პრევალენტობა 100000 ბავშვზე	რაოდენობა	პრევალენტობა 100000 ბავშვზე
შაქრიანი დიაბეტი სულ	<b>358</b>	<b>47.3</b>	<b>369</b>	<b>48.4</b>
შაქრიანი დიაბეტი, ტიპი I	232	30.7	227	29.8
შაქრიანი დიაბეტი, ტიპი II	49	6.5	32	4.2


*ცხრილი 3. საქართველოში შაქრიანი დიაბეტის ინციდენტობა 0-15 წლის მოსახლეობაში. წყარო: დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი*

2021 წლის დიაბეტის საერთაშორისო ფედერაციის მე-10-ე გამოცემის ატლასის მონაცემებით საქართველოში შაქრიანი დიაბეტის მზარდი სტატისტიკა გვაძლევს საშუალებას რომ ვიწინასწარმეტყველოთ მზარდი ტენდენციები. 2019 წელს 20-79 წლის საქართველოს მოსახლეობის 5.8% იყო დაავადებული შაქრიანი დიაბეტით, მართალია 2021 წლის მონაცემებით რაოდენობა პრაქტიკულად იგივე დარჩა - 5.7%, მაგრამ სავარაუდოა რომ 2030 წელს ეს ციფრი 6.3% ხოლო 2045წელს კი 6.6% იქნება. დიაბეტის პრევალენტობა 2021 წელს - 190 600, ხოლო 2030 წელს სავარაუდოდ 192 100 იქნება (დიაგრამა 6) (International Diabetes Federation, 2021)(IDF, 2019).



*დიაგრამა 6. საქართველოში შაქრიანი დიაბეტით დაავადებული მოსახლეობის პროცენტულობის ზრდა წლების მიხედვით, დიაბეტის საერთაშორისო ფედერაცია IDF 2021*

ამავე ატლასის მონაცემებით სავარაუდოა რომ საქართველოში 2021 წელს არადიაგნოსტირებული შაქრიანი დიაბეტით 75400 მოსახლეა დაავადებული, რაც შაქრიანი დიაბეტით დაავადებული მოსახლეობის 39.6%-ია. 2019წელს შაქრიანი დიაბეტით 2 883 ადამიანი გარდაიცვალა, 60 წლამდე მოსახლეობაში შაქრიან დიაბეტთან დაკავშირებული სიკვდილიანობა მთლიანი სიკვდილიანობის 29%-ია. 2021 წელს კი 4271 ადამიანი დაიღუპა დიაბეტთან დაკავშირებული გართულებებით. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც რომ 2021 წელს ზრდასრული 20-79წ ასაკის მოსახლეობა 3 155 200 იყო, სავარაუდოა რომ 2030 წლისთვის ეს ციფრი 2 720 100-მდე შემცირდება, ხოლო 2045 წლისთვის კი 2 550 000 მილიონი იქნება. ზრდასრული შრომისუნარიანი მოსახლეობის ნაადრევი სიკვდილიანობა ან ინვალიდიზაცია უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე და ზრდის ჯანმრთელობის დანახარჯებს. მაგალითად 2010 წელს შაქრიანი დიაბეტის და მასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო საერთო დანახარჯებმა 42.3 მილიონი დოლარი შეადგინა, 2021 წელს საერთო დანახარჯი 167.2 მილიონ დოლარამდე გაიზარდა, სავარაუდოა რომ 2030 წელს ეს ციფრი 179.7 მილიონი, ხოლო 2045წელს შეიძლება 163.7 მილიონი გახდეს (დიაგრამა 7) (International Diabetes Federation, 2021)(IDF, 2019).



დიაგრამა 7. საქართველოში შაქრიან დიაბეტთან დაკავშირებული დანახარჯები წლების მიხედვით, დიაბეტის საერთაშორისო ფედერაცია IDF 2021

ამგვარად, საქართველოში, ისე როგორც მსოფლიოში, შაქრიანი დიაბეტი და მისი გართულებები მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას წარმოადგენს სწრაფი ურბანიზაცია, არაჯანსაღი კვება და დაბალი ფიზიკური აქტივობა სიმსუქნითა და შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთა რაოდენობის მნიშვნელოვან მატებას განაპირობებს. თანამედროვე კვლევები და ანალიზი ნათლად ცხადყოფს სამთავრობო ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოების, სამედიცინო პერსონალის, სასწავლო დაწესებულებების, დიაბეტით დაავადებულ პაციენტთა ორგანიზაციების, კვების მწარმოებლებისა და ფარმაცევტული კომპანიების პასუხისმგებლობასა და აქტიურ ჩართულობას.

## 2.2.2. შაქრიანი დიაბეტის კლასიფიკაცია და განვითარება

1999 წელს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ შაქრიანი დიაბეტი განმარტა როგორც მულტიეტოლოგიური მეტაბოლური დაავადება, რომელიც ხასიათდება ქრონიკული ჰიპერგლიკემიით და ნახშირწყლოვანი, ცილოვანი და ცხიმოვანი ცვლის დარღვევით რაც გამოწვეულია ინსულინის სეკრეციის და/ან მოქმედების დარღვევით. შაქრიანი დიაბეტით გამოწვეული შორეული გართულებები მოიცავს სხვადასხვა ორგანოებისა და ორგანოთა სისტემების დისფუნქციასა და უკმარისობას. შაქრიანი დიაბეტის მეტაბოლური დარღვევები ძირითადად გამოწვეულია ინსულინის მოქმედების-სენსიტიურობის თუ სეკრეციის დეფიციტით. (WHO, 1994)(IDF, 2019)(WHO, 1999)

დიაბეტის კლასიფიკაცია მოიცავს ეტიოლოგიურ ტიპებს და ჰიპერგლიკემიის სხვადასხვა ეტაპებს. გამოყოფილია ოთხი ძირითადი კატეგორია: ტიპი 1 და ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტი, სხვა სპეციფიკური ტიპები და გესტაციური დიაბეტი (Ministry of Internally Displaced Persons from the occupied Territories, Labor, 2010a)(Ministry of Internally Displaced Persons from the occupied Territories, Labor, 2010b)(WHO, 2019)(WHO, 2006)

1. *შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1* მეტაბოლური დაავადებაა და ხასიათდება ინსულინის აბსოლუტური დეფიციტით განპირობებული ჰიპერგლიკემიით. მდგომარეობა ვითარდება პანკრეასის ბეტა უჯრედების დესტრუქციის გამო, უმეტესწილად

იმუნურად მიმდინარე მექანიზმებით. ზოგიერთ პაციენტთან შესაძლებელია არ იყოს პანკრეასის ბეტა უჯრედების ავტოიმუნური დესტრუქციის მტკიცებულება; ეს წარმოადგენს იდიოპათიურ ტიპი 1 შაქრიან დიაბეტს. (BMJ Best Practice, 2019)

2. ტიპი 2 დიაბეტის შემთხვევაში თავის იჩენს მეტაბოლური სინდრომი, მაღალი არტერიული წნევა, ჭარბი წონა, დისლიპიდემია, რაც უმეტესად მჯდომარე ცხოვრების წესით, არაჯანსაღი კვებით არის გამოწვეული. მდგომარეობა, შესაძლოა, იყოს დიაპაზონში ინსულინ-რეზისტენტობიდან ინსულინის სეკრეციის დეფიციტამდე (ინსულინ-რეზისტენტობით ან მის გარეშე);
3. სხვა სპეციფიკური ტიპის დიაბეტის შემთხვევებში: შაქრიანი დიაბეტი შეიძლება იყოს “მეორადი” მაგ: ეგზოკრინული პანკრეასის დაავადებით, პანკრეატიტის, სხვადასხვა ტრამვების, ინფექციის შემდგომ განვითარებული შაქრიანი დიაბეტი, B-უჯრედების ფუნქციის გენეტიკური დეფექტით, ინსულინის აქტივობის გენეტიკური დეფექტით, რასაც მონეგენური შაქრიანი დიაბეტი ეწოდება, ასევე ენდოკრინოპათიებით, წამლისმიერი (თიაზიდური დიურეტიკები, სტეროიდები, ფენიტონინი, ნიკოტინის მჟავა, თიროიდული ჰორმონები,  $\alpha$ -ინტერფერონი) ან ქიმიური აგენტით, ინფექციებით, იმუნო-მედიაციის იშვიათი ფორმებით გამოწვეული; გენეტიკურ სინდრომებთან ასოცირებული დიაბეტი (მაგ. დაუნის სინდრომი, პრადერ ვილის სინდრომი, ფრიდრეიხის ატაქსია, კლაინფელტერის სინდრომი, ვოლფრამის სინდრომი)(Murphy, Ellard, & Hattersley, 2008)(Vaxillaire, Bonnefond, & Froguel, 2012)(Cnop, Toivonen, Igoillo-Esteve, & Salpea, 2017)(Flannick, Johansson, & Njølstad, 2016);
4. გესტაციური შაქრიანი დიაბეტი - ეს არის ორსულობის დროს განვითარებული გლუკოზისადმი ტოლერანტობის დაქვეითება. გესტაციური შაქრიანი დიაბეტი გულსხმობს გლუკოზის ნებისმიერ დარღვევას, რომელიც ორსულობისას ჩნდება და ქრება მშობიარობის შემდგომ. გესტაციური შაქრიანი დიაბეტით ქალების 70%-ს დროთა განმავლობაში უვითარდებათ დიაბეტი.(Ministry of Internally Displaced Persons from the occupied Territories, Labor, 2010a)(WHO, 2019)(WHO, 1999)

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისა (WHO) და ამერიკის დიაბეტის ასოციაციის (ADA) თანამედროვე კრიტერიუმებით (Ministry of Internally Displaced Persons from the occupied Territories, Labor, 2010a) (Rydén et al., 2007) შემუშავებულია რეკომენდაციები გლუკომეტაბოლური დარღვევის დეფინიციისათვის. კრიტერიუმები დამყარებულია სისხლში გლუკოზის შემცველობაზე უზმოზე და დატვირთვიდან ორი საათის შემდეგ. გლუკო-მეტაბოლური დარღვევის დეფინიციისათვის გამოხატული ჰიპერგლიკემიის გარეშე შემთხვევებში, უნდა ჩატარდეს 75 გ გლუკოზით სტანდარტული გლუკოზისადმი ტოლერანტობის პერორალური ტესტი (გტპტ) (Ministry of Internally Displaced Persons from the occupied Territories, Labor, 2010a) (Rydén et al., 2007) შაქრიანი დიაბეტის დროს ადგილი აქვს ინსულინის აბსოლუტურ ან შედარებით უკმარისობას. აბსოლუტური უკმარისობის დროს კუჭუკანა ჯირკვალი სრულებით არ გამოიმუშავებს ან თითქმის არ გამოიმუშავებს ინსულინს (შედარებითი უკმარისობის დროს გამომუშავებული ინსულინი საკმარისი არ არის ორგანიზმის საჭიროებებისათვის).

### **შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1**

შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1-ის ინციდენტობას მნიშვნელოვანი ვარიაციები ახასიათებს გეოგრაფიულად. ის უფრო ხშირია ევროპელებში და ნაკლებად ხშირი აზიელებში. ამგვარად, ფინეთში ბავშვებს 40-ჯერ მეტი ალბათობა აქვთ ტიპის 1 დიაბეტის განვითარებისა, ვიდრე იაპონელ ბავშვებს და თითქმის 100-ჯერ მეტი ალბათობა დაავადების შესაძენად, ვიდრე ჩინეთის რეგიონის ბავშვებს (Onkamo, Väänänen, Karvonen, & Tuomilehto, 1999). მთელს მსოფლიოში დიაბეტი ტიპი 1-ის ინციდენტობა იზრდება 3%-ით ყოველწლიურად, თუმცა ამის მიზეზი უცნობია (C. C. Patterson, Dahlquist, Soltész, & Green, 2000) (Adeloye et al., 2018) (C. C. Patterson et al., 2012) (Karvonen, 2006). დიაბეტის საერთაშორისო ფედერაციის 2020 წლის ანგარიშის თანახმად, უფრო სწრაფი ზრდა არათეთრკანიან რასასა და ეთნიკურ ჯგუფებში აღინიშნებოდა (Mayer-Davis et al., 2017). დიაბეტი ტიპი 1 ნებისმიერ ასაკში შეიძლება გამოვლინდეს, ყველაზე



მაღალი სიხშირით კი 10-14 წლის ბავშვებში ვლინდება (Maahs, West, Lawrence, & Mayer-Davis, 2010)(BMJ Best Practice, 2019).

ბავშვთა ასაკში შაქრიანი დიაბეტის შემთხვევების ყოველწლიური ზრდა დაახლოებით 3-4% მდე მერყეობს(Christopher C. Patterson et al., 2009)(WHO, 2019). თანაბარი სიხშირით ვლინდება ქალებსა და მამაკაცებში(Maahs et al., 2010). მიუხედავად იმისა რომ შ.დ. ტიპი 1 უმეტესად ბავშვთა ასაკში იწყება 84% დადასტურებული დიაგნოზის მქონე პაციენტები ზრდასრული მოსახლეობა(Centers for Disease Control and Prevention., 2014)(Centers for Disease Control and Prevention., 2020). შ.დ. ტიპი 1 დაახლოებით 13 წლით ამცირებს სიცოცხლის ხანგრძლივობას(მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში)(Livingstone et al., 2015). პროგნოზი განსაკუთრებით სავალალოა ქვეყნებში სადაც ინსულინის ხელმისაწვდომობა შეზღუდულია. შ.დ. ტიპი 1 და ტიპი 2-ის გარჩევა გარკვეულ შემთხვევებში შესაძლოა რთული იყოს, რაც თავის მხრივ მოქმედებს დაავადების ინსიდენტობასა და პრევალენტობაზე(Stenberg, 2015)(WHO, 2019). ბოლო წლებში ჩატარებული კვლევებით გამოიკვეთა გაზრდილი რისკ ფაქტორები ევროპეიდულ რასებში, აღნიშნული კვლევა ჩაატარა გაერთიანებული სამეფოს ბიობანკმა(Biobank), კვლევის თანახმად შაქრიანი დიაბეტი ტიპი-1 42% შემთხვევებში გამოვლინდა დაახლოებით 30წლის ასაკში, 4% შემთხვევაში კი დიაგნოსტირებულ იქნა 31-60წ ასაკის დიაპაზონში. გამოკვლეულთა კლინიკური მახასიათებლები გახლდათ: დაბალი სხეულის მასისი ინდექსი, ინსულინის გამოყენება დიაგნოზის დასმიდან 12 თვის განმავლობაში და დიაბეტური კეტოაციდოზის გაზრდილი რისკი(WHO, 2019)(N. J. Thomas et al., 2018).

ბეტა უჯრედების დაზიანების სიჩქარე გარკვეულ ინდივიდებში სხვადასხვაა(W. A. Hagopian et al., 1993). შ.დ.-ის სწრაფი პროგრესირება უმეტესად გვხვდება ბავშვთა და შესაძლოა ზრდასრულთა ასაკში. ზოგიერთ პაციენტში, განსაკუთრებით ბავშვებსა და მოზარდების პირველი მანიფესტაცია შესაძლოა სწორედ დიაბეტური კეტოაციდოზი გახდეს(Jackson et al., 2001). გარკვეულ პაციენტებში დიაბეტი შეიძლება გამოიხატოს საშუალო ჰიპერგლიკემიით და უეცრად გადავიდეს მწვავე ჰიპერგლიკემის ფორმაში ან კეტოაციდოზში ინფექციის ან რაიმე სტრესის ზეგავლენით. პაციენტების ნაწილში



ნარჩუნდება ბეტა უჯრედების გარკვეული აქტივობა რაც საკმარისია რომ თავიდან აცილებულ იქნეს დიაბეტური კეტოაციდოზი წლების განმავლობაში. შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1-ის კლასიკური კლინიკური გამოვლინების დროს ინსულინის სეკრეცია ძალიან მცირეა რაც ასევე თანდართულია სისხლსა და შარდში ც-პეპტიდის ძალიან მცირე რაოდენობასთან(Madsbad et al., 1980).

შ.დ. ტიპი 1-ით დაავადებული პაციენტების 90%-ს აქვს აუტოანტისხეულები ჩამოთვლილი ანტიგენებიდან სულ მცირე 3 მიმართ: გლუტამინ მჟავა დეკარბოქსილაზა (GAD); ინსულინი და თიროზინ- ფოსფატაზას მსგავსი მოლეკულა, კუნძულის ავტოანტიგენი-2 (IA-2)(Ziegler, Hummel, Schenker, & Bonifacio, 1999). ინდივიდთა 25%-ზე მეტს, რომელსაც აღნიშნული სიმპტომები ან კუნძულის ციტოპლაზმური აუტოანტისხეულები არ აქვს, აქვს ანტისხეულები პანკრეასის ბეტა-უჯრედების თუთიის სპეციფიკური ტრანსპორტერის, ZnT8-ის მიმართ(Wenzlau et al., 2007)(Eisenbarth, 2007)(BMJ Best Practice, 2019). ამასთან ერთად, მოზრდილთა 10 %-ს, რომელსაც აქვს შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2, შესაძლოა ჰქონდეს მოცირკულირე ანტისხეულები კუნძულის უჯრედების მიმართ ან ანტისხეულები გლუტამინ მჟავა დეკარბოქსილაზას მიმართ, რაც მიუთითებს ბეტა უჯრედების აუტოიმუნურ დესტრუქციაზე(Groop, Niskanen, & Karjalainen, 1995) (BMJ Best Practice, 2019).

ადამიანის ზოგიერთი ლეიკოციტური ანტიგენის (HLA)-DR/DQ გენის პოლიმორფიზმი, განსაკუთრებით HLA-DR და HLA-DQ ალელები, ზრდის მგრძობელობას ან ამ დაავადებისგან დაცვის უნარს(Noble & Valdes, 2011)(Bach, 1991). მგრძობიარე პირებში გარემო ფაქტორებმა შესაძლოა განაპირობოს პანკრეასის ბეტა უჯრედების აუტოიმუნური დესტრუქცია. თუმცა დაავადების გავრცელების გეოგრაფიული ცვალებადობა და დიაბეტი ტიპი 1-ის სიხშირის ზრდა მსოფლიო მასშტაბით მიუთითებს დაავადების პათოგენეზში გარემო ფაქტორების ძირითად როლზე, ხოლო სპეციფიკური ფაქტორები უცნობი რჩება. ვირუსებიდან ყველაზე ძლიერი კავშირი გამოვლინდა ადამიანის ენტეროვირუსებთან(Hyöty, 2016)(Devendra, Liu, & Eisenbarth, 2004)(Hober & Sauter, 2010). რაც შეეხება კვებით ფაქტორებს, ჩვილებისთვის D ვიტამინის მიცემა შესაძლოა დამცავი ფაქტორი იყოს(Hyppönen,

Läärä, Reunanen, Järvelin, & Virtanen, 2001)(Wolden-Kirk, Overbergh, Christesen, Brusgaard, & Mathieu, 2011), საჭიროა დამატებითი კვლევები იმისათვის, რათა დადგინდეს ზრდის თუ არა ძროხის რძის, ადრეულ ეტაპზე მარცვლოვნების ან დედის მიერ D ვიტამინის მიღება ტიპი 1 დიაბეტის რისკს(Hyytinen et al., 2017)(Uusitalo et al., 2018)(Silvis et al., 2018). ცელიაკიას დაავადება ხასიათდება ტიპი 1 დიაბეტის მსგავსი HLA-DQ2 გენოტიპით და უფრო ხშირია ტიპი 1 დიაბეტი მქონე პაციენტებში(W. Hagopian et al., 2017)(Kakleas et al., 2010). ტიპი 1 დიაბეტის ინსიდენტობა შესაძლოა უფრო მაღალი იყოს ცელიაკიის მქონე პაციენტებში, თუმცა გამომწვევთან კავშირი დადგენილი არ არის(Ludvigsson, Ludvigsson, Ekblom, & Montgomery, 2006)(BMJ Best Practice, 2019).

ევროპეიდულ პოპულაციაში გენეტიკური დარღვევები უმეტესად ასოცირებულია HLA DQ8 და DQ2. პათოგენეზი ჯერ ჯერობით უცნობია(Gianani et al., 2010), თუმცა შესაძლოა რომ ეს დაკავშირებული იყოს მონოგენურ დიაბეტთან. შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1-ის ფორმების გავრცელება დაკავშირებული იყოს გეოგრაფიულ მდებარეობასთან და რასასთან. მაგალითად ფულმინანტური ტიპის შაქრიანი დიაბეტი უმეტესად გავრცელებულია აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში(Hanafusa & Imagawa, 2007)(Imagawa, Hanafusa, Miyagawa, & Matsuzawa, 2000), იაპონიაში გვხვდება დაახლოებით შემთხვევათა 20%-ში(Imagawa et al., 2012), კორეაში -7%-ში(Cho et al., 2007). ხშირია ჩინეთში(S. Luo et al., 2013) მაგრამ შედარებით იშვიათია ევროპის რეგიონში. ძირითადი კლინიკური მახასიათებლები ფულმინანტური ტიპის დიაბეტისა არის: ჰიპერგლიკემიის გამოვლენამდე ძალიან მცირე ხანგრძლივობა(ერთ კვირაზე ნაკლები), ც-პეპტიდის არასებობა და კეტოაციდოზი დიაგნოზის დასმისას, უმეტესად არ ვლინდება ბეტა უჯრედების აუტოანტისხეულები, პანკრეასის ფერმენტების გაზრდილი დონე, გრიპის მაგვარი ან გასტროინტესტინალური სიმპრომების არსებობა დაავადების გამოვლენამდე. პანკრეასში აღინიშნება უჯრედული ინფილტრაცია და ბეტა უჯრედების სწრაფი დესტრუქცია. აუტოანტისხეულების განსაზღვრას დიდი მნიშვნელობა აქვს ეტიოლოგიის და პათოგენეზის გარკვევაში. თუმცა მეორე მხრივ აუტოანტისხეულების არსებობას ან

არარსებობას მცირე მნიშვნელობა აქვს შ.დ.-ის კლინიკური განვითარებაში. ანტისხეულების განსაზღვრა მნიშვნელოვანია სწორი დიაგნოზის დასმისას როცა განსასხვავებელია ტიპი 1 და ტიპი 2, თუმცა მკურნალობის სქემაში ინსულინის ჩართვის გადაწყვეტილებაზე ამ მარკერების არსებობამ არ უნდა იმოქმედოს (WHO, 2019).

ბეტა უჯრედების დესტრუქცია თვეების ან წლების განმავლობაში სუბკლინიკურად, ინსულიტის სახით მიმდინარეობს (ბეტა უჯრედების ანთება). როდესაც ბეტა უჯრედების 80-90% დაიშლება, ვითარდება ჰიპერგლიკემია. დიაბეტი ტიპი 1-ის პათოფიზიოლოგიაში ინსულინის მიმართ რეზისტენტობა დიდ როლს არ ასრულებს. თუმცა, სიმსუქნის ფართოდ გავრცელებასთან ერთად, ზოგიერთი პაციენტი დიაბეტი ტიპი 1-ით, ინსულინის დეფიციტთან ერთად შესაძლოა ინსულინის მიმართ რეზისტენტულიც იყოს. ინსულინის დეფიციტის მქონე პაციენტებს არ აქვთ უნარი გამოიყენონ გლუკოზა პერიფერიულ კუნთებში. ეს ასტიმულირებს ანტაგონისტური ჰორმონების სეკრეციას, როგორცაა გლუკაგონი (Godoy-Matos, 2014) (Unger & Orci, 1983), ადრენალინი (ეპინეფრინი), კორტიზოლი და ზრდის ჰორმონი. ეს ანტაგონისტური ჰორმონები, განსაკუთრებით გლუკაგონი, ხელს უწყობს გლუკონეოგენეზს, გლიკოგენოლიზს და კეტოგენეზს ღვიძლში. შედეგად, პაციენტებს აქვთ ჰიპერგლიკემია და მეტაბოლური აციდოზი. ხანგრძლივი ჰიპერგლიკემია იწვევს სისხლძარღვოვან გართულებებს სხვადასხვა ფაქტორის კომბინაციის გამო, მათ შორის ქსოვილებსა და შრატში ცილების გლიკოზირებას, სორბიტოლის წარმოქმნას და თავისუფალი რადიკალებით დაზიანებას. მიკროვასკულური გართულებები მოიცავს რეტინოპათიას, ნეიროპათიას და ნეფროპათიას. მაკროვასკულური გართულებები მოიცავს გულსისხლძარღვთა, ცერებროვასკულურ და პერიფერიული სისხლძარღვების დაავადებებს. ჰიპერგლიკემია იწვევს ჟანგვით სტრესს და ანთებას. ჟანგვითმა სტრესმა შესაძლოა გამოიწვიოს ენდოთელური დისფუნქცია აოზტის ოქსიდის ნეიტრალიზაციის გზით. დისფუნქციური ენდოთელიუმი ხელს უწყობს დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების LDL-ის შესვლას სისხლძარღვების კედელში,

რაც იწვევს ნელი ანთებითი პროცესის ინდუქციას და ათერომების წარმოქმნას.(Garg, Chaudhuri, Munschauer, & Dandona, 2006)(BMJ Best Practice, 2019)

ერთ-ერთი ძირითადი თეორია, რომელიც ხსნის ტიპი 1 დიაბეტის განვითარების მიზეზებს, ვირუსული ინფექციისა და მემკვიდრეობითი წინასწარგანწყობის მნიშვნელობაზეა აგებული. დიაბეტ-სპეციფიკური ICA (კუნძულის უჯრედის ანტისხეული), IAA (ინსულინ-აუტოანტისხეული), IA-2 (ინსულინომასთან ასოცირებული) და GAD (გლუტამინის მჟავას დეკარბოქსილაზის) ანტისხეულების არსებობა ვლინდება ორგანიზმში ინსულინ-დამოკიდებული დიაბეტის კლინიკურ გამოვლინებამდე წლობით ადრე(Ministry of Internally Displaced Persons from the occupied Territories, Labor, 2010a) დიაბეტ-სპეციფიკური ანტისხეულების არსებობისას ინდივიდს უვითარდება ინსულინდამოკიდებული დიაბეტის მწვავე შეტევა ან მისი ნელა პროგრესირებადი ფორმა. ტიპი 1 დიაბეტის განვითარებაში გამოიყოფა ხუთი სტადია: გენეტიკური წინასწარგანწყობა, გარემოსმიერი ინიცირება, აქტიური აუტოიმუნურობა, უჯრედების პროგრესირებული დესტრუქცია და ტიპი 1 დიაბეტის სიმპტომების გამოვლენა(Srikanta, Ganda, Eisenbarth, & Soeldner, 1983). ორგანიზმში ვირუსის მოხვედრისას ორგანიზმის იმუნური სისტემა იწყებს ანტისხეულების გამომუშავებას ვირუსის წინააღმდეგ, მაგრამ იმუნიტეტის ზოგიერთი მემკვიდრეობითი თავისებურების არსებობისას, ვირუსების განადგურების შემდეგ არ ხდება ორგანიზმის დამცველობითი ძალების «გამორთვა» და გრძელდება ანტისხეულების გამომუშავება, ხდება შეტევა საკუთარი ორგანიზმის უჯრედებზე. შაქრიანი დიაბეტის შემთხვევაში ეს არის პანკრეასის ბეტა-უჯრედები, რომლებიც დალუპვის გამო ვეღარ გამოიმუშავებენ საკმარისი რაოდენობის ინსულინს. მათი დალუპვა ხდება თანდათანობით. გარკვეული ხნის განმავლობაში ცოცხალი უჯრედები ჯერ კიდევ ახერხებენ ორგანიზმის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ინსულინზე, მაგრამ შემდეგ უჯრედების კატასტროფული შემცირების გამო ხდება შაქრიანი დიაბეტის სიმპტომების თანდათანობით გამოვლენა. ინსულინის 100%-იანი ნაკლებობა - ეს არის სწორედ ტიპი 1 შაქრიანი დიაბეტი(Peninsula Medical School, 2009)(Filippi & Von Herrath, 2008). ტიპი 2 დიაბეტი გამოწვეულია ინსულინის

არასაკმარისი სეკრეციის კომბინაციით ინსულინისადმი დაქვეითებულ მგრძნობელობასთან(Cosentino et al., 2020). ტიპი 2 დიაბეტის ადრეული სტადიისათვის დამახასიათებელია ორგანიზმის უჯრედებთან ინსულინის ურთიერთქმედების დარღვევა - ინსულინრეზისტენტობა, რაც იწვევს პოსტ-პრანდიულ (კვების შემდგომ) ჰიპერგლიკემიას. ამას თან სდევს გაუარესებული პირველი ფაზის ინსულინის პასუხი სისხლში გლუკოზის მომატებულ კონცენტრაციაზე(Ministry of Internally Displaced Persons from the occupied Territories, Labor, 2010a)(Bruce, Chisholm, Storlien, & Kraegen, 1988).

## **შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2**

შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2 შემთხვევათა დაახლოებით 90-95%-ში გვხვდება. განსაკუთრებით დაბალ და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში. შაქრიანი დიაბეტი დიდი ხანია გლობალურ პრობლემად იქცა რას დაკავშირებულია კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ცვლილებებთან, ასაკოვანი მოსახლეობის რაოდენობის ზრდასთან, გაზრდილ ურბანიზაციასთან, ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს საკვების რაციონი - მაღალკალორიული, მარტივი ნახშირწყლებით, მაღალი გლიკემიური ინდექსის მქონე საკვები, სიმსუქნე, ფიზიკური აქტივობის სიმცირე, არაჯანსაღი ცხოვრების სტილი, ორსულთა ჰიპერგლიკემია რაც რათქმაუნდა ნაყოფზეც მოქმედებს. შაქრიანი დიაბეტი უმეტესად მოზრდილთა ასაკში გვხვდება მაგრამ ბოლო პერიოდში ბავშვთა და მოზარდთა ასაკში მისი რაოდენობა გახშირდა(WHO, 2016)(WHO, 2019). ბეტა უჯრედების დისფუნქცია შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის განვითარების მიზეზი ხდება. შ.დ. ტიპი 2-ის პაციენტებს აღენიშნებათ ინსულინის დეფიციტი მაგრამ დაავადების დასაწყის სტადიაში ინსულინის რაოდენობა სისხლში მომატებულია რასაც თან ერთვის ინსულინისადმი რეზისტენტობის მატება(S. E. Kahn, Cooper, & Del Prato, 2014). შ.დ. ტიპი 2 პაციენტების უმეტესობა ჭარბწონიანია/მსუქანია რაც თავის მხრივ ზრდის ინსულინისადმი რეზისტენტობას(Stumvoll, Goldstein, & van Haefen, 2005)(Bogardus, Lillioja, Mott, Hollenbeck, & Reaven, 1985). პაციენტების ის ნაწილი რომელთაც სხეულის მასის ინდექსით(სმი, BMI) სიმსუქნე არ ახასიათებს,

გამოხატული აქვთ ჭარბი ცხიმის დაგროვება მეტწილად აბდომინალურ მიდამოში, რაც მიუთითებს ვისცერალურ ცხიმის დაგროვებაზე-როგორც რისკ ფაქტორზე ჯანმრთელ პოპულაციასთან შედარებით(Mooy et al., 1995). აღსანიშნავია ისიც რომ გარკვეულ პოპულაციაში მაგალითად აზიელებში ბეტა უჯრედების დისფუნქცია/დაზიანება უფრო ხშირია ვიდრე ევროპულ რასაში(R. C. W. Ma & Chan, 2013). ბეტა უჯრედების დაზიანება ასევე შედარებით ხშირია მცირე წონიან მოსახლეობაში დაბალ და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებიდან (მაგალითად ინდოეთი)(Venkat Narayan, 2016), აღსანიშნავია ისიც რომ მსგავსი ტენდენცია იკვეთება იმ ინდოელ პოპულაციაში, რომლებიც მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში ცხოვრობენ.(Kanaya et al., 2014)(Gujral, Narayan, Kahn, & Kanaya, 2014)

შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ით დაავადებულ პაციენტთა უმრავლესობა ინსულინით მკურნალობას არ საჭიროებს, მაგრამ შესაძლოა ჩართული იყოს მკურნალობის სქემაში სისხლში გლუკოზის კონცენტრაციის დასარეგულირებლად და გართულებების თავიდან ასაცილებლად. შ.დ. ტიპი 2 ხშირად წლების განმავლობაში “ჩუმად” დიაგნოზის დასმის გარეშე მიმდინარეობს, სისხლში გლუკოზა მომატებულია, მაგრამ ჰიპერგლიკემია მწვავე ხასიათს არ ატრებს, ყოველივე ეს კი თავიდან მწვავე გართულებებს ან პაციენტისთვის შესამჩნევ სიმპტომებს არ იწვევს(P. King, Peacock, & Donnelly, 2001)(Diabetes & Group, 1995). სწორედ მსგავსი არადიაგნოსტირებული პაციენტები არიან მაკროვასკულური და მიკროვასკულური გართულებების განვითარების მაღალი რისკის ქვეშ(Yoon et al., 2006). გართულებები განსაკუთრებით მწვავეა შ.დ. ტიპი 2-ის ადრეული დასაწყისის დროს, ისინი ასოცირდებიან უფრო აგრესიული ფენოტიპის მქონე დაავადებად რომლისთვისაც დამახასიათებელია უფრო მაღალი სიკვდილიანობის მაჩვენებელი, მეტი გართულებები, მეტად გაზრდილი კარდიოვასულარული დაავადებების რისკი ვიდრე შაქრიანი დიაბეტი ტიპ 1-ის დროს (Constantino et al., 2013)(Hamman et al., 2014). აქვე აღსანიშნავია რომ ზოგიერთ შემთხვევებში ადრეულ ასაკში (იუვენული დიაბეტი) დადგენილი შ.დ. ტიპი 2 რთულად ემორჩილება ორალურ ჰიპოგლიკემიურ საშუალებებს (Jonathan Posner, James A. Russell, 2012)(WHO, 2019).

ბევრი ფაქტორი მოქმედებს შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის განვითარებაზე: ასაკი, სიმსუქნე, არაჯანსაღი ცხოვრების წესი, გესტაციური დიაბეტი. შ.დ. ტიპი 2-ის სიხშირე ვარირებს სხვადასხვა რასასა და ეთნიკურ ჯგუფებში, განსაკუთრებით ახალგაზრდა და საშუალო ასაკის პირებში. არის გარკვეული პოპულაციები სადაც შ.დ ტიპი 2-ის მაღალი სიხშირით გამოირჩევა, მაგალითად ადგილობრივი ჩრ. ამერიკელები, წყნარი ოკეანის კუნძულების, ასევე აღმოსავლეთ და სამხრეთ აზიისა მაცხოვრებლები(Zimmet, Alberti, & Shaw, 2001)(Polonsky, Sturis, & Bell, 1996). ასევე ხასიათდება ოჯახური, გენეტიკური და ეპიგენეტიკური წინასწარგანწყობით(Zimmet et al., 2001)(Stumvoll et al., 2005), თუმცა T2DM გენეტიკური განწყობა საკმაოდ რთული და ჯერ ჯერობით გაურკვეველია, კვლევები აჩვენებს რომ შ.დ. ტიპი 2-ის ხშირი გენეტიკური ვარიანტი სხვადასხვა ეთნიკურ პოპულაციებშიც გვხვდება. (Fuchsberger et al., 2016)

კეტოაციდოზი იშვიათია მეორე ტიპის დიაბეტის დროს, ის უმეტესად ასოცირებულია სხვადასხვაგვარ სტრესთან, თანმხლებ დაავადებებთან მაგალითად როგორცაა ბაქტერიული და ვირუსული ინფექცია და ა.შ.(Newton & Raskin, 2004)(Umpierrez et al., 1995). ჰიპეროსმოლარული კომა ხშირად გვხვდება ასაკოვან ადამიანებში(Pasquel & Umpierrez, 2014). ჯერ ჯერობით T2DM სპეციფიური გამომწვევი არაა ცნობილი და ძირითადად შეუღლებულია მრავლობით მექანიზმთან.

### **პანკრეასის დაავადებები როგორც დიაბეტის გამომწვევი**

პანკრეასის ნებისმიერი პათოლოგია/დაზიანება შეიძლება გახდეს დიაბეტის გამომწვევის მიზეზი. მაგალითად: პანკრეატიტი, ტრავმა, ინფექცია, პანკრეასის სიმსივნე, პანკრეატექტომია(WHO, 2019)(Ewald et al., 2012)(Hart et al., 2016)(Permert et al., 1994). პანკრეასის ადენოკარცინომას დიაბეტის გამომწვევის მცირე პროცენტი ახასიათებს. ცისტურ ფიბროზის შემთხვევაში ირთვება პანკრეასის როგორც ეგზოკრინული ისე ენდოკრინული-ბეტა უჯრედების ფუნქცია, თუმცა მათ შორის კავშირი ჯერ ბოლომდე არ არის ცნობილი(Lee Dobson, Christopher D Sheldon, 2004). ფიბროკალკულოზური პანკრეატექტომიაც შეიძლება გახდეს დიაბეტის გამომწვევი მიზეზი, რაც შეიძლება აიხსნას პანკრეასის ფიბროზითა და კალციფიკაციებით მთავარ

სადინარში. პანკრეასის დაავადების შედეგად გამოწვეული დიაბეტის ინსიდენტობა 2.59 ია 100 000 მოსახლეზე წელიწადში, რომელიც უფრო ხშირია ვიდრე პირველი ტიპის დიაბეტი(ინსიდენტობა 1.64 100 000 მოსახლეზე წელიწადში). პანკრეასის სხვადასხვა დაავადების შედეგად გამოწვეული დიაბეტის 87.8% კლასიფიცირდება როგორ მეორე ტიპის დიაბეტი, მხოლოდ 2.7% შემთხვევაში როგორც ეგზოკრინული პანკრეასის დაზიანებით გამოწვეული დიაბეტი(WHO, 2019).

დიაგნოზის დადასტურებიდან 5 წლის განმავლობაში ინსულინით მკურნალობა შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ით დაავადებლი პაციენტების 4.1% სჭირდება, მწვავე პანკრეატიტით გამოწვეული დიაბეტის შემთხვევაში დაავადებულთა 20.9%-ს ხოლო პაციენტთა 45.8%-ს ქრონიკული პანკრეატიტით გამოწვეული დიაბეტის შემდგომ(Woodmansey et al., 2017).

### **ენდოკრინული დარღვევებით გამოწვეული დიაბეტი**

ზოგიერთ ჰორმონს(ზრდის ჰორმონი, კორტიზოლი, გლუკაგონი, ეპინეფრინი) ინსულინის მსგავსი მოქმედება ახასიათებს. დაავადებებს რომლებიც ხასიათდებიან ამ ჰორმონების ჭარბი გამოყოფით ასოცირდებიან დიაბეტთან(აკრომეგალი, კუშინგის სინდრომი, გლუკაგონომა, ფეოქრომოციტომა)(Richard I. G. Holt (Editor), Clive Cockram (Editor), Allan Flyvbjerg (Editor), 2010). სომატოსტატინომა იწვევს დიაბეტს ინსულინის სეკრეციის დათრგუნვის გზით(Krejs et al., 1979).

### **მედიკამენტებითა თუ სხვადასხვა ქიმიური აგენტებით გამოწვეული დიაბეტი**

სხვადასხვა მედიკამენტებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ინსულინის გამოყოფაზე(გლუკოკორტიკოიდები, თიროქსინი, თიაზიდები, ალფა-ადრენერგული აგონისტები, ბეტა ადრენერგული აგონისტები, ნიკოტინის მჟავა, პირინურონი, ალფა-ინტერფერონი და სხვა). ამ მედიკამენტებს შეუძლია გამოიწვიონ ისნულინო რეზისტენტობა ან ბეტა უჯრედების დისფუნქცია(WHO, 2019)(Pandit, 1993)(O'Byrne & Feely, 1990). შხამს/ტოქსინს როგორცა პირინურონი შეუძლია გამოიწვიოს ბეტა უჯრედების პერმანენტული დისფუნქცია(Esposti, Ngo, & Myers, 1996).

**ინფექციასთან დაკავშირებული დიაბეტი** გარკვეული ვირუსები ასოცირდება შაქრიანი დიაბეტის განვითარებასთან, თუმცა ზუსტი ეტიოლოგიური როლი ჯერ



ჯერობით უცნობია. შაქრიანი დიაბეტი შეიძლება განვითარდეს პაციენტებში თანდაყოლილი წითურა ინფექციით(Forrest, Menser, & Burgess, 1971). შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1 შეიძლება განვითარდეს კოქსაკი B ვირუსის, ციტომეგალოვირუსის, ადენოვირუსის და ყბაყურა ვირუსის შემდგომ(M. King, Bidwell, Shaikh, Voller, & Banatvala, 1983)(J Karjalainen, M Knip, H Hyöty, P Leinikki, J Ilonen, M L Käär, 1988)(Pak, Mcarthur, Eun, & Yoon, 1988).

### **იმუნურ სისტემასთან დაკავშირებული შაქრიანი დიაბეტის იშვიათი ფორმები**

პაციენტების გარკვეულ ნაწილში მწვავე ჰიპერგლიკემია შეიძლება განვითარდეს სპონტანურად რაც გამოწვეული შეიძლება იყოს ინსულინის მიმართ გამომუშავებული აუტოანტისხეულებით(WHO, 2019)(HIRATA & ISHIZU, 1972). ზოგიერთ პაციენტებს უვითარდებათ აუტოიმუნური პათოლოგიით გამოწვეული ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანება, რაც ვლინდება აქსიალური კუნთების სპაზმითა და ძლიერი ტკივილით(Solimena, Folli, Aparisi, Pozza, & De Camilli, 1990)(Levy, Dalakas, & Floeter, 1999). პაციენტებს აქვთ GAD65 აუტოანტისხეულების მაღალი ტიტრი და დაახლოებით ნახევარს დიაბეტი უვითარდება. პაციენტებს რომლებიც იღებენ ალფა ინტერფერონს ზოგიერთ შემთხვევაში უვითარდებათ ბეტა უჯრედების საწინააღმდეგო აუტოანტისხეულები, ზოგიერთ შემთხვევაში ყოველივე ინსულინის აბსოლუტურ უკმარისობასაც იწვევს(Fabris et al., 1998). ინსულინის რეცეპტორის აუტოანტისხეულებმა შეიძლება გამოიწვიონ დიაბეტი, ისინი უკავშირდებიან ინსულინის რეცეპტორს იჭერენ მის ადგილს და შესაბამისად მცირდება ინსულინის დაკავშირება სამიზნე ქსოვილებთან (C. R. Kahn, Baird, Flier, & Jarrett, 1977). ინსულინის რეცეპტორის აუტოანტისხეულები ნანახი იქნა სისტემური წითელი მგლურით და სხვა აუტოიმუნური პათოლოგიებით დაავადებულ პაციენტებში(Rosenstein, Advani, Reitz, & Kramer, 2001).

### **სხვადასხვა გენეტიკურ სინდრომებთან ასოცირებული შაქრიანი დიაბეტი**

მრავალი გენეტიკური პათოლოგია ზრდის დიაბეტის განვითარების რისკს. ეს პათოლოგიები ასოცირდება ადრეულ ასაკში განვითარებულ სიმსუქნესთან, ასეთია მაგალითად პრადერ-ვილის, ალსტორმის სინდრომი ან ბარდეტ-ბეილდის სინდრომი.

დაუნის, კლაინფელტერის და ტერნერის სინდრომის გამოწვევი ქრომოსომული ანომალიებიც შესაძლოა გახდეს დიაბეტის გამომწვევი. აღსანიშნავია ნევროლოგიური დარღვევებით მიმდინარე გენეტიკური პათოლოგიები როგორცაა ჰანტინგტონის ქორეა, მიოკლონური დისტროფია, ფრედრიხის ატაქსია და ა.შ.(WHO, 2019) (Robinson & Kessler, 1992).

2.2.3. კლინიკური სურათი და გართულებები, მათი სტატისტიკური და ეკონომიკური ანალიზი

ტიპი 1 შაქრიანი დიაბეტის გამოვლენა ხდება მწვავედ, რამდენიმე დღის განმავლობაში (წონის სწრაფი დაქვეითება, პოლიურია, გაძლიერებული წყურვილი, დაღლილობა და ლეთარგია, კეტოაციდოზი) ან ქვემწვავედ რამდენიმე კვირიდან რამდენიმე თვეში (გაძლიერებული წყურვილი, პოლიურია, ნიქტურია, შარდის შეუკავებლობა, დაღლილობა და ლეთარგია, წონის დაქვეითება, კანის რეკურენტული ინფექციები, გენიტალური სოკოვანი ინფექციები, დაქვეითებული მხედველობა).

ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტი მოგვიანებით განვითარებული დიაბეტია. მიუხედავად ამისა, ის შეიძლება იყოს ბავშვებსა და მოზარდებში, რომელთაც აქვთ ჭარბი წონა ან სიმსუქნე, ტიპი 2 დიაბეტის და მაღალი რისკის ჯგუფის ოჯახური ისტორია. დიაბეტის ორ ძირითად ტიპს უმეტესად შემდეგი მახასიათებლები განასხვავებს (Ministry of Internally Displaced Persons from the occupied Territories, Labor, 2010a):

მახასიათებელი	ტიპი 1	ტიპი 2
ასაკი	ახალგაზრდა (უმეტესად)	შუა ასაკი (უმეტესად)
დასაწყისი	სწრაფი	თანდათანობითი
მიდრეკილება კეტოზისაკენ	კი	არა
მიზეზი	ინსულინის დეფიციტი	ინსულინრეზისტენტული
სხეულის მასა	წონაში დაკლება	ჭარბი წონა
გენეტიკური	არა	კი (ოჯახური ანამნეზი)

არსებობს აუტოიმუნური დიაბეტის გვიან განვითარებული ფორმა, რომელიც საჭიროებს ინსულინთერაპიას დიაგნოზის დადგენიდან შედარებით მცირე პერიოდის (ხშირად მომდევნო 2 წლის განმავლობაში) შემდეგ. ამ ფორმას ეწოდება გვიან განვითარებული აუტოიმუნური დიაბეტი მოზრდილებში. ეს პაციენტები არიან შედარებით ახალგაზრდა ასაკის (30-40წ), გამხდრები, სხვა აუტოიმუნური დაავადებების (მაგ. ჰიპო ან ჰიპერთირეოიდიზმი) პერსონალური ან ოჯახური ისტორიით(Leslie, Lipsky, & Notkins, 2001)(Tozzoli, 2008). დიაგნოზის დადასტურება საჭიროა გლუტამინის მჟავას დეკარბოქსილაზის ანტისხეულების ტესტით (Piepoli et al., 2016)

რამდენიმე ფართო პროსპექტული დაკვირვებით (Ishemic Disease Risk Factor Study; ARIC study) მეტაბოლური სინდრომის დროს, სხვა პოპულაციასთან შედარებით შაქრიანი დიაბეტის განვითარების რისკი 5-ჯერ არის გაზრდილი(Shin et al., 2013)(Haffner, 2006) (Meigs et al., 2006)(Ärnlöv, Sundström, Ingelsson, & Lind, 2011). ამდენად, მეტაბოლური სინდრომის დროული ამოცნობა ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტის პრევენციისათვის არის აქტუალური.

შაქრიანი დიაბეტის გართულებები შეიძლება დავეყოს ორ დიდი ჯგუფად მწვავე და ქრონიკული გართულებები.

მწვევე გართულებები:

*დიაბეტური კეტოაციდოზი:* თუ გარკვეული მიზეზების გამო პირველი ტიპის შაქრიანი დიაბეტის დიაგნოზის დასმა გახანგრძლივდა პაციენტების უმეტესობას დიაბეტური კეტოაციდოზი(დკა) უვითარდება(Newton & Raskin, 2004)(WHO, 2019)(Umpierrez et al., 1995)(N. J. Thomas et al., 2018). დკა რთული მეტაბოლური დარღვევაა რომელიც სამედიცინო პერსონალისგან დიდი ყურადღებასა და ჩართულობას მოითხოვს. სათანადო მოვლის პირობებში გამოსავალი უმეტესად დამაკმაყოფილებელია, მაგრამ არსებობს ლეტალური შემთხვევებიც(10-15%), განსაკუთრებით თავის ტვინის შეშუპების განვითარებისას. ბოლოდროინდელი

კვლევების საფუძველზე გამოიკვეთა რომ დიაბეტურმა კეტოაციდოზმა შესაძლოა გამოიწვიოს არასასურველი ნეიროკოგნიტური შედეგები(Wolfsdorf et al., 2018)(Cameron et al., 2014). დკა-ის მკურნალობა ეკონომიკისათვის საკმაოდ დიდი ტვირთია, მაგალითად დიდ ბრიტანეთში ერთი პაციენტის მხოლოდ დიაბეტური კეტოაციდოზის მართვა სახელმწიფოს დაახლოებით 1400ფუნტი(1800\$) უჯდება(IDF, 2019)(Dhatariya et al., 2019).

შაქრიანი დიაბეტის ტიპი 2-ის დროს კეტოაციდოზი იშვიათადაა გამოხატული, უმეტესად შეუღლებულია თანმხლებ სტრესთან ან ინფექციასთან(Newton & Raskin, 2004)(WHO, 2019) (Umpierrez et al., 1995).

პირველი ტიპის დიაბეტი შედარებით იშვიათად გვხვდება განვითარებად ქვეყნებში, შესაბამისად ცოდნისა და გამოკვლევის დონე შედარებით შეზღუდულია, ამიტომაც ხშირად პირველი ტიპის დიაბეტის ნაცვლად ხშირად შეცდომით მალარიის, პნევმონიის, გასტონტერიტის, ტიფის, ადამიანის იმუნოდეფიციტური ვირუსის ან მალნუტრიციის დიაგნოზი ისმვა(Makani et al., 2003)(Rwiza, Swai, & McLarty, 1986). ამის შედეგად ხშირია კეტოაციდოზური კომა და სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებელი. დიაბეტური კეტოაციდოზი ბავშვთა ასაკში ტიპის 1 დიაბეტით სიკვდილიანობის ყველაზე ხშირი მიზეზია(Zabiullah Ali, Levine, Ripple, & Fowler, 2012)(IDF, 2019).

*ჰიპეროსმოლარული არაკეტოაციდური კომა:* ტიპი 2 დიაბეტის დროს ინსულინის დეფიციტი არ არის აბსოლუტური. სისხლში გლუკოზის ციფრები საკმაოდ მაღალია შესაბამისად სისხლის ოსმოლარობა მომატებულია კეტოაციდოზის გარეშე(Newton & Raskin, 2004)(Ministry of Internally Displaced Persons from the occupied Territories, Labor, 2010b).

ჰიპეროსმოლარული კომის კლინიკური ნიშნებია: მძიმე დეჰიდრატაცია, საერთო სისუტე, ქვედა კიდურების კრუნჩხვები, მხედველობის დარღვევები, დარღვეული ცნობიერება, კომა და შოკი. უნდა შემოწმდეს, ასევე, დამამძიმებელი ფაქტორები, მაგ. საშარდე ტრაქტის ინფექცია, პნევმონია, მიოკარდიუმის ინფარქტი ან ინსულტი (Ministry of Internally Displaced Persons from the occupied Territories, Labor, 2010b)(Wolfsdorf et al., 2018)

აღსანიშნავია რომ ჰიპეროსმოლარული კომის დროს პაციენტების 20% ჯერ კიდევ არ აქვთ დიაგნოსტირებული შაქრიანი დიაბეტი. ასაკოვანი პაციენტებში ჰიპეროსმოლარული კომის რისკი განსაკუთრებით იზრდება. სიკვდილიანობა 5-20%-ია, დაახლოებით 10-ჯერ უფრო მაღალი ვიდრე კეტოაციდოზური კომის დროს (Pasquel & Umpierrez, 2014)(IDF, 2019)

*ჰიპოგლიკემია:* ჰიპოგლიკემიური მდგომარეობები განსაკუთრებით ხშირია პირველი ტიპის დიაბეტის დროს, თუმცა ასევე გვხვდება მეორე ტიპის დროს განსაკუთრებით სულფანილმარდოვანას პრეპარატებით მკურნალობისას(D M Nathan et al., 1993)(Alsahli & Gerich, 2010). ჰიპოგლიკემიისას პაციენტს აღენიშნება კანკალი, სისუტე, ოფლიანობა, თავისტკივილი, დაბინდული მხედველობა და შიმშილი(Alberti & Zimmet, 1998). სწრაფი მოქმედების ნახშირწყლები როგორცაა ტკბილი სასმელები, გლუკოზის ტაბლეტები ან ტკბილეულის მიღებაა რეკომენდებული(IDF, 2019)(Seaquist et al., 2013).

*ინფექციები:* არაკონტროლირებადი შაქრიანი დიაბეტის მქონე პაციენტებში საკმაოდ ხშირია ბაქტერიული(განსაკუთრებით ანაერობული), მიკობაქტერიული და სოკოვანი ინფექციის განვითარების რისკი(ANNA PORADZKA, MARIUSZ JASIK, WALDEMAR KARNAFEL, 2013). იზრდება საშარდე სისტემის ინფექციათა რისკი, განსაკუთრებით კი შარდის ბუშტის ინსტრუმენტალური გამოკვლევების დროს. ქრონიკული პროცესი შესაძლებელია გადაიზარდოს საკმაოდ მწვავე ნეიროპათიასა და/ან იშემიური ტერფის მდგომარეობაში(WHO, 2006)(Peleg, Mccarthy, & Davis, 2007)(Suzanne Geerlings, Vivian Fonseca, David Castro-Diaz, James List, 2014). ტუბერკულოზი, კანის სოკოვანი ინფექცია, ნელა შეხორცებადი ჭრილობები კიდევ უფრო ზრდის სხვადასხვა გართულებების რისკს(Helene M. Calvet, MD, and Thomas T. Yoshikawa, 2001)(Peleg et al., 2007).

#### შაქრიანი დიაბეტის ქრონიკული გართულებები:

კარდიოვასკულური გართულებები

შაქრიანი დიაბეტის დროს განსაკუთრებით იზრდება კარდიოვასკულური გართულებების რიცხვი, რაც თავის მხრივ ზრდის ლეტალურ შედეგს(Hertzel C

Gerstein, 2015). კვლევებმა აჩვენა რომ კარდიოვასკულური გართულებების რისკი 1.6-2.6 შორის მერყეობს, რისკი უფრო იზრდება ადრეულ ასაკში დიაგნოსტირებული შაქრიანი დიაბეტის დროს, სქესის მიხედვით კი მცირე პროცენტში უფრო ხშირია ქალბატონებში(Emerging & Factors, 2010)(Sreenivasa Rao Kondapally Seshasai, Stephen Kaptoge , Alexander Thompson , Emanuele Di Angelantonio , Pei Gao , Nadeem Sarwar, Peter H Whincup , Kenneth J Mukamal , Richard F Gillum , Ingar Holme , Inger Njølstad , Astrid Fletcher , Peter Nilsson , Sarah, 2014). უზმოდ არსებული გლუკოზის, გლიკირებული ჰემოგლობინისა(HbA1c) თუ პოსტპრანდიული გლუკოზის სტანდარტული გადახრის ცვლილება ასოცირებულია კარდიოვასკულური დაავადებების 6-20%-იან ზრდასთან. დადგენილია რომ შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ პაციენტებში(საშუალო და მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში) კორონარული არტერიების დაავადება იზრდება 12-32%-ით, ხოლო ზოგადად კარდიოვასკულური დაავადებები 32%-ით(Thomas R. Einarson, Annabel Acs, Craig Ludwig, 2018). ჰიპერგლიკემია ასოცირებულია სიკვდილიანობის 15%-ით გაზრდასთან და საშარდე სისტემის გართულებებთან(Alegre-díaz, Ramirez, Hill, & Phil, 2017)(Global, Risk, & Diseases, 2014). ყველაზე კლასიკური კარდიოვასკულური გართულებები კორონარული არტერიების, ცერებროვასკულური და პერიფერიული არტერიების დაზიანება, აღსანიშნავია გულის უკმარისობა. ყოველივე ეს მანიფესტირდება როგორც მწვავე კორონარული სინდრომი, მიოკარდიუმის ინფარქტი, ჰემორაგიული ინსულტი ან უეცარი სიკვდილი. პერიფერიული არტერიების დაზიანებები ხშირად ხდება ქვედა კიდურების ამპუტაციის მიზეზი. სწორედ კარდიოვასკულურ დაავადებებზე მოდის სიკვდილიანობის 50% (IDF, 2019).

შაქრიანი დიაბეტი ზრდის კარდიოვასკულური დაავადებების რისკს სხვადასხვა მექანიზმებით: ინულინისადმი რეზისტენტობის მატება, ანთებითი ცვლილებები, ენდოთელური დიფუნქცია, ჰიპერგლიკემიის ტოქსიური მოქმედება მიკროსისხლძარღვებზე(Paneni, Beckman, Creager, & Cosentino, 2013). ჰიპერგლიკემია ასევე ასოცირებულია რიგ მეტაბოლურ დარღვევებთან როგორცაა არტერიული ჰიპერტენზია, დილიპიდემია, სიმსუქნე. კარდიოვასკულური დაავადებების რისკი

იზრდება თუ ყოველივეს ემატება თამბაქოს მოხმარება და მჯდომარე ცხოვრების წესი(IDF, 2019).

### ათეროსკლეროზი

ათეროსკლეროზი ერთ-ერთი ყველაზე ხშირი მაკროვასკულარული გართულებაა, ეს უკანასკნელი შაქრიანი დიაბეტით გამოწვეული სიკვდილიანობის 75% -ს შეადგენს, ეს მაჩვენებელი სამჯერ მეტია თუ შდ-ით არა დაავადებულ პაციენტებთან შედარებით (WHO, 2006)(Hurst & Lee, 2003)(Katakami, 2018)(Aronson & Rayfield, 2002)(Catey Bunce & Wormald, 2006). აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებში ჩატარებულ კვლევებით აღინიშნება რომ კორონარული არტერიების დაზიანებასთან დაკავშირებული სხვადასხვა კლინიკური გამოვლინებები 4ჯერ უფრო მაღალია შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ პაციენტებში(World Health Organization, 2001)(Ramachandran et al., 1999)(Kosiborod et al., 2018)(Agrawal et al., 2014)(Shera et al., 1995). კორონალური და ცერებრალური გართულებები ასევე 2-3 ჯერ უფრო ხშირად გვხვდება დიაბეტთან პაციენტებში, აღსანიშნავია რომ ასევე იზრდება მიოკარდიუმის ინფარქტის შემდგომი სიკვდილიანობის მაჩვენებელი(Olesen et al., 2019)(Dokken, 2008).

ათეროსკლეროზული გართულებების ზრდა შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ნებისმიერ პოპულაციაში გვხვდება. განვითარებად ქვეყნებში ცხოვრების წესის შეცვლა, ურბანიზაცია და ინდუსტრიალიზაცია ხშირად ათეროსკლეროზის ზრდასთან ასოცირდება(Yahagi et al., 2017)(Gassasse, Smith, Finer, & Gallo, 2017)(Dagogo-Jack, 2017). მართალია ათეროსკლეროზით დაავადებული პაციენტების უმეტესი რიცხვი მეორე ტიპის შაქრიან დიაბეტზე მოდის მაგრამ ასევე აღსანიშნავია რომ ათეროსკლეროზის განვითარების რისკი ასევე მაღალია I ტიპის შ.დ-ის დროს და შეიძლება ახალგაზრდა ასაკში გამოვლინდეს(Purnell et al., 2013)(Peña et al., 2018)(Martínez-Hervás et al., 2019)(Rao, Vaz, & Williams, 2019).

სიმსუქნე, განსაკუთრებით კი ვისცერალური ცხიმი წარმოადგენს ათეროსკლეროზისა და შაქრიანი დიაბეტის განვითარების რისკ ფაქტორს. ინსულინორეზისტენტობა,

დისლიპიდემია, არტერიული ჰიპერტენზია ან ამ გართულებების კომბინაცია თავის მხრივ ზრდის ათეროსკლეროზისა და შ.დ-ის განვითარების რისკს. (Ohman, Wright, Wickenheiser, Luo, & Eitzman, 2009)(Neeland et al., 2019)(Tanaka et al., 2019)

ფაქტორები რომელიც ზოგადად ათეროსკლეროზისადმი წინსწარგანწყობას ქმნიან (არდიაბეტიან პაციენტებში) რისკ ფაქტორებია დიაბეტით დაავადებულ პირებში. თამბაქო, არტერიული ჰიპერტენზია, ჰიპერქოლესტერინემია ზრდის ათეროსკლეროზის განვითარების რისკს. აღსანიშნავია რომ ნეფროპათია-ალბუმინურია >30მგ/24სთ ზრდის ათეროსკლეროზის განვითარების რისკს (Bernhard et al., 2003)(J. Lee & Cooke, 2011)(Hsu et al., 2009)(Kong et al., 2012).

შაქრიანი დიაბეტით გამოწვეული თვალის დაავადებები

დიაბეტით გამოწვეული თვალის დაავადებები (დთდ) ძირითადად აერთიანებს დიაბეტურ რეტინოპათიას(დრ), დიაბეტურ მაკულარულ შეშუპებას(დმშ), კატარაქტასა და გლაუკომას, ასევე ამ ჩამონათვალში შესაძლებელია შევიტანოთ მხედველობის გაორება და ფოკუსის დარღვევა. მრავალ ქვეყანაში დიაბეტური რეტინოპათია სიბრმავის ერთ ერთი მთავარი გამომწვევი მიზეზია, მიუხედავად იმისა რომ შესაძლებელია მისი პრევენცია და მკურნალობა.(IDF, 2019)(Catey Bunce & Wormald, 2006) (C. Bunce, Xing, & Wormald, 2010) (Buch et al., 2004) (Jeppesen & Bek, 2004) (Pezzullo, Streatfeild, Simkiss, & Shickle, 2018) (Jiao et al., 2017) (Chapman et al., 2019)(X. Zhang et al., 2017)(Cavan et al., 2017)(Yau et al., 2012)(World Health Organization, 2019)

ტიპი 1 შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ პირების უმრავლესობას დაახლოებით 20 წელიწადში უვითარდება დიაბეტური რეტინოპათია. დაავადებულთა 75%-ს შესაძლოა განუვითარდეს რეტინოპათიის ბევრად უფრო მწვავე სტადიები პროლიფერაციული რეტინოპათია. 2 ტიპის შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ პირების თითქმის 60% უვითარდება დრ, ხოლო 10% კი პროლიფერაციული რეტინოპათია, მათგან დაახლოებით 2% ის სიბრმავის მიზეზი რეტინოპათია ხდება. ეპიდემიოლოგიური კვლევები ასევე გვამცნობენ რომ შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ პირებში უფრო მაღალია გლაუკომისა და კატარაქტის განვითარება



ვიდრე შდ არადაავადებულ პირებში. (WHO, 2006)(WHO, 1999)(Fong et al., 2004)(Colagiuri et al., 2011)(Olafsdottir, Andersson, Dedorsson, & Stefánsson, 2014)

1980-2005 წლებში, 35 ქვეყანაში ჩატარებული გამოკვლევის თანახმად შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ პაციენტებში დიაბეტური რეტინოპათიის პრევალენტობა 35% შეადგენს, ხოლო მხედველობის საფრთხის შემცველი(სიბრმავის გამომწვევი დრ) კი 12% შედგენდა. (World Health Organization, 2015) დიაბეტური რეტინოპათიის პრევალენტობა იზრდება შაქრიანი დიაბეტის ხანგრძლივობის ზრდასთან ერთად როგორც ტიპი 1 ისე ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტის დროს. რეტინოპათიის პრევალენტობის ზრდა პირდაპირ კავშირშია გლიკემიური კონტროლის დარღვევასთან და არტერიულ ჰიპერტენზიასთან. დიაბეტური რეტინოპათია განსაკუთრებით ხშირი იყო პირველი ტიპით დაავადებულ პაციენტებში. ტიპი II დიაბეტით დაავადებულ პაციენტებში აღინიშნა პოპულაციური განსხვავება: აზიელებში(20.8%) კავკასიელებში(44.7%) და აფრო ამერიკელებში (55.7%)(IDF, 2019)

უფრო ახალი გამოკვლევების მიხედვით 2015 წლის მონაცემებით აშშ-ში დიაბეტური რეტინოპათიის(დრ) და სიბრმავის გამომწვევი დიაბეტური რეტინოპათიის(სგდრ) პრევალენტობა მერყეობდა შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1-ით დაავადებულ პაციენტებში დრ:36.5%-93.6% და სგდრ: 6.7-34.9% ხოლო შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ით დაავადებულებში კი დრ: 28.5%-40.3% და სგდრ4.4%-8.2%. აზიურ ქვეყნებში დიაბეტური რეტინოპათიის პრევალენტობის შედარებით დაბალი მაჩვენებელია 12.1-23%, ხოლო სგდრ კი 4.3-4.6%. გამოკალისია სინგაპური სადაც მაჩვენებელი ევროპული ქვეყნების მაჩვენებელს უტოლდება. (R. Lee, Wong, & Sabanayagam, 2015).

უელსში ჩატარებული ტიპი 1 შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ პაციენტებში დიაბეტური რეტინოპათიის პრევალენტობა 56%, სგდრ-11,2%; ხოლო ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ პაციენტებში დიაბეტური რეტინოპათიის პრევალენტობა 30.3%, სგდრ-2.9%; (R. L. Thomas et al., 2012) (R. L. Thomas, Halim, Gurudas, Sivaprasad, & Owens, 2019).

2019 წელს ჩატარებული კვლევით დიაბეტური რეტინოპათიის ინციდენტობა 2000 წლიდან გაიზარდა 2,2%-დან 12.7%-მდე, ხოლო სიბრმავის გამომწვევი დიაბეტური

რეტინოპათიის წლიური პროგრესირება კი 3.4%-დან 12.3%-მდე. (Sabanayagam et al., 2019).

დიაბეტური რეტინოპათიით გამოწვეული ეკონომიკური დანახარჯები საკმაოდ მაღალია, აღნიშნული პათოლოგია საკმაოდ მწვავედ მოქმედებს პაციენტის ცხოვრების ხარისხსა და ეკონომიკურ სტატუსზე. სხვადასხვა წამყვან ქვეყნებში ჩატარებული გამოკვლევებით (ავსტრალია, კანადა, ჰონ-კონგი, იაპონია, სინგაპური, ესპანეთი, შვედეთი, აშშ, ბრიტანეთი) ყველა ყვეყანაში აღინიშნება ძლიერ გაზრდილი ეკონომიკური დანახარჯები რაც გამოწვეულია დიაბეტური რეტინოპათიის გართულებებით. (IDF, 2019)(R. L. Thomas et al., 2019)(Jones & Edwards, 2010)(Rebecca L. Thomas et al., 2020).

დიაბეტური ნეფროპათია

თირკმლის ქრონიკული უკმარისობა(თქუ) შ.დ.-ით დაავადებულ პანიენტებში შესაძლოა ასოცირებული იყოს არტერიულ ჰიპერტენზიასთან, შარდის ბუშტის პოლინიროპათიულ დაავადებასთან, საშარდე გზების ინფექციის გაზრდის სიხშირესთან ან მაკროვასკულურ ანგიოპათიასთან. ბრიტანეთში შდ დაავადებული მოსახლეობის 25%-ს(Adler et al., 2003), ხოლო აშშ-ში 36%-ს აქვს თქდ. დაავადებულთა 19%-ში თქდ მესამე ხარისხისა ან უფრო მძიმე. (Saran et al., 2020) (U.S. National Institutes of Health. & Cowie CC, Casagrande SS, Menke A, Cissell MA, Eberhardt MS, Meigs JB, Gregg EW, Knowler WC, Barrett-Connor E, Becker DJ, Brancati FL, Boyko EJ, Herman WH, Howard BV, Narayan KMV, Rewers M, Fradkin JE, 2018)

დიაბეტური ნეფროპათია აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში თირკმლის უკმარისობის განვითარების ყველა ხშირი მიზეზია. (Al - Khader, 2001)(Alzaid, Sobki, & De Silva, 1994)(Al-Sayyari & Shaheen, 2011)(Farak & Al Wakeel, 2011) ასევე დიაბეტთან პაციენტების ადრეულ ასაკში გარდაცვალების ერთ ერთი უხშირესი მიზეზია. შაქრიანი დიაბეტით დაავადებული პაციენტებს 17 ჯერ უფრო ხშირად ემართებათ თირკმლის ქრონიკული დაავადებები ვიდრე შ.დ. არადაავადებულ პირებს.

მსოფლიოში 80% თირკმლის უკმარისობის საბოლოო სტადია სწორედ შაქრიანი დიაბეტის და/ან არტერიული ჰიპერტენზიის შედეგია. თირკმლის უკმარისობის განვითარება შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთა შორის ვარირებს 10-67%.(U.S. National Institutes of Health. & Cowie CC, Casagrande SS, Menke A, Cissell MA, Eberhardt MS, Meigs JB, Gregg EW, Knowler WC, Barrett-Connor E, Becker DJ, Brancati FL, Boyko EJ, Herman WH, Howard BV, Narayan KMV, Rewers M, Fradkin JE, 2018) თირკმლის უკმარისობის საბოლოო სტადიის განვითარება შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ პირებში 10-ჯერ უფრო მაღალია ვიდრე არადაავადებულთა შორის.

შაქრიანი დიაბეტი, არტერიული ჰიპერტენზია და თირკმლის ქრონიკული უკმარისობა მჭიდროს ურთიერთდაკავშირებული პათოლოგიები. შ.დ. ტიპი 2-ის დრო ჰიპერტენზია ხშირად წინ უსწრებს თირკმლის ქრონიკულ უკმარისობას და ხელს უწყობს ნეფროპათიის განვითარებას, მაშინ როდესაც შდ ტიპი 1-ის დროს არტერიული ჰიპერტენზია უმეტესად თირკმლის ქრონიკული უკმარისობის შედეგია.(Coresh, Astor, Greene, Eknoyan, & Levey, 2003)(Steinke, 2009) ჰიპერგლიკემია იწვევს გაძლიერებულ ფილტრაციასა და თირკმლის მორფოლოგიურ ცვლილებებს რაც თავის მხრივ ზრდის ალბუმინის ექსკრეციას(ალბუმინურიას, პოდოციტებისა და ფილტრაციული ზედაპირის დაზიანებას. (U.S. National Institutes of Health. & Cowie CC, Casagrande SS, Menke A, Cissell MA, Eberhardt MS, Meigs JB, Gregg EW, Knowler WC, Barrett-Connor E, Becker DJ, Brancati FL, Boyko EJ, Herman WH, Howard BV, Narayan KMV, Rewers M, Fradkin JE, 2018)(Fakhruddin, Alanazi, & Jackson, 2017)

პროტეინურია დიაბეტური ნეფროპათიის დამახასიათებელი ნიშანია, რომლის აღმოჩენა დიაბეტთან პაციენტებში ხშირად ხდება რუტინული შემოწმების დროს. პროტეინურიის დაწყების დრო და მისი შემცველობის მატება, ვარიაბელურია. თუ კლინიკური პროტეინურია გაჩნდა (პოზიტიური ტესტი, >500 მგ/ლ პროტეინი უხეზად ექვივალენტურია 300 მგ/ლ ალბუმინისა), სავარაუდოა, თირკმლის პროგრესული დაზიანება. თირკმლის ფუნქციის გაუარესებას აჩქარებს ჰიპერტენზია, გლიკემიის კონტროლის ეფექტი უკვე დაზიანებულ თირკმელზე ნათელი არ არის. მიუხედავად ამისა, პაციენტებში თირკმლის დაზიანების გარეშე ან

მიკროალბუმინურიით, გლიკემიის იდეალური კონტროლი შეაფერხებს პროცესის დაწყებას ან მის პროგრესს.(Ministry of Internally Displaced Persons from the occupied Territories, Labor, 2010a)(UK Prospective Diabetes Study (UKPDS) Group, 1998)

თირკმლის ქრონიკული უკმარისობის პრევენციის საუკეთესო მეთოდი შდ პრევენცია, ან უკვე დიაბეტით დაავადებულ პირებში თუ ადრეული სტადიაზე გამოვლენაა. ალბუმინურიისა ან გლომერლური ფილტრაციის სიჩქარის გამოკვლევა ყველაზე ხელსაყრელი და ხარჯთეფექტური საშუალებაა.(Komenda et al., 2014) ალბუმინურიის სკრინინგი რეკომენდირებულია შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის დადგენიდან ყოველწლიურად, ხოლო ტიპი 1-ის შემთხვევაში დიაგნოზის დადგენიდან 5 წლის შემდეგ ყოველწლიურად. (Rocco & Berns, 2012)

შაქრიანი დიაბეტი და თირკმლის ქრონიკული უკმარისობა ორივე ასოცირებულია კარდიოვასკულარულ დაავადებებთან, შესაბამისად არტერიული წნევის და სისიხლში გლუკოზის რაოდენობის კონტროლით შესაძლებელია თირკმლის ქრონიკული უკმარისობის რისკის შემცირება. (Inker et al., 2014)

შაქრიან დიაბეტთან ასოცირებული თირკმლის ქრონიკული უკმარისობა დაღავშირებულია ჯანდაცვის სისტემისა და პაციენტის საკმაოდ დიდ დანახარჯებთან. მაგ: აშშ-ში შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ მოსახლეობაში 1999-2002 ჯანდაცვის სისტემის საშუალო წლიური დანახარჯი 49%-ით მეტი იყო ნეფროპათიის მქონე პაციენტებში ვიდრე თირკმლის დაავადების არ მქონე პაციენტებში. შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ დიალიზზე მყოფ პაციენტებში ჯანდაცვის დანახარჯები 2.8 ჯერ იზრდება ვიდრე პაციენტებში რომლებიც დიალიზს არ საჭიროებენ. (R. Li et al., 2013)

ყველაზე ეფექტური საშუალება ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისა და ეკონომიკური დანახარჯების შემცირებისა არის შდ ტიპი 2-ის პრევენცია, ან დიაგნოსტირებულთა შორის. დიდი ბრტიტანეთში ჩატარებული კვლევებით ადრეულ სტადიაზე დაწყებული თერაპია დანახარჯების მკვეთრ შემცირებას იწვევს ვიდრე გვიან სტადიაზე დაწყებული იგივე თერაპია. (Palmer, Valentine, & Ray, 2007)(Sakthong et al., 2001)

ნეიროპათია და/ან ვასკულარული დაზიანებით გამოწვეული დიაბეტური ტერფი პერიფერიული ნეიროპათია დიაბეტური ნეიროპათიის ყველაზე ხშირი ფორმაა. უმეტესწილად მოქმედებს კიდურების დისტალურ ნაწილებში განსაკუთრებით კი ტერფების მიდამოში. აზიანებს სიმეტრიულ სენსორულ ფუნქციას, იწვევს ანომალიურ შეგრძნებებსა და პროგრესირებად დაბუქებას და მგრძნობელობის დაკარგვას. ეს მდგომარეობა ხშირად იწვევს ზედაპირული ტრამვების შედეგად წყლულების განვითარებასა და ტიაბეტური ტერფის ჩამოყალიბებას. დიაბეტური ტერფის გართულებები საკმაოდ მძიმეა. ტერფის მიდამოში ზიანდება ღრმად მდებარე ქსოვილები რაც შეუღლებული ნევროლოგიურ დარღვევებთან და პერიფერიულ ვასკულარულ(სისხლძარღვოვან) გართულებებთან(Vinik, Nevoret, Casellini, & Parson, 2013)(Bansal, Kalita, & Misra, 2006)(Jeffcoate & Harding, 2003)(Said, 2007). დიაბეტთან დაკავშირებული პრეფერიული ნეიროპათიის პრევალენტობა ვარირებს 16-87% შორის, მტკივნეული შდ- ასოცირებული დიაბეტური ნეიროპათია პაციენტთა 26% შემთხვევაში გვხვდება. (IDF, 2019)(Davies, Brophy, Williams, & Taylor, 2006) ქვედა კიდურების ამპუტაცია დიაბეტით დაავადებულ პაციენტებში 20-ჯერ უფრო ხშირია(Moxey et al., 2011), დადგენილია რომ ყოველ 30 წამში ჩატარებული ქვედა კიდურის (ან ქვედა კიდურის ნაწილის) ამპუტაცია შაქრიანი დიაბეტის გართულების შედეგია(Amoah et al., 2018). ქვედა კიდურების წყლულები როგორც შდ-ის გართულება უმეტესად დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებშია გავრცელებული(Mishra, Chhatbar, Kashikar, & Mehndiratta, 2017). ყველა კიდურების წყლულოვანი დაავადების ყოველწლიური ინსიდენტობა დაახლოებით 2%-ია, შაქრიანი დიაბეტით დაავადებული მოსახლეობის 1% შემთხვევაში დიაბეტის გართულებებიდან ერთ ერთი ქვედა კიდურების(ან ნაწილის) ამპუტაციაა (Schaper, Apelqvist, & Bakker, 2003)(BobircĂ, Mihalache, Georgescu, & PĂtrașcu, 2016). დიაბეტური ტერფის გლობალური პრევალენტობა ვარირებს 3-13%, საშუალოდ 6.4%. პრევალენტობა უმეტესად მაღალია მამაკაცებში, აღსანიშნავია რომ დიაბეტური ტერფის შემთხვევები უფრო მეტია შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ით დაავადებულ პაციენტებში(P. Zhang et al., 2017).

პაციენტებს პერიფერიული ვასკულარული დაზიანებით დიაბეტური ტერფის ამპუტაციის, მიოკარდიუმის ინფარქტის, ინსულტის უფრო მაღალი რისკი აქვთ, შესაბამისად იზრდება სიკვდილიანობის რიცხვიც(Zeeshan Ali, Ahmed, Bhutto, Chaudhry, & Munir, 2012)(Akram et al., 2011). პერიფერიული ვასკულარული დაზიანების მქონე პაციენტების დაახლოებით 50% აისმპტომურია, ხოლო 33% კი ატიპიური სიმპტომები ახასიათებს. ბოლო კვლევებით დადგინდა რომ მსოფლიოში დიაბეტით გამოწვეული პერიფერიული სისხლძარღვოვანი დაზიანებით დაახლოებით 200 მილიონი პაციენტი(The Sage Group, 2016)(Hirsch et al., 2001). ტერფის ბრაქიალური ინდექსის გამოთვლის შედეგად აღინიშნა პერიფერიული ვასკულარული დაავადების პრევალენტობა 40 წელს გადაცილებული შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ მოსახლეობაში 20% შეადგენს. ეს რიცხვი კი იზრდება 50 წელს გადაცილებულ დიაბეტთან პაციენტებში და 29% შეადგენს(IDF, 2019).

სისხლში გლუკოზის ინტენსიური კონტროლი HbA1C სამიზნე ნიშნული <7% , 35%-ით ამცირებს ამპუტაციის რისკს. (Hasan et al., 2016)

ექიმთა დაახლოებით მესამედს შეუძლია “ამოიცნოს” შაქრიანი დიაბეტთან დაკავშირებული ნეიროპათია, რაც თავის მხრივ ართულებს გამოჯანმრთელების პროცესს(Shlomo Melmed Ronald Koenig Clifford Rosen Richard Auchus Allison Goldfine, 2019)(Alavi et al., 2014a)(Alavi et al., 2014b)(Basit, A; Nawaz, 2013).

დიაბეტური ტერფის, წყლულების მქონე შაქრიანი დიაბეტით დაავადებული პაციენტების სამედიცინო ხარჯები 5 ჯერ უფრო მაღალია ვიდრე იმ დიაბეტთან პაციენტებისა რომლებსაც არ აღენიშნებათ ეს უკანასკნელი გართულება(Driver, Fabbi, Lavery, & Gibbons, 2010).

#### 2.2.4. შაქრიანი დიაბეტისა და მისი გართულებების ეკონომიკური შედეგები/დანახარჯები, მოკლე მიმოხილვა

შაქრიანი დიაბეტით დაავადებული შრომისუნარიანი მოსახლეობის ნაადრევი სიკვდილიანობა ან ინვალიდიზაცია ნეგატიურად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკურ

განვითარებაზე, აღნიშნულს შაქრიანი დიაბეტის არაპირდაპირ ხარჯებს უწოდებენ. მაგალითად აშშ-ში შაქრიანი დიაბეტით გამოწვეული ნაადრევი სიკვდილიანობასთან დაკავშირებული ხარჯი ყოველწლიურად 19.9 მილიარდი დილარია, 90 მილიარდი დოლარი კი შ.დ.-თან დაკავშირებული არაპირდაპირი ხარჯებია (IDF, 2019).

შაქრიანი დიაბეტის დადგენისა და გართულებების დანახარჯები ძალიან მაღალია, საიდანაც უპირატესი პირდაპირი ხარჯი პაციენტების ჰოსპიტალიზაციის ხარჯებზე მოდის, ხოლო არაპირდაპირი ხარჯები კი ინვალიდობისა და ადრეულ ასაკში სიკვდილიანობას მოიცავს. გასათვალისწინებელია ასევე არამატერიალური დანაკლისი როგორცაა ცხოვრების ხარისხის დაქვეითება, ტკივილი, დისკომფორტი რაც მოკლედ შეიძლება აღწეროთ როგორც "დიაბეტთან ერთად ცხოვრება".


შაქრიან დიაბეტთან დაკავშირებული პირდაპირი თუ არა პირდაპირი ხარჯები გამოთვლილია მრავალ ქვეყანაში მაგალითად მთლიან ევროპულ კვლევაში (Williams, Van Gaal, & Lucioni, 2002), აშშ-ში (W. Yang et al., 2018) (O'Connell & Manson, 2019) (Zhuo, Zhang, & Hoerger, 2013) (Riddle & Herman, 2018), გერმანიაში (von Ferber, Köster, & Hauner, 2007) (Kähm et al., 2018), დიდ ბრიტანეთში (Alva, Gray, Mihaylova, Leal, & Holman, 2015), იტალიაში (Marcellusi et al., 2016) და ა.შ.

შაქრიანი დიაბეტის პირდაპირი ხარჯებში ძირითადად მისი გართულებების მკურნალობა შედის რაც 53%-ს მოიცავს გერმანიაში (Kähm et al., 2018), აშშ (Zhuo et al., 2013)). ძირითადი წილი კი შემდეგ გართულებებზე მოდის: კარდიოვასკულური გართულებები, დიაბეტური ტერფი (ამპუტაციებით), შაქრიან დიაბეტთან დაკავშირებული თვალის დაავადებები, შაქრიან დიაბეტთან დაკავშირებული თირკმლის უკმარისობა. ჯანდაცვის საშუალო წლიური დანახარჯები ოთხი ან მეტი გართულებების მქონე პაციენტებში 20-ჯერ უფრო მაღალია ვიდრე დიაბეტით დაავადებული პაციენტებისათვის, მაგრამ გართულებების გარეშე (Marcellusi et al., 2016).

დიაბეტის და მისი გართულებების ნაადრევი გამოვლენა მნიშვნელოვნად ამცირებს დანახარჯებს, ყველაზე უფრო ხარჯდამზოგავი დიაბეტის გვიანი ქრონიკული


გართულებების პრევენცია ან ადრეული დიაგნოსტიკა(R. Li, Zhang, Barker, Chowdhury, & Zhang, 2010)(Bommer et al., 2017).

მსოფლიო მასშტაბით შაქრიანი დიაბეტთან დაკავშირებულ ხარჯებს მზარდი სტატისტიკა აქვს მაგალითად: 2007წ- 232 მილიარდი დოლარი, 2017წ- 727მილიარდი, 2019 წ- 760 მილიარდი დოლარი, 2021 – 966 მილიარდი დოლარი. სავარაუდოა რომ ხარჯები 2030 წლისთვის 1.03 ტრილიონი, ხოლო 2045წლისთვის კი 1.05 ტრილიონ დოლარს მიაღწევს (International Diabetes Federation, 2021) (IDF, 2019) ყოველივე ჩანს ქვემოთ მოყვანილ ფოტოში (სურათი 4)



სურათი 4. შაქრიანი დიაბეტთან დაკავშირებული გლობალური დანახარჯების ზრდის ტენდენცია, 2006-2045 წლები. მილიარდი აშშ დოლარი, დიაბეტის საერთაშორისო ფედერაცია IDF 2021


შაქრიანი დიაბეტის დანახარჯების მხრივ 10 ლიდერი ქვეყანა 2019 და 2021 წლებში (დიაგრამა 8)




დიაგრამა 8. ქვეყნები რომლებიც შაქრიანი დიაბეტთან დაკავშირებული დანახარჯებით ლიდერობენ მსოფლიოში, დიაბეტის საერთაშორისო ფედერაცია IDF 2019, 2021



ქვემოთ მოცემულ გრაფიკებში ასახული მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონისა და საქართველოს შაქრიანი დიაბეტისა და მისი გართულებების ჯანდაცვის წლიური დანახარჯები (მილიონი აშშ დოლარი), ასახულია მისი ზრდის ტენდენცია წლების მიხედვით (დიაგრამა 9, 10) (International Diabetes Federation, 2021).



დიაგრამა 9. მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში შაქრიანი დიაბეტისა და მისი გართულებების ჯანდაცვის წლიური დანახარჯები (მილიონი აშშ დოლარი), ასახულია მისი ზრდის ტენდენცია 2011, 2021, 2030 და 2045 წლების მიხედვით. დიაბეტის საერთაშორისო ფედერაცია IDF 2021



დიაგრამა 10. მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონისა და საქართველოში შაქრიანი დიაბეტისა და მისი გართულებების ჯანდაცვის წლიური დანახარჯები (მილიონი აშშ დოლარი), ასახულია მისი ზრდის ტენდენცია 2011, 2021, 2030 და 2045 წლების მიხედვით. დიაბეტის საერთაშორისო ფედერაცია IDF 2021

## 2.2.5. შაქრიანი დიაბეტის მკურნალობის სქემები საქართველოსა და მსოფლიოში

საქართველოში მიღებულია ზოგად საექიმო პრაქტიკაში შაქრიანი დიაბეტის მართვის კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი) (Ministry of Internally Displaced Persons from the occupied Territories, Labor, 2010a). აღნიშნულ გაიდლაინში მითითებული შაქრიანი დიაბეტის მკურნალობის სქემის ალგორითმი:

დიაბეტთან დაკავშირებული მრავალრიცხოვანი რისკ-ფაქტორები (ჰიპერგლიკემია, ჰიპერტენზია, დისლიპიდემია, გაზრდილი თრომბოგენეზი) მოითხოვს მრავალმხრივ ინტერვენციასა და მედიკამენტურ მკურნალობას.

- ტიპი 1 დიაბეტის მკურნალობის ძირითადი კომპონენტებია: ინსულინი, ვარჯიში და განსაზღვრული დიეტა
- ტიპი 2 დიაბეტის მკურნალობის მიზანია სისხლის გლუკოზის ნორმალური დონის მიღწევა (ნორმოგლიკემია). მიუხედავად ამისა, განსაკუთრებით ხანდაზმულებში, ბიოქიმიურად იდეალური ციფრების მიღწევა შესაძლოა ვერ მოხერხდეს, ამ დროს ვითვალისწინებთ პაციენტის საერთო მდგომარეობას. ზოგიერთ შემთხვევაში ხანდაზმულებში ზედმეტად გლუკოზის ციფრების ზედმეტად მკაცრი მართვა შეიძლება გახდეს ჰიპოგლიკემიის მიზეზი (Colberg et al., 2016) (II B)

პაციენტის სისხლში გლიკემიის გრძელვადიანი კონტროლი გლიკირებული ჰემოგლობინის (HbA1c) დონის მიხედვით ხორციელდება.

გაერთიანებული სამეფოს დიაბეტის პროსპექტულმა კვლევამ (UKPDS) აჩვენა დიაბეტთან დაკავშირებული გართულებების ინციდენტობის და პროგრესირების შემცირება პაციენტებში HbA1c დონის ნორმალიზაციასთან ერთად. გლიკემიის კონტროლის რეკომენდებული მიზანი HbA1c < 7% (Davidson, 2004) (IIIC)

გლიკოზირებული ჰემოგლობინის სამიზნე დონის მიღწევა მნიშვნელოვანია, მაგრამ მისი ნებისმიერი დონით შემცირებაც აუმჯობესებს გამოსავალს. ტიპი 2 დიაბეტთან დაკავშირებული მრავალრიცხოვანი რისკ-ფაქტორები (ჰიპერგლიკემია, ჰიპერტენზია, დისლიპიდემია, გაზრდილი თრომბოგენეზი) მოითხოვს მრავალმხრივ ინტერვენციასა და მედიკამენტურ მკურნალობას. ჰიპერგლიკემიის მართვის

ალგორითმი ტიპი 2 დიაბეტის შემთხვევაში ამერიკის დიაბეტის ასოციაციისა და დიაბეტის შესწავლის ევროპის ასოციაციის კონსენსუსის მტკიცებულების მიერ შემუშავებულია ტიპი 2 დიაბეტის პირობებში ჰიპერგლიკემიის მართვის ალგორითმი. ალგორითმი მოიცავს მტკიცედ დადასტურებულ ძირითად მკურნალობას და ნაკლებად მტკიცედ დადასტურებულ მკურნალობას. (I A)


მტკიცედ დადასტურებული ძირითადი მკურნალობა ტიპი 2 დიაბეტით უმეტესი პაციენტებისათვის მკურნალობის უპირატეს გზადაა მიჩნეული.

**I საფეხური** - ცხოვრების სტილის მოწესრიგება და მეტფორმინით მკურნალობა მიზნად ისახავს პაციენტის სხეულის მასის ნორმალიზაციას კვებისა და ფიზიკური აქტივობის რეჟიმის კორექციის დახმარებით. ცხოვრების სტილის მოწესრიგება მისაღებია ახლად გამოვლენილი ტიპი 2 დიაბეტის შემთხვევაში. აღნიშნული ინტერვენციები ხელს უწყობს გლუკოზის და ლიპიდების დონის, სისხლის წნევისა ნორმალიზებას და მათი შენარჩუნება საჭიროა მედიკამენტური მკურნალობის პროცესშიც. უმეტეს შემთხვევებში ამ ინტერვენციების მეტაბოლური ეფექტი, წონის დაკლების გაძნელების, დაავადების პროგრესირების ან ფაქტორთა კომბინაციის მოქმედებით, ნაკლებად მიიღწევა. ამდენად, მიზანშეწონილია, ცხოვრების სტილის კორექციასთან ერთად მეტფორმინით მკურნალობის დაწყება. შედარებით დაბალი ფასისა და გლიკემიაზე ზემოქმედების უნარის გამო, მიზანშეწონილია მეტფორმინით მკურნალობის დაწყება, როდესაც არ არის მედიკამენტის მიმართ უკუჩვენება.

**II საფეხური** - მკურნალობის დაწყებიდან 2-3 თვის პერიოდში მყარი ჰიპერგლიკემიის შემთხვევაში ან იმ შემთხვევაში, თუ არ იქნა მიღწეული HbA1c -ის <8.0% ზღვარი (დონე), მკურნალობაში უნდა ჩაირთოს მეორე მედიკამენტი, კერძოდ, საჭიროების მიხედვით - ინსულინი ან სულფონილმარდოვანა. ახლად გამოვლენილი ტიპი 2 დიაბეტი ექვემდებარება ორალური მედიკამენტებით მკურნალობას. HbA1c დონის მიხედვით გარკვეულწილად შეირჩევა გლიკემიის შესამცირებელი შემდგომი ეფექტიანი საშუალება, კერძოდ, როდესაც პაციენტს აღნიშნება HbA1c >8.5% ან გამოხატული აქვს ჰიპერგლიკემიის მეორადი სიმპტომები, შესაძლოა დაენიშნოს

ინსულინი, ბაზალური ინსულინის (საშუალო ხანგრძლივობის ან პროლონგირებული მოქმედების) სახით.

**III საფეხური** - თუ ცხოვრების სტილის მოწესრიგება, მეტფორმინი და ბაზალური ინსულინი ვერ აუმჯობესებს გლიკემიის ხარისხს, პაციენტი საჭიროებს ინტენსიურ ინსულინოთერაპიის დაწყებას ან გაძლიერებას. ჩვეულებრივ, საჭირო ხდება ინსულინის დამატებითი ინექციები, შესაძლოა, სწრაფი მოქმედების ინსულინის გამოყენებით. ინსულინის ინექციების დაწყების შემდეგ აღარ უნდა გაგრძელდეს ინსულინის სეკრეციის გამაძლიერებელი ორალური მედიკამენტებით მკურნალობა. კონსენსუსის ნაკლებად მტკიცედ დადასტურებული მკურნალობის ალგორითმი შეესაბამება შემთხვევებს, როდესაც განსაკუთრებულად საჭიროა ჰიპოგლიკემიის თავიდან აცილება (მაგ. პაციენტებისათვის, ვისი სამუშაოც სპეციფიკურ რისკს შეიცავს) . შესაძლოა, განისაზღვროს ექსენატიდის ან პიოგლიტაზონის დამატება. როზიგლიტაზონი რეკომენდებული არ არის. წონაში დაკლების საჭიროებისას, თუ კი HbA1c უახლოვდება <8.0% -ს, შესაძლოა დაემატოს ექსენატიდი, ხოლო HbA1c-ის კორექტირებისათვის შესაძლოა დაემატოს სულფონილმარდოვანა. ამ კომბინაციის ალტერნატივა ცხოვრების სტილის ინტერვენციები, მეტფორმინი და ბაზალური ინსულინი (David M. Nathan et al., 2009)(Ministry of Internally Displaced Persons from the occupied Territories, Labor, 2010a).



## მედიკამენტური მკურნალობა - ორალური ჰიპოგლიკემიური საშუალებები

მედიკამენტური მკურნალობა არ ცვლის ჯანსაღ კვებას და ფიზიკურ აქტივობას, მაგრამ თუ 6 კვირისა და მეტი ხნის განმავლობაში მკურნალობა ცხოვრების ტიპი 2 დიაბეტით დაავადებულებში წარუმატებელია, უნდა გამოყენებულ იქნას ორალური ჰიპოგლიკემიური საშუალებები. თუ პაციენტი დიაგნოზის დასმისას გამოხატული სიმპტომებითაა ან სისხლის გლუკოზის დონე ძალიან მაღალია (>20 მმოლ/ლ) მედიკამენტური მკურნალობა უნდა დაიწყოს ადრეულ ეტაპზე.

მედიკამენტები ტიპი 2 დიაბეტის დროს ხუთი ძირითადი მიმართულებით მოქმედებს:

- პანკრეასის მიერ ინსულინის გამომუშავების გაზრდა
- ღვიძლიდან გამონთავისუფლებული გლუკოზის შემცირება
- უჯრედთა მგრძობელობის გაძლიერება ინსულინის მიმართ
- ნაწლავებიდან ნახშირწყლების შეწოვის შემცირება
- კუჭის დაცლის შენელება ნახშირწყლების მონელებისა და წვრილ ნაწლავში მისი შეწოვის შესაკავებლად.

მკურნალობისათვის მედიკამენტთა კომბინაციის ფორმა განისაზღვრება პაციენტის ინდივიდუალური მდგომარეობით.

მრავალი წელია ამერიკასა და კანადაში გამოიყენება ბიგუანიდების კლასი. მისი წარმომადგენელი - მეტფორმინი არჩევის პირველი რიგის პრეპარატია დიაბეტით დაავადებულებში. ის ამცირებს ღვიძლის მიერ გლუკოზის პროდუქციას და ინსულინრეზისტენტობას. მეტფორმინმა გამოავლინა დიაბეტთან დაკავშირებული ავადობის და სიკვდილობის რისკის შემცირება ჭარბი წონის პაციენტებში. მეტფორმინი არ ზრდის ინსულინის კონცენტრაციას და ამდენად, არ იწვევს ჰიპოგლიკემიას. მისი გამოყენება შეიძლება სხვა ორალურ საშუალებებთან და ინსულინთან კომბინაციაშიც. თირკმლის დაზიანება მეტფორმინის აბსოლუტური უკუჩვენებაა. მეტფორმინი სიფრთხილით უნდა იქნეს გამოყენებული გულის ან ღვიძლის დაავადებების დროს და ალკოჰოლის ჭარბ მომხმარებლებში. კვლევებით გამოვლინდა, რომ მეტფორმინი ამცირებს გართულებებს: გულის და თირკმლის

დაავადებებს, სიბრმავეს (Kurian, Joshi, & Helmuth, 2008)(Herman et al., 2012)(Bray et al., 2012).

სულფონილშარდოვანას პრეპარატები ააქტიურებენ ინსულინის სეკრეციას და შეიძლება გამოყენებულ იქნას დიაბეტიან პაციენტებში ცხოვრების ჯანსაღი წესით და მეტფორმინით მკურნალობის შემდეგ. ისინი სწრაფად სწევენ დაბლა სისხლის შაქრის დონეს და ახასიათებთ ჰიპოგლიკემიის განვითარების რისკი (Mitchell et al., 2020)(Sola et al., 2015). ნახშირწყლების შეწოვისას ნაწლავებიდან, წინ უძღვის მათი დაშლა შესაბამისი ფერმენტების ზემოქმედებით. ერთ-ერთი ასეთი ფერმენტის - ალფა გლუკოზიდაზას ინჰიბიციას უზრუნველყოფს პრეპარატების კლასი (Van de Laar et al., 2005), რომლის წარმომადგენელია აკარბოზა (Rosak & Mertes, 2012). გამოიყენება, როდესაც სისხლში გლუკოზის დონე ჭამის შემდეგ, მიუხედავად დიეტური მოდიფიკაციისა, რჩება მაღალი. აკარბოზა უნდა იქნეს მიღებული საკვების მიღების დაწყებისთანავე თანდათანობით, რათა თავიდან იქნას აცილებული აბდომინალური დისკომფორტი. აკარბოზას მოქმედება არ არის ისეთივე ეფექტიანი, როგორც სხვა ჰიპოგლიკემიური საშუალებებისა. მისი მოქმედება ძირითადად დამატებითაა სხვა პრეპარატებთან კომბინაციაში, კლინიკური კვლევებით უკეთესი შედეგები იქნა მიღებული მისი სულფონილშარდოვანასთან კომბინაციაში გამოყენებისას (Matsumoto et al., 2002)(Van Gaal & De Leeuw, 2003). კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მხრივ მნიშვნელოვანი გვერდითი მოვლენების გამო, აკარბოზა ინიშნება დაბალი დოზებით.

რეპაგლიდინი (და ნატეგლინდინი) მეგლიტიდინის კლასის წარმომადგენელია და იწვევს პანკრეასში ინსულინის სეკრეციის სწრაფ, გარდამავალ მომატებას (Black et al., 2007)(Guardado-Mendoza, Prioletta, Jiménez-Ceja, Sosale, & Folli, 2013).

სულფონილშარდოვანას პრეპარატებიდან განსხვავებით, რომლებიც ხანგრძლივად რჩება ორგანიზმში, რეპაგლიდინი ხანმოკლე მოქმედებისაა, მოქმედების პიკით ერთი საათის განმავლობაში. ამდენად, ის დღეში სამჯერ ინიშნება. სულფონილშარდოვანასთან შედარებით ნაკლები სიხშირით იძლევა ჰიპოგლიკემიას. ის შესაძლოა, გამოყენებული იყოს მონოთერაპიის მიზნით ან მეტფორმინთან ერთად პოსტპრანდიული ჰიპერგლიკემიის კონტროლისათვის. არ შეიძლება მისი კომბინაცია

სულფონილმარდოვანას პრეპარატებთან. მეგლიტიდინის კლასის პრეპარატები შედარებით უსაფრთხოა თირკმლის ფუნქციის დარღვევისას.

გლიტაზონები (თიაზოლიდინედიონები) ორალური ჰიპოგლიკემიური საშუალებების სხვა კლასის წარმომადგენელია და ამცირებს ინსულინრეზისტენტობას. პიოგლიტაზონი და როზიგლიტაზონი აუმჯობესებს სამიზნე უჯრედების მგრძობელობას ინსულინზე, ზრდის კუნთოვანი და ცხიმის უჯრედების სენსიტურობას ინსულინის მიმართ (Krische, 2000) (H. C. Gerstein et al., 2006). გლიტაზონების წინააღმდეგ ჩვენებაა ღვიძლისა და გულის პათოლოგია. ამ პრეპარატებით მკურნალობის პირველი წლის განმავლობაში, ყოველ ორ თვეში პაციენტს ენიშნება სისხლის ანალიზი ღვიძლის ფუნქციაზე. თუ რომელიმე პარამეტრი ნორმალურ მაჩვენებელთან შედარებით სამჯერადად იქნა შეცვლილი, პრეპარატი იხსნება. გლიტაზონებით მკურნალობისას სითხის შეკავება შესაძლოა კავშირში იყოს გულის მოვლენებთან (განდევნის ფრაქცია 40%-ზე ნაკლები). გლიტაზონების გვერდით მოქმედებაზე უახლესი კვლევებით ვლინდება გულის მყარი მოვლენები, კერძოდ, გულის მწვავე შეტევები. ბოლო ხანებში გაჩნდა მოსაზრება ამ პრეპარატებით მკურნალობისას, კიდურების ძვლების ხშირი მოტეხილობის შესახებ. თუმცა, დღეისათვის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების მტკიცებულებისათვის არ არის საკმარისი მასალა. მნიშვნელოვანი პერსპექტივები ჩნდება გლიტაზონების გამოყენების გაფართოების მხრივ მათი პოზიტიური ზემოქმედების გამო ქოლესტერინზე. ამ პრეპარატით მკურნალობის შესწავლის პროცესში გამოვლინდა HDL (კარგი ქოლესტერინის) მომატება და ტრიგლიცერიდების დაქვეითება. გლიტაზონები შეიძლება გამოყენებულ იქნას ინსულინთან ან ორალურ საშუალებებთან ერთად. სულფონილმარდოვანას პრეპარატებით მკურნალობის დროს საჭიროა სპეციალური მეთვალყურეობა, უპირატესად ხანდაზმულებში, რომ არ განვითარდეს ჰიპოგლიკემია (Mayer Davidson Anne Peters Harmel Ruchi Mathur, 2003). მონოთერაპიის სახით მეტფორმინი, აკარბოზა და გლიტაზონები არ იწვევენ ჰიპოგლიკემიას. მათგან განსხვავებით, სულფონილმარდოვანას ყველა პრეპარატმა შეიძლება გამოიწვიოს ჰიპოგლიკემია. საჭიროა მკურნალობის დაბალი დოზებით

დაწყება და ყოველკვირეულად ან ორ კვირაში ერთხელ დოზის გაზრდა კონტროლის მიღწევამდე.

თუ გრძელდება პაციენტის სხეულის მასის ნორმალიზაცია, ორალური ჰიპოგლიკემიური საშუალებების დოზა შეიძლება შემცირდეს და ზოგჯერ მოიხსნას კიდევ.

დიაბეტიანი პაციენტების უმეტესობა საჭიროებს დოზის მომატებას და დამატებით მედიკამენტებს, დაავადების პროგრესირებასთან ერთად. აგრეთვე, შესაძლებელია აჭირო გახდეს ინსულინის დანიშვნაც (The Royal Australian College of General Practitioners and Diabetes Australia, 2016).

2020, 2021 და საბოლოო 2022 წელის ამერიკის დიაბეტოლოგთა ასოციაციის მიერ გამოქვეყნა შაქრიანი დიაბეტის მკურნალობის სტანდარტები სადაც დეტალურად არის განხილული შაქრიანი დიაბეტის ფარმაკოლოგიური მკურნალობის საფეხურები (American Diabetes Association, 2020) (American Association of Diabetes, 2021) (American Diabetes Association, 2022).

შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1-ის ფარმაკოლოგიური მკურნალობის საფეხურებია:

- შაქრიანი დიაბეტი 1-ით დაავადებული პაციენტების მკურნალობა მიმდინარეობს ინსულინის მრავლობითი ინექციებით (პრანდიალური და ბაზალური) (A)
- შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1-ით დაავადებული პაციენტების უმეტესობამ უნდა გამოიყენოს ხანმოკლე მოქმედების ინსულინის ანალოგები ჰიპოგლიკემიური რისკის შესამცირებლად (A)

შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის ფარმაკოლოგიური მკურნალობის საფეხურებია:

- მეტფორმინი წარმოადგენს საწყის ფარმაკოლოგიურ მედიკამენტს შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის მკურნალობის დასაწყებად (A)
- მეტფორმინის დაწყების შემდგომ აღნიშნული მედიკამენტი უნდა გაგრძელდეს, გამონაკლის იქნება აღნიშნული მედიკამენტის მიღების უკუჩვენებები. სხვა ფარმაკოლოგიური აგენტები ინსულინის ჩათვლით მეტფორმინს უნდა დაემატოს მკურნალობის სქემაში (A)



- მკურნალობის სქემაში ინსულინის ადრეული ჩართვა შესაძლებელია თუ სახეზეა კატაბოლიზმის მწვავე შედეგები(წონაში კლება), მწვავე ჰიპერგლიკემიისას ან როდესაც A1C დონე 10%-ზე მაღალია ან სისხლში გლიკემიის დონე 300მგ/დლ აჭარბებს. (E)

ვრცლად შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1 და ტიპი 2-ის ფარმაკოლოგიური მკურნალობის სქემები ამერიკიდ დიაბეტოლოგთა ასოციაციის 2022 წლის გაიდლაინის მიხედვით ასახულია დანართში მოცემულ ცხრილებში (ცხრილი1, 2, 3)(American Diabetes Association, 2020)(American Association of Diabetes, 2021)(Buse et al., 2020) (American Diabetes Association, 2022)

2020-2022 წელის ამერიკის დიაბეტოლოგთა ასოციაციის მიერ გამოქვეყნებული შაქრიანი დიაბეტის მკურნალობის სტანდარტებში კარდიოვასკულური გართულებების მქონე პაციენტებში ეფექტურია ასპირინისა და ანტიოქსიდანტების დანიშვნა(American Diabetes Association, 2020)(American Association of Diabetes, 2021)(Belch et al., 2008). ამავე დოკუმენტში აღინიშნა რომ ბოლოდროინდელი კვლევებით ჰიპოგლიკემურ მედიკამენტებს მაგალითად SGLT2 ინჰიბიტორებს შეუძლიათ მაკროვასკულური გართულებებისა და დიაბეტური ტერფის მქონე პაციენტებში ოქსიდაციური სტრესის შემცირება (Woods et al., 2019)(Heerspink et al., 2019)(Yaribeygi, Butler, Atkin, Katsiki, & Sahebkar, 2019)(American Diabetes Association, 2020). ამავე დოკუმენტში TZD-თიაზოლიდინდიონის ნანიშვნისას მაგალითად პიოგლიტაზონისა და ანტიოქსიდანტ - ვიტამინი E-ს კომბინაციისას შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ პაციენტებში არალკოჰოლური ღვიძლის გაცხიმოვნებისას აღინიშნა ღვიძლის ჰისტოლოგიური სურათის გაუმჯობესება(Belfort et al., 2006)(Sanyal et al., 2010)(American Diabetes Association, 2020)(American Association of Diabetes, 2021) ამდენად შაქრიანი დიაბეტის გავრცელებას მთელი მსოფლიოს მასშტაბით მზარდი სტატისტიკა ახასიათებს, მზარდია შ.დ.-ის პირდაპირი თუ არა პირდაპირი დანახარჯები, რომელიც ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორად გვევლინება. შაქრიანი დიაბეტის მრავალი გართულება

აქვეითებს პაციენტების სიცოცხლის ხანგრძლივობასა და ხარისხს, მიუხედავად მრავალი ფარმაკოლოგიური პრეპარატებისა მზარდია შ.დ-ისა თუ მისი გართულებებით გამოწვეული სიკვდილიანობა რაც გავძლევს საბაზს შევიმუშაოთ ამ მეტად აქტუალურია პრობლემის ახალი გადაწყვეტის გზები მათ შორის ახალი, ეფექტური სამკურნალო პრეპარატის შექმნით.

ძლიერი ანტიოქსიდანტი - სელენის ნანონაწილაკების სუსპენზია შესაძლებელია მოვისაზროთ შაქრიანი დიაბეტის კომბინირებულ მკურნალობაში, როგორც ანტიოქსიდანტური დანამატი - ოქსიდაციური სტრესის შემცირების მიზნით.

### 2.3. კვლევის მასალა და მეთოდები

#### 2.3.1. ექსპერიმენტის მსვლელობისას გამოყენებული მასალა და მეთოდები

კვლევა მიმდინარეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ა.ნათიშვილის სახელობის მორფოლოგიის ინსტიტუტის ბაზაზე; მხოლოდ სელენის ნანონაწილაკების დახასიათება მასკანერებელი მიკროსკოპი Zeiss Ultra 55, დინამიური შუქის გამფანტავი (Thermo scientific Nicolet iS50-FT IR) და ზეტა საიზერიტ(Malvern Instruments). ჩატარებულ იქნა თურქეთის რექსპუბლიკის ქალაქ სტამბულში იედიტეპეს უნივერსიტეტის გენეტიკისა და ბიოინჟინერიის დეპარტამენტის ლაორატორიაში.

სელენის ნანონაწილაკების მიღებისთვის გამოყენებული იქნა სელენის ფხვნილი (სიწმინდის 97%-იანი ხარისხით, ნაწილაკების ზომა 50-80 მიკრომეტრი) (Beijing Goodwill Metal Technology Co.,Ltd., ჩინეთი)

ნიმუშების სტრუქტურულ-მორფოლოგიური და ელემენტური შედგენილობის კვლევა შესრულდა მასკანირებელ ელექტრონულ მიკროსკოპზე JSM-6510LV ( JEOL, იაპონია) რომელიც აღჭურვილი იყო ენერგოდისპერსიული მიკრორენტგენო სპექტრალური ანალიზატორით X-Max N -ით. (OXFORD INSTRUMENTS, ინგლისი)-ის ზედაპირის ელექტრონული გამოსახულებების მიღება წარმოებდა როგორც მეორად (SEI), ასევე არეკვლილ (BES) ელექტრონებში, 20 კვ ამაჩქარებელი ძაბვის გამოყენებით.

ზოგიერთ შემთხვევებში, ზედაპირული მუხტის შემცირების მიზნით, ნიმუშების დაფარვა ხდებოდა Pt-ის ფენით (დაახლოებით 10 ნმ), ვაკუუმური დაფარვის მოწყობილობით JEC-3000FC ( JEOL, იაპონია) .

ნიმუშების დახასიათებისთვის გამოიყენებოდა ტრანსმისიული მიკროსკოპი JOEL JEM-100SX, მასკანერებელი მიკროსკოპი Zeiss Ultra 55, დინამიური შუქის გამფანტავის (Dynamic Light Scattering , Thermo Scientific Nicolet iS50-FT IR), ზეტა საიზერით (Malvern Instruments Zeta Sizer Nano ZS).

სელენის ნანონაწილაკების მიღებისთვის გამოყენებული იქნა ლაბორატორიული ნანოწისქვილი (DECO-PBM-V-0.4L, ჩინეთი) და მაღალი სიხშირის ულტრაბგერითი ჰომოგენაიზერი Ultrasonic Processor FS-1800N(ჩინეთი)

სისხლის ბიოქიმიური კვლევები ჩატარადა ნახევრად ავტომატური ფოტომეტრის HumaLyzer Primus REF 18200 (Human Diagnostics, Germany) და თერმოსტატ/ინკუბატორის HUMACUBE (Human Diagnostics, Germany) გამოყენებით.

საკვლევი ცხოველების ორგანოების მორფოლოგიური გამოკვლევისათვის ქსოვილების დასაჭრელად გამოყენებული იქნა მიკროტომით- Leica RM2235 (Leica Biosystems, აშშ), ხოლო მათი დათვალიერება განხორციელდა სინათლის მიკროსკოპით - Leica DM2500(Leica Biosystems, აშშ)

ვირთაგვებში მოხდა პირველი ტიპის დიაბეტის გამოწვევა Zanosar-ის ფირმის სტრეპროზოტოცინით. მედიკამენტი შეძენილ იქნა Adooq BioScience LLC კომპანიაში, აშშ) <https://www.adooq.com/streptozotocin-zanosar.html>

სისხლში გლუკოზის კონტროლი მიმდინარეობდა გლუკომეტრით (One Touch Select, შვეიცარია)

სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიით ინსულინთან კომბინირებული მკურნალობისას გამოყენებულ იქნა გახანგრძლივებული მოქმედების ინსულინი Novo-Nordisk. შეყვანა ხორციელდებოდა ინსულინის შპრიცის მეშვეობით კანქვეშ. საერთაშორისო დასახელებით: Insulin Isophane, ხოლო სავაჭრო დასახელებით- ინსულატარდი (Novo-Nordisk დანია), რომელიც ინახებოდა სამაცივრო პირობებში (5-8°C).

### 2.3.2. საკვლევი ჯგუფების დახასიათება

ექსპერიმენტები ჩატარდა თსუ ა.ნათიშვილის სახელობის მორფოლოგიის ინსტიტუტში. ყველა ექსპერიმენტი მიმდინარეობდა მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების დაცვით (Directive 2010-63-EU on the Protection of Animals Used for Scientific Purposes, 2010; Guide for the Care and Use of Laboratory Animals, 8<sup>th</sup> ed., 2011)(DIRECTIVE 2010/63/EU OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL, 2010).

სელენის ნაწილობრივად უსაფრთხოების შეფასება მისი ერთჯერადი და მრავალჯერადი მიიღებისას წარიმართა OECD გაიდლაინის მიხედვით: ერთჯერადი შეყვანისათვის - OECD GUIDELINE FOR TESTING OF CHEMICALS 423 (OECD GUIDELINE FOR TESTING OF CHEMICALS, 2002), ხოლო მრავალჯერადი შეყვანისათვის OECD GUIDELINE FOR TESTING OF CHEMICALS 408 (OECD Guidelines for the Testing of Chemicals, 2018).

ექსპერიმენტული კვლევებისათვის გამოყენებული იქნა უჯიშო თეთრი ვირთაგვები (სხეულის მასა 250-300 გრ). ცხოველები იმყოფებოდნენ ვივარიუმის სტანდარტულ პირობებში (ტემპერატურა  $22\pm 2^{\circ}\text{C}$ , ტენიანობა  $50\%\pm 5\%$ , 12/12 სთ ნათელი/ბნელი ციკლი, წყალთან და საკვებთან თავისუფალი წვდომა) უჟანგავი ფოლადის ბადით დაფარულ პოლიპროპილენის გალიებში თითოში 5 ვირთაგვის მოთავსებით.

ექსპერიმენტის მსვლელობისას ჩატარდა: საკვლევი ცხოველის ზოგადი მდგომარეობისა და სიკვდილიანობის შეფასება, ბიოქიმიური ანალიზები, ორგანოთა ბიოფსიური მასალის შესწავლა მიკრო- და მაკრომორფოლოგიური, ჰისტოლოგიური მეთოდებით.

*ა) საკვლევი ჯგუფები - სელენის ნაწილობრივად უსაფრთხოების ტოქსიურობის შესწავლა მისი ერთჯერადი მიღებისას*

8-12 კვირის ვირთაგვები რანდომულად დაიყო სამ ჯგუფად: სამი ვირთაგვა ერთ ჯგუფში(1 დედალი და 2 მამალი). დედალი ვირთაგვები იყვნენ არა მკე და არანამშობიარები. სელენის ნაწილობრივად უსაფრთხოების 10% სუსპენზია მიეწოდებოდათ

ერთჯერადად ორალურად სპეციალური საკვები ნემსის გამოყენებით. საკონტროლო სუსპენზიის მიღებამდე ლაბორატორიულ ცხოველებს ეზღუდებოდათ საკვების მიღება 24 საათის განმავლობაში, მაგრამ თავისუფლად შეეძლოთ წყლის მიღება.

**ჯგუფი I** - საკონტროლო ჯგუფი - ისინი იღებდნენ ერთჯერადად 0.9% ფიზიოლოგიურ ხსნარს

**ჯგუფი II** - ვირთაგვები იღებდნენ SeNP სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიის ერთჯერად დოზას 1000მგ/კგ

**ჯგუფი III** - ვირთაგვები იღებდნენ SeNP სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიის ერთჯერად დოზას 5000მგ/კგ

საკონტროლო სუსპენზიის მიღების შემდეგ ვირთაგვების კონტროლი მიმდინარეობდა ყოველ 30 წუთში პირველი 4 საათის განმავლობაში, შემდეგ ყოველ 6 საათში პირველი 24 საათის განმავლობაში, მომდევნო დღეების განმავლობაში დღეში ორჯერ. ვირთაგვებზე დაკვირვება გაგრძელდა 7 დღის განმავლობაში რაც რეკომენდებული არის OECD გაიდლაინის მიხედვით (OECD guideline for testing of chemicals). ერთი კვირის შემდეგ ვირთაგვებს შეეზღუდათ საკვები 24 საათის განმავლობაში (წყლის თავისუფალი მიღებით), მათი ევთანაზია განხორციელდა CO<sub>2</sub>-ით სიჩქარე 5ლ/წუთში/ ინდივიდუალურ კამერაში. ევთანაზია განხორციელდა შესაბამისი გაიდლაინის მიხედვით <https://www.avma.org/resources-tools/avma-policies/avma-guidelines-euthanasia-animals> (AVMA, 2013)

*ბ) საკვლევი ჯგუფები - სელენის ნანონაწილაკების ტოქსიურობის შესწავლა მისი მრავალჯერადი მიღებისას*

8-12 კვირის ალბინოსი ვირთაგვები რანდომულად დაიყო სამ ჯგუფად: 10 ვირთაგვა ერთ ჯგუფში (2 დედალი და 8 მამალი). დედალი ვირთაგვები იყვნენ არა მკე და არანამშობიარები. სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიის გაიხსნა წყალში და ვირთაგვებს მიეწოდებოდათ ყოველ დღე პერორალურად. საკონტროლო სითხის მიღების დრო ასევე განისაზღვრა OECD გაიდლაინის მიხედვით (OECD guideline for testing of chemicals) (OECD GUIDELINE FOR TESTING OF CHEMICALS, 2002)(OECD

Guidelines for the Testing of Chemicals, 2018). ვირთაგვებზე დაკვირვება მიმდინარეობდა ყოველ დღეურად 3 თვის განმავლობაში.

**ჯგუფი I** - საკონტროლო ჯგუფი - იღებდა 0.9% ფიზიოლოგიურ ხსნარს

**ჯგუფი II**- 10 ვირთაგვა ყოველ დღე იღებდა სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიას 500მგ/კგ 45 დღის განმავლობაში.

**ჯგუფი III**- 10 ვირთაგვა ყოველ დღე იღებდა სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიას 500მგ/კგ 90 დღის განმავლობაში

46-ე დღეს და 91-ე დღეს (შესაბამისად ჯგუფი II და ჯგუფი III) ვირთაგვებს შეეზღუდათ საკვები 24 საათის განმავლობაში (წყლის თავისუფალი მიღებით), და განხორციელდა მათი ევთანაზია CO<sub>2</sub>-ით სიჩქარე 5ლ/წუთში/ ინდივიდუალურ კამერაში.

ჯგუფი III – 91-ე დღეს ვირთაგვებს შეეზღუდათ საკვები 24 საათის განმავლობაში (წყლის თავისუფალი მიღებით), მათი ევთანაზია განხორციელდა CO<sub>2</sub> სიჩქარე 5ლ/წუთში/ ინდივიდუალურ კამერაში.

*გ) საკვლევი ჯგუფები - სელენის ნანონაწილაკების სუსპენზიის მონო და კომბინირებული მკურნალობისას შაქრიანი დიაბეტით დასნებოვნებულ ვირთაგვებში*

8-12 კვირის ალბინოსი ვირთაგვები დაიყო 4 ჯგუფად თითოეულ ჯგუფში 10 ვირთაგვა (2 დედალი და 8 მამალი). დედალი ვირთაგვები იყვნენ არა მკე და არანამშობიარები.

ვირთაგვებში მოხდა პირველი ტიპის დიაბეტის გამოწვევა სტრეპტოზოტოცინით (STZ). ვირთაგვებში შაქრიანი დიაბეტის გამოწვევა მიმდინარეობდა დადგენილი გაიდლაინის მიხედვით და ჩვენი მოდიფიკაციით (STZ 30მგ/კგ) (Furman, B.L. 2015. Streptozotocin-induced diabetic models in mice and rats) (Furman, 2015)

შაქრიანი დიაბეტის დადგენის შემდგომ ვირთაგვები არ იღებდნენ არანაირ მედიკამენტს ან საკვლევ სუსპენზიას პირველი ,10 დღის განმავლობაში, სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიისა თუ ინსულინის მიღება დაიწყო მხოლოდ 10 დღის შემდეგ და გრძელდებოდა ორი კვირის განმავლობაში.

ინსულინის ინექცია კეთდებოდა ყოველ დღე ვირთაგვების წონის და გლუკოზის მაჩვენებლების გათვალისწინებით.

ვირთაგვებს მთელი ექსპერიმენტის მიმდინარეობისას თავისუფალი წვდომა ქონდათ როგორც საკვებთან ისე წყალთან.

I ჯგუფი **DM+Se** - შაქრიანი დიაბეტით დასნებოვნებული 10 ვირთაგვა რომელიც იღებდა მხოლოდ სელენის ნაწონაწილაკების 10% სუსპენზიას

II ჯგუფი **DM+Se+Ins** - შაქრიანი დიაბეტით დასნებოვნებული ვირთაგვები რომლებიც იღებდნენ სელენის ნაწონაწილაკების 10% სუსპენზიასა და ინსულინის ინექციას

III ჯგუფი **DM+Ins** - შაქრიანი დიაბეტით დასნებოვნებული ვირთაგვები რომლებსაც უკეთდებოდათ მხოლოდ ინსულინის ინექცია

IV ჯგუფი **DM** - შაქრიანი დიაბეტით დასნებოვნებული ვირთაგვები რომლებიც არ იღებდნენ არანაირ მკურნალობას

ექსპერიმენტის მიმდინარეობისას დასაწყისში (პირველი 10 დღე) სისხლში გლუკოზის კონტროლი მიმდინარეობდა ყოველ მეორე დღეს, ათი დღის შემდეგ უკვე შესაბამისი მკურნალობის დაწყებისას სისხლის გლუკოზის დონის გაგება მიმდინარეობდა ყოველდღე, მიღებული შედეგების მიხედვით ვადგენდით ინსულინის საინექციო დოზას.


ცდების დასრულების შემდგომ ვირთაგვებს შეეზღუდათ საკვები 24 საათის განმავლობაში (წყლის თავისუფალი მიღებით), მათი ევთანაზია განხორციელდა CO<sub>2</sub> სიჩქარე 5ლ/წუთში/ ინდივიდუალურ კამერაში.

ექსპერიმენტის დასრულებისას სისხლის აღება განხორციელდა კარდიალური პუნქციის გზით. სისხლი დაცენტრიფუგირდა 3000 ბრუნ/წთ 15 წთ განმავლობაში. მიღებული პლაზმა ინახებოდა მაცივარში -20°C-ზე. შემდგომში პლაზმა გამოყენებული იქნა სისხლის ბიოქიმიური პარამეტრების: (შარდოვანა(BUN), კრეატინინი (CREA), ასპარტატამინოტრანსფერაზა (AST), ალანიამინოტრანსფერაზა (ALT), გამაგლუტამილტრანსფერაზა (GGT), ტრიგლიცერიდები (TG), ქოლესტეროლი (CHOLF), მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინები (HDL), დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინები (LDL), ალბუმინი (ALB), გლუკოზა (GLUC) ) დასადგენად.

2.3.3. სელენის ნანონაწილაკების მისაღებად გამოყენებული მეთოდები

ექსპერიმენტის მიმდინარეობისას გამოყენებული იქნა სელენის ფხვნილი 50-80 მიკრომეტრი ზომის (50000-80000ნმ) სელენის მეტალური ფხვნილის სველი წესით დაფქვის მეთოდი:

სელენის ფხვნილი მოთავსდა ლაბორატორიულ ნანოწისქვილში (DECO-PBM-V-0.4L, ჩინეთი). ოთხივე ჯამში მოთავსდა სელენის სუფთა ფხვნილი 40 გრამის ოდენობით, თითოეულ მათგანს დაემატა 40 მლ სტერილური(საინექციო) წყალი. დაწყებული იქნა სველი ფქვა, ნანოწიქვილი ჩართული იქნა ორმაგ ბრუნვის რეჟიმზე: როდესაც ბრუნავს ცენტრალური/მთავარი დისკო მასზე დამაგრებული ოთხი ჯამით(ჭიქა), ასევე თავის მხრივ თითოეული ჯამი ბრუნავს დისკოს მიმართულების საპირისპიროდ, ყოველ 20წუთში დისკო ჩერდება და იცვლის მიმართულებას, შესაბამისად ბრუნვის მიმართულებას იცვლის თითოეული ჯამი. ბრუნვის სიხშირე 800-900 ბრუნვა წუთში (სურ. 5)



სურათი 5. ნანოწისქვილის მოქმედების მექანიზმი

სელენის ნანონაწილაკების მისაღებად ასევე გამოყენებული იქნა მაღალი სიხშირის ულტრაბგერითი ტალღები. 40მლ საკვლევ სუსპენზიას დაემატა 360 მლ საინექციო




ხსნარი და მიღებულ იქნა სელენის 10% ხსნარი. მიღებული სითხე გატარებული იქნა ულტრაბგერით ჰომოგენაიზერში Ultrasonic Processor FS-1800N სადაც წარმოიქმნება მაღალი სიხშირის ულტრაბგერითი ტალღები 1800W.

სტატისტიკური ანალიზი განხორციელდა სტიუდენტის t-ტესტით SPSS-ით v.23, P <0.05 ჩათვლილი იქნა როგორც სარწმუნო.

2.3.4. სელენის ნაწონაწილაკების სუსპენზიის ტოქსიურობის შესწავლის მეთოდები ერთჯერადი და მრავალჯერადი პერორალური მიღებისას

სელენის ნაწონაწილაკების ტოქსიურობის შესწავლა ერთჯერადი და მრავალჯერადი შეყვანისათვის წარმართა OECD გაიდლაინის მიხედვით (OECD Guidelines for the Testing of Chemicals, 2018)(OECD GUIDELINE FOR TESTING OF CHEMICALS, 2002). იხილეთ ქვემოთ მოყვანილი სქემა 1



სქემა 1. OECD გაიდლაინი - პროდუქტის ტოქსიურობის შესწავლა

გამოკვლევა დაწყებულ იქნა სელენის ნაწონაწილაკების სუსპენზიის 1000მგ/კგ დოზით, ვინაიდან აღნიშნული დოზის მიღების შემდგომ არც ერთი ვირთაგვის ლეტალობა არ დაფიქსირებულა, ერთჯერადი ორალური დოზა გაიზარდა 5000მგ/კგ-

მდე, რომლის შემდეგაც ლეტალობა კვლავ არ აღინიშნა, შესაბამისად საკვლევი სუსპენზიის LD<sub>50</sub> ვერ კლასიფიცირდა.

სელენის ნანონაწილაკების უსაფრთხოების დადგენისას მრავალჯერადი პერორალური მიღებისას გამოვიყენეთ 5000 მგ/კგ-ის მეთედი დოზა 500 მგ/კგ. 20 ლაბორატორიულ ვირთაგვაზე დაკვირვება მიმდინარეობდა 90დღე, ექსპერიმენტის შუაში ვირთაგვების ნახევარი გამოყვანილი იქნა ცდიდან. განხორციელდა მათი სისხლის ბიოქიმიური გამოკვლევა და ორგანოების მორფოლოგიური შესწავლა.

2.3.5. STZ-ით გამოწვეული შაქრიანი დიაბეტის მოდელირება და შაქრიანი დიაბეტით დასნებოვნებული ვირთაგვების სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიით მონო და ინსულინთან კომბინირებული მკურნალობის მეთოდოლოგია

შაქრიანი დიაბეტის გამოსაწვევად ჩატარდა STZ-ის ინექცია 30 მგ/კგ დოზით. მომზადდა ციტრატის ბუფერი (PH 4.5) რომელიც ინახებოდა სამაცივრო პირობებში (5-8°C). თავად STZ ინახებოდა სამაცივრო პირობებში (-20-25°C). STZ-ის აწონვის შემდეგ ხდებოდა მისი დაყოფა სპეციალურად ალუმინის ფოლგით დახურულ 1.5მლ-იან ტუბებში. თითო ტუბი განკუთვნილი იყო თითოეული ვირთაგვასათვის. სტრეპტოზოტოცინის ფხვნილი განზავდა ციტრატის ბუფერში (2.0მლ/კგ). STZ-ის ხსნარის მომზადება ხდებოდა მისი ყოველი ინექციის წინ.

ინექცია ხორცილედებოდა ინტრაპერიტონეალურად, შესაბამისად არ ჩატარებულა ვირთაგვების ანესთეზია. სტრეპტოზოტოცინის ინექციის დღეს ვირთაგვებს ეძლეოდათ საქაროზის 10% ხსნარი წყლის მაგივრად, ინექციის მეორე დღიდან აღნიშნული ხსნარი იცვლებოდა ჩვეულებრივი წყლით. შაქრიანი დიაბეტის დადგენა ხორციელდებოდა სისხლში გლუკოზის დონის კონტროლით (დიაბეტი ჩამოყალიბებულად ითვლებოდა >300მგ/დლ კონცენტრაციის მიღწევისას. დასნებოვნებული ვირთაგვების კონტროლი განხორციელდა 10 დღის განმავლობაში, რის შემდეგაც საკვლევ ჯგუფებში დაიწყო სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიით მონო- და ინსულინთან კომბინირებული მკურნალობა. გამოყენებულ

იქნა გახანგრძლივებული მოქმედების ინსულინი Novo-Nordisk: შეყვანა ხორციელდებოდა ინსულინის შპრიცის მეშვეობით კანქვეშ.

### 2.3.6. ლაბორატორიული ვირთაგვების აუტოფსიური მასალის ჰისტოლოგიური შესწავლისას გამოყენებული მეთოდები

ბიოლოგიური ექსპერიმენტების მსვლელობისას, როგორც სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიის უსაფრთხოების შესწავლის დროს ასევე შაქრიანი დიაბეტით დასნებოვნებულ ვირთაგვებში სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიის გამოყენებისას ჩატარდა ვირთაგვების ორგანოების(თირკმელები, ღვიძლი, პანკრეასი) ჰისტოლოგიური გამოკვლევა, ასევე ჩატარდა სისხლის ბიოქიმიური კვლევები.

ვირთაგვების გაკვეთის შემდეგ ამოიკვეთა შესაბამისი ორგანოები, მოხდა მათი გარეცხვა 0.9% ფიზიოლოგიურ ხსნარში. თითოეული ორგანოს ფიქსაცია განხორციელდა 4% ფორმალდეჰიდის ხსნარში. ფიქსაციის შემდგომ განხორციელდა საკვლევი ქსოვილების გაუწყლოება-დეჰიდრატაცია საკვლევი მასალის აღმავალი კონცენტრაციის სპირტებში თანმიმდევრული მოთავსებით(70% დან 100%-მდე). დეჰიდრატაციის შემდგომ ქსოვილისთვის მყარი კონსისტენციის მისაღებად დაიწყო ჩაყალიბების პროცესი გამდნარ პარაფინში 58-60°C. პარაფინის ბლოკში მოთავსებული ქსოვილის დაჭრა განხორციელდა ფოლადის დანის მქონე მიკროტომით, ანათლების სისქე 3-5მკმ. ანათლების შეღებვა განხორციელდა ჰემატოქსილინითა და ეოზინით.

### 2.3.7. სისხლის ბიოქიმიური გამოკვლევებისას გამოყენებული მეთოდები

სისხლის ბიოქიმიური კვლევები კერძოდ: ALT, AST, GGT, CREA, BUN, CHOLF, TG, HDL, ALB, GLUC განსაზღვრა ჩატარდა ნახევრად ავტომატური ფოტომეტრის HumaLyzer Primus REF 18200 (Human Diagnostics, Germany) და HUMACUBE (220V) თერმოსტატ/ინკუბატორის (Human Diagnostics, Germany) გამოყენებით.

ბიოქიმიური ანალიზები ჩატარდა შესაბამისი კიტების (Human Diagnostics, Germany) გამოყენებით:

ალბუმინის Albumin Liquicolor კოლორიმეტრიული ტესტი

<https://www.human.de/products/clinical-chemistry/reagents/proteins/#c2481>

საერთო ქოლესტერინის Cholesterol Liquicolor ფერმენტულ - კოლორიმეტრიული ტესტი ქოლესტერინის განსაზღვრისთვის ლიპიდების გამწმენდი ფაქტორით.

<https://www.human.de/products/clinical-chemistry/reagents/substrates-metabolites/#c2377>

გლუკოზის Glucose Liquicolor ფერმენტულ - კოლორიმეტრიული მეთოდი, დეპროტეინიზაციის გარეშე

<https://www.human.de/products/clinical-chemistry/reagents/substrates-metabolites/#c2462>

მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინი HDL Cholesterol დამლექი და სტანდარტი ჰუმან ქოლესტერინის ტესტი

<https://www.human.de/products/clinical-chemistry/reagents/substrates-metabolites/#c2379>

ტრიგლიცერიდები Triglycerides GPO ტრიგლიცერიდების განმსაზღვრელი ფერმენტული კოლორიმეტრიული მეთოდი ცხიმის გამწმენდი ფაქტორით

<https://www.human.de/products/clinical-chemistry/reagents/substrates-metabolites/#c2387>

კრეატინინი Creatinine Liquicolor ფერმენტულ - კოლორიმეტრიული ტესტი კინეტიკური გაზომვისთვის, დეპროტეინიზაციის გარეშე

<https://www.human.de/products/clinical-chemistry/reagents/substrates-metabolites/#c2378>

შარდოვანა Urea Liquicolor შარდოვანას განმსაზღვრელი ფერმენტული კოლორიმეტრიული ტესტი

<https://www.human.de/products/clinical-chemistry/reagents/substrates-metabolites/#c2388>

ალანინ ამინოტრანსფერაზა GPT(ALT) ალანინამინოტრანსფერაზას განსაზღვრა კინეტიკური მეთოდით

<https://www.human.de/products/clinical-chemistry/reagents/enzymes/#c2474>

ასპარტატ ამინოტრანსფერაზა GOT(ASAT) ასპარტატამინოტრანსფერაზას განსაზღვრა კინეტიკური მეთოდით

<https://www.human.de/products/clinical-chemistry/reagents/enzymes/#c2473>

გამა - გლუტამილტრანსფერაზას GGT Liquicolor, კოლორიმეტრიული L-γ გლუტამილტრანსფერაზას კინეტიკური განსაზღვრა


<https://www.human.de/products/clinical-chemistry/reagents/enzymes/#c2472>

ზემოთ აღნიშნული მეთოდების დეტალური განმარტება გთხოვთ იხილოთ დანართებში


## 2.4. კვლევის შედეგები

### 2.4.1. სელენის ნანონაწილაკების დახასიათება

საწყისი სელენის მეტალური ფხვნილი შემოწმებული იქნა JEOL -ის მასკანირებელი ელექტრონული მიკროსკოპით JSM-6510LV. დადასტურდა ნაწილაკების ზომა (50000-80000 ნმ) და ფხვნილში სელენის 97%-იანი შემცველობა (სურ.6, 7).



სურათი 6. სელენის მეტალური ფხვნილის მოლეკულური შემადგენლობის რენტგენოსპექტრულ ანალიზი (97%) JEOL -ის მასკანირებელი ელექტრონული მიკროსკოპი JSM-6510LV




სურათი 7. სელენის სუფთა ფხვნილი(ნატეხები) ზომით 50-80 მიკრომეტრი, JEOL მასკანირებელი ელექტრონული მიკროსკოპი JSM-6510LV

აღნიშნული მეტალური სელენის სველი წესით დაფქვა განხორციელდა ნანოწისქვილში ორმხრივი ბრუნვის მეთოდით, ბრუნვის სიჩქარე 800-900 ბრ/წთ. 3 საათიანი დაფქვის შემდეგ სელენის ნანონაწილაკების ზომა შემცირდა 20 მკმ-დე. (დანართი სურათი 1)


5 საათიანი სველი წესით დაფქვის შემდგომ ბრუნვის შემდეგ აღნიშნული სუსპენზია გამოკვლეული იქნა JEOL -ის JSM-6510LV და Zeiss Ultra 55 მასკანერებელი მიკროსკოპებით. დადგინდა რომ ზომა შემცირდა 5-10 მიკრომეტრამდე (დანართი სურათი 2)

ნანოწისქვილით დაფქვის შემდეგ გამოვიყენეთ მაღალი სიხშირის ულტრაბგერითი ტალღები. 40 მლ სუსპენზიას დაემატა 360 მლ საინექციო წყალი მივიღეთ სელენის 10% სუსპენზია, რომელიც დამუშავებული იქნა მაღალი სიხშირის ულტრაბგერითი გამოსხივებით 400-500W 20 წუთის განმავლობაში. მიღებული სუსპენზიის ზეტა პოტენციალი შეადგენს -35,05 მილივოლტს (სურ. 8).



სურათი 8. სელენის ნანონაწილაკების ზეტა პოტენციალი

დინამიური შუქის გამფანტავის (Thermo Scientific Nicolet iS50-FT IR) ხელსაწყოზე განისაზღვრა ინანონაწილაკების გაფანტვის მაჩვენებელი (სურ.9)




სურათი 9. სელენის ნანონაწილაკების ზომის გაფანტვის მაჩვენებელი

აღნიშნულ ხსნარზე გაგრძელდა მაღალი სიხშირის ულტრაბგერითი დასხივება 500-1000W 30წუთის განმავლობაში, რის შემდეგაც ნანონაწილაკების ზომა შემცირდა 200-300 ნანომეტრამდე (Zeiss Ultra 55 მასკანერებელი მიკროსკოპი, დანართი სურათი 3 )



საბოლოოდ ულტრაბგერითი დასხივება გაგრძელდა 500-1000W-ით 20წუთის(ჯამში 70წუთის) განმავლობაში, მიღებული სუსპენზიის გამოკვლევა ჩატარდა მასკანერებელი მიკროსკოპით JOEL JEM-100SX და დადგინდა რომ სელენის ნანონაწილაკების ზომა 100ნმ-მდეა (სურ.10)




სურათი 10. სელენის ნანონაწილაკების ზომა, მასკანერებელი მიკროსკოპი მასკანერებელი მიკროსკოპით JOEL JEM-100SX

#### 2.4.2. ვირთაგვების საკონტროლო ჯგუფში ღვიძლის, თირკმლისა და პანკრეასის ჰისტოლოგიური გამოკვლევისას მიღებული შედეგები

##### ღვიძლი

განიჩვევა ღვიძლის კლასიკური ექვსკუთხა (ჰექსაგონური) ფორმის წილაკები, რომელთა ირგვლივ ჩანს პორტული ტრიადები(სურ.11 B), კარის ვენის, ღვიძლის არტერიის ტოტები და ნაღვლის სადინარი, კარგადაა გამოხატული სინუსოიდური კაპილარები, რომლებიც ცენტრში - ღვიძლის ცენტრალურ ვენაში იკრიბება (სურ 11. A). მრავალკუთხა ფორმის ჰეპატოციტებში განიჩვევა ერთი ან ორი ეუქრომატული ბირთვი






სურათი 11. ვირთავების საკონტროლო ჯგუფი. ღვიძლი. H&E  
 A ღვიძლის წილაკები (X40); B პორტული ტრიადა (X100)

### თირკმელი


კარგადაა გამოხატული სტრუქტურულ ფუნქციური ერთეული - ნეფრონი. ბოუმანის კაფსულა, კაფსულის ფურცლებს შორის არსებული კაფსულის ღრუ. კარგად განირჩევა აციდოფილური ციტოპლაზმის მქონე ერთშრიანი კუბური ეპითელიუმისგან შემდგარი პროქსიმალური კლაკნილი მილაკები. დისტალური კლაკნილი მილაკების ამომფენი უჯრედები უფრო მცირე ზომისაა, მათი სანათური პროქსიმალური კლაკნილი მილაკების სანათურთან შედარებით უფრო განიერია (სურ. 12A). თირკმლის ტვინოვან ნივთიერებაში ჰენლეს მარყუჟის წვრილი დასწვრივი ტოტი ერთშრიანი ეპითელიუმით არის ამოფენილი და შედარებით ღარიბად იღებება. შემკრები მილაკების ამომფენი ეპითელიუმი კუბური ფორმისა და ასევე სუსტად იღებება. (სურ.12 B)



სურათი 12. ვირთაგვების საკონტროლო ჯგუფი. თირკმელი. H&E  
 A (X100) თირკმლის ქერქოვანი ნივთიერება, ბოუმანის კაფსულები.  
 B (X40) თირკმლის ტვინოვანი ნივთიერება, შემკრები მილაკები

### პანკრეასი

პანკრეასის ეგზოკრინული ნაწილი დაყოფილია პატარა წილაკებად, რომელიც წარმოადგენს ალველურ(აცინურ) ჯირკვლებს. ეს უჯრედები პოლარობით ხასიათდება, სადაც ბირთვი და ენდოპლაზმური ბადე ბაზალურ ნაწილშია მოთავსებული, რაც ბაზოფილიას განაპირობებს, უჯრედების აპიკალურ ნაწილში კი სეკრეციული გრანულები მდებარეობენ. პანკრეასის ენდოკრინულ ნაწილში განირჩევა ლანგერჰანსის კუნძულები, რომლებიც ეგზოკრინულ ნაწილში ნათელი უჯრედების გროვების სახით არის წარმოდგენილი (სურ. 13)




სურათი 13. ვირთაგვების საკონტროლო ჯგუფი. პანკრეასი. H&E (X100)

2.4.3. ლაბორატორიულ ვირთაგვებზე სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიის გავლენა ბიოქიმიურ და მორფოლოგიურ მაჩვენებლებზე მისი ერთჯერადი და მრავალჯერადი მიღებისას

საკვლევი ცხოველების წონა


სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიის გავლენის შესწავლისას მისი ერთჯერადი მიღების დროს, ვირთაგვებზე დაკვირვება გაგრძელდა 7 დღის განმავლობაში. დაკვირვებისას არც ერთი ლეტალური შემთხვევა არ დაფიქსირებულა, არ შეცვლილა ცხოველების წონა.

სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიის გავლენის შესწავლისას მისი მრავალჯერადი მიღების დროს, ვირთაგვებზე დაკვირვება გაგრძელდა 90 დღის განმავლობაში რაც რეკომენდებული არის OECD გაიდლაინის მიხედვით (OECD guideline for testing of chemicals) (OECD Guidelines for the Testing of Chemicals, 2018) დაკვირვებისას არც ერთი ვირთაგვის ლეტალობა არ დაფიქსირებულა. ქვემოთ ასახულია საკონტროლო და საკვლევი ვირთაგვების საშუალო წონა სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიის გავლენის შესწავლისას, მრავალჯერადი პერიოდული მიღებისას დაწყებისას, 45 და 90 დღის შემდეგ (დიაგრამა 11, 12)



დიაგრამა 11. საკონტროლო და საკვლევი ვირთაგვების საშუალო წონა სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიის გავლენის შესწავლისას მისი მრავალჯერადი მიღების დასაწყისში და 45 დღის შემდეგ





დიაგრამა 12. საკონტროლო და საკვლევი ვირთაგვების საშუალო წონა სელენის ნანონაწილაკების სუსპენზიის გავლენის შესწავლისას მისი მრავალჯერადი მიღების დასაწყისში და 90 დღის შემდეგ

სელენის ნანონაწილაკების ტოქსიურობის შესწავლისას როგორც ერთჯერადი ისე მრავალჯერადი მიღებისას არ დაფიქსირებულა ვირთაგვების ლეტალობა. არც ერთ ვირთაგვას არ ქონია კანის, ბეწვის, თვალების ან ლორწოვანი გარსის ცვლილებები, არ დაფიქსირებულა რესპირატორული, კარდიოვასკულარული აუტონომიური და ცენტრალური ნერვული სისტემის, სომატომოტორული და ქცევითი ცვლილებები.

2.4.3.1. სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიის გავლენა ბიოქიმიურ და მორფოლოგიურ მაჩვენებლებზე მისი ერთჯერადი მიღებისას

SeNPs 10% სუსპენზიის გავლენის შესწავლისას მისი ერთჯერადი მიღების დროს საკვლევ ჯგუფებს ეძლეოდათ SeNPs სუსპენზია ერთჯერადად 1000მგ/კგ და 5000მგ/კგ. იხილეთ მიღებული სისხლის ბიოქიმიური ანალიზების შედეგები (ცხრილი 4).

	AST U/L	ALT U/L	GGT U/L	CRE A umo I/L	BUN mmol /L	CHOLF mmol/L	TG mm ol/L	HDL mmol/ L	AL B g/L	GLUC mg/dL
საკონტროლო ჯგუფი	223.5±42	85±13	4.2±0.6	31±4	4.6±1.7	1.5±0.1	2.5±0.6	0.8±0.2	42±5	103±8
SeNPs 1000მგ/კგ	257±68*	72±1	3±0.7	39±12	5.5±1.2	1.76±0.2	2.1±1	1.2±0.5*	43±5	104±2
SeNPs 5000მგ/კგ	318±69*	101±29	3.7±1.4	38±12	6.8±1.6	1.39±0.1	3.6±0.1*	0.9±0.2	39±4	110±12


ცხრილი 4. სისხლის ბიოქიმიური პარამეტრები SeNPs ერთჯერადი მიღებისას. შენიშვნა: საშუალო მაჩვენებელი±SD (n=3); \*P<0.05 VS საკონტროლო ჯგუფი

ექსპერიმენტის დასრულებისას ვირთაგვების დეკაპიტაციის შემდეგ ჰისტოლოგიური კვლევისათვის აღებულ იქნა სხვადასხვა ორგანოები (ღვიძლი, თირკმელი, პანკრეასი). ჰისტოლოგიურ ანათლებში სელენის ნანონაწილაკები ვლინდება შავი ფერის მცირე ზომის სფერული ნაწილაკების გროვების სახით. ასეთი გროვები ძირითადად გვხვდება სისხლძარღვებსა და პერივასკულურ შემაერთებელ ქსოვილში. პარენქიმატოზულ ორგანოებში (ღვიძლი, თირკმელი, პანკრეასი) სელენის ნანონაწილაკები ასევე ნანახი იქნა ორგანოს პარენქიმაში, თუმცა ისინი მდებარეობს მხოლოდ სისხლძარღვებში, მათ შორის ღვიძლის სინუსოიდებში, თირკმლის გორგლების ფენესტრირებულ კაპილარებსა და პანკრეასის ლანგერჰანსის კუნძულების კაპილარებში. ექსტრა სისხლძარღვოვანი გავრცელება ნანახი არ იქნა. რაც საშუალებას იძლევა დავასკვნათ რომ ის ვერ გადის კაპილარულ ბარიერს, მათ შორის სინუსოიდალური და ფენესტრირებული ტიპის კაპილარების.


### ღვიძლი

სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიის 1000მგ/კგ და 5000მგ/კგ მიღების შემდეგ ღვიძლის წილაკების სტრუქტურა შენარჩუნებულია, ჰისტოლოგიურ პრეპარატებზე ნანახია პოლიგონური ფორმის ეოზინოფულური ციტოპლაზმის მქონე ჰეპატოციტები, რომლებიც შეიცავენ ეუქრომატულ ბირთვს, ჰეპატოციტების გარკვეული ნაწილი ორბირთვიანია, ბირთვებში კარგად გამოხატულია ერთი ან ორი ბირთვაკი.

ღვიძლის წილაკების ჰექსაგონალური აგებულება შენარჩუნებულია, ცენტრში იკვეთება ცენტრალური ვენა ხოლო ჰექსაგონის წვეროებზე განლაგებულია პორტული ტრიადაები(ნაღვლის სადინარი, ღვიძლის არტერიის ტოტი და პორტული ვენის ტოტი)(სურ.14). ზოგიერთ პორტულ ტრიადაში პორტული ვენის ტოტსა(წილაკთაშორისი ვენა) და ღვიძლის სინუსოიდებში ჩანს სელენის ნანონაწილაკები რუხი/შავი გროვების სახით (სურ. 15 და 16).




სურათი 14. ღვიძლი. H&E. SeNPs 5000მგ/კგ მიღების შემდეგ A (X40) B (X100)




სურათი 15. ღვიძლი. H&E. SeNPs 5000მგ/კგ მიღების შემდეგ პორტული ტრიადა. A: (X250) B: (X400) პორტული ვენის ტოტი და მასში არსებული სელენის გრანულები






სურათი 16. ღვიძლი. H&E. SeNPs 5000მგ/კგ მიღების შემდეგ (X250). სინუსოიდებში არსებული სელენის გრანულები (ისარი)

სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიის ერთჯერადი მიღებისას ზოგიერთ უბანში ღვიძლის სინუსოიდები მცირედ გაგანიერებულია(სურ 17). 10% SeNPsS გავლენის შეფასებისას მისი ერთჯერადი მიღებისას არ არის გამოხატული შემაერთებელი ქსოვილის ჩალაგება(ფიბროზი) ან ჰეპატოციტების მწვავე ნეკროზი.






სურათი 17. სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიის ერთჯერადი მიღება. ღვიძლი. H&E.  
 A: SeNPs 5000მგ/კგ მიღების შემდეგ (X250) მცირედ გაგანიერებული სინუსოიდები.  
 B და C: ღვიძლი SeNPs 5000მგ/კგ მიღების შემდეგ (X400) მცირედ გაგანიერებული სინუსოიდები.  
 D: SeNPs 1000მგ/კგ მიღების შემდეგ გაგანიერებული სინუსოიდები


### თირკმელი

თირკმელის ჰისტოლოგიური გამოკვლევისას კარგად ჩანს მისი სტრუქტურულ ფუნქციური ერთეული - ნეფრონი რომელშიც განირჩევა თირკმლის გლომერულები და მილაკოვანი სისტემა. განირჩევა მომტანი და გამომტანი არტერიოლები, კაპილარული გორგალი და ორშრიანი - ბოუმანის კაფსულა. ჩანს მცირედ გაგანიერებული კაფსულის დრუ (სურ. 18) რომელიც ბოუმანის კაფსულის ფურცლებს(ვისცერული და პარისეულ) შორისაა მოქცეული. მომტან არტერიოლებსა და თვითონ ბოუმანის კაფსულის სისხლძარღვებში (სურ. 18 და 19) ჩანს სელენის ნანონაწილაკები შავი ფერის გროვების სახით. აღსანიშნავია რომ სელენის ნანონაწილაკების გრანულები არ ჩანს არც პროქსიმალურ და არც დისტალურ კლაკნილ და არც შემკრებ მილაკებში (სურ 19 და 20).






სურათი 18. თირკმელი. H&E. SeNPs 5000მგ/კგ მიღების შემდეგ; A (X200) B (X300). მცირედ გაფართოებული კაფსულის ღრუ (თეთრი ისარი). სელენის ნანონაწილაკების გროვები (წითელი ისარი)




სურათი 19. თირკმელი. H&E. SeNPs 5000მგ/კგ მიღების შემდეგ, A, B (X300). სელენის ნანონაწილაკების გროვები (თეთრი ისარი)



სურათი 20. თირკმელი. H&E. SeNPs 5000მგ/კგ მიღების შემდეგ A, B (X200). A თირკმლის ქერქოვანი ნივთიერება პროქსიმალური და დისტალური კლავნილი მილაკები. B თირკმლის ტვინოვანი ნივთიერება

### პანკრეასი

სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიის ტოქსიურობის დადგენისას ერთჯერადი მიღების შემდგომ ჰისტოლოგიური გამოკვლევისას ჩანს პანკრეასის ეგზოკრინული ალვეოლურ აცინური ჯირკვალი. უჯრედები ხასიათდებიან მკვეთრი პოლარობით-ბირთვი განლაგებული ბაზალურ ნაწილში, აპიკალურ ნაწილში კი სეკრეციული გრანულები მდებარეობს. კარგად ჩანს პანკრეასის ენდოკრინული ნაწილი - ლანგერჰანსის კუნძულები, რომლებიც ეგზოკრინულ ნაწილებს შორის ჯგუფების სახით არის განლაგებული. კუნძულები ნათელი პოლიგონური ან მრგვალი უჯრედებისგან შედგება. ლანგერჰანსის კუნძულებში ისევე როგორც არტერიოლებსა და კაპილარებში ჩანს საკვლევი სუსპენზია შავი გროვების სახით (სურ: 21)



სურათი 21. A - პანკრეასი. H&E. SeNPs 5000მგ/კგ (X300), საკვლევი სუსპენზია (თეთრი ისარი). B და C - პანკრეასი SeNPs 5000მგ/კგ (X300), საკვლევი სუსპენზია კაპილარებსა(B) და არტერიოლაში(C) თეთრი ისრებით

#### 2.4.3.2. სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიის გავლენა ბიოქიმიურ და მორფოლოგიურ მაჩვენებლებზე მისი მრავალჯერადი მიღებისას

SeNPs 10% სუსპენზიის გავლენის შეფასებისას მისი მრავალჯერადი მიღებისას საკვლევ ჯგუფებს ეძლეოდათ SeNPs 10% სუსპენზია პერორალურად ყოველდღიურად 500მგ/კგ ოდენობით 45 და 90 დღის განმავლობაში. იხილეთ მიღებული სისხლის ბიოქიმიური ანალიზების შედეგები (ცხრილი 5).



	AST U/L	ALT ) U/L	GGT U/L	CREA umol/L	BUN mmol /L	CHO LF mmol/ L	TG mmol/ L	HDL mmol/ L	ALB g/L	GLU C mg/d L
საკონტროლო ჯგუფი	223.5± 42	85±1 3	4.2±0 .6	31±4	4.6±1 .7	1.5±0. 1	2.5±0. 6	0.8±0. 2	42±5	103± 8
SeNPs 500მგ/კგ დღე 45	214±29	66±6 *	3±0.3 *	30±6	7.0±1 .8	1.5±0. 3	2.3±0. 4	1.2±0. 2*	45±3	104± 10
SeNPs 500მგ/კგ დღე 90	220±28	86±1 1	2±0.9 *	35.5±5	3.7±1 .6	1.4±0. 04	5.4±0. 2*	1.03±0 .2	47±2 *	97±1 2


ცხრილი 5. სისხლის ბიოქიმიური პარამეტრები SeNPs 10% სუსპენზიის მრავალჯერადი მიღებისას. შენიშვნა: საშუალო მაჩვენებელი±SD (n=10); \*P<0.05 VS საკონტროლო ჯგუფი

### ღვიძლი

ღვიძლის წილაკოვანი სტრუქტურა შენარჩუნებულია, კარგადაა გამოხატული ეოზინოფილური ჰეპატოციტები ეუქრომატული ბირთვებით, ჩანს ასევე ორბირთვიანია ჰეპატოციტები, ისახება ერთი ან ორი ბირთვაკი.

ღვიძლის წილაკების ჰექსაგონური აგებულება შენარჩუნებულია, ცენტრში ჩანს ცენტრალური ვენა, წვეროებზე განლაგებულია პორტული ტრიადა(ნაღვლის სადინარი, ღვიძლის არტერიის ტოტი და პორტული ვენის ტოტი)(სურ. 22).

პორტულ ტრიადაში პორტული ვენის ტოტსა(წილაკთაშორისი ვენა) და ღვიძლის სინუსოიდებში/სინუსოიდალურ კაპილარებში სელენის ნანონაწილაკების საკვლევი სუსპენზია არ ჩანს (სურ. 22). ასევე აღსანიშნავია რომ არ იკვეთება სინუსოიდების გაგანიერება რაც აღინიშნებოდა SeNPs ერთჯერადი მიღებისას



სურათი 22. სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიის მრავალჯერადი მიღება. ღვიძლი. H&E

A: ღვიძლი SeNPs 10% სუსპენზიის 500მგ/კგ 90 დღიანი მრავალჯერადი მიღების შემდეგ (X100) ღვიძლის კლასიკური წილაკები


B: ღვიძლი SeNPs 10% სუსპენზიის 500მგ/კგ 90 დღიანი მრავალჯერადი მიღების შემდეგ (X300) პორტული ტრიადა, კარგად ჩანს ღვიძლის სინუსოიდები


C: ღვიძლი SeNPs 10% სუსპენზიის 500მგ/კგ 90 დღიანი მრავალჯერადი მიღების შემდეგ (X400) ცენტრალური ვენა, კარგად ჩანს ღვიძლის სინუსოიდები

სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიის გავლენის შესწავლისას, მისი მრავალჯერადი მიღების შემდგომ (SeNPs 500მგ/კგ 90 დღე) ღვიძლის ჰისტოლოგიური შესწავლისას არ აღინიშნება მისი ფიბროზი ან ვაკუოლიზაცია, არ ისახება ცხიმოვანი დისტროფია.

### თირკმელი

თირკმელის მორფოლოგიური კვლევისას ნეფრონში განირჩევა თირკმლის სხეულაკი და მილაკოვანი სისტემა. თირკმლის სხეულაკში განირჩევა მომტანი და გამომტანი არტერიოლები, ჩანს ბოუმანის კაფულა, მცირედ გაგნიერებული კაფსულის ღრუ (სურ 11) მომტან არტერიოლებსა და თვითონ ბოუმანის კაფსულის სისხლძარღვებში საკვლევი სუსპენზია შავი ფერის გროვების სახით არ განირჩევა SeNPs 10% სუსპენზიის ტოქსიურობის შესწავლისას მისი ერთჯერადი მიღებისგან განსხვავებით. სელენის ნანონაწილაკების გრანულები არ ჩანს არც პროქსიმალურ და დისტალურ კლაკნილ და შემკრებ მილაკებში (სურ. 23)





სურათი 23. სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიის მრავალჯერადი მიღება. თირკმელი. H&E  
 A: თირკმელი SeNPs 10% სუსპენზია 500მგ/კგ 90 დღიანი მრავალჯერადი მიღების შემდეგ (X400) თირკმლის ქერქოვანი ნივთიერება - ბოლმანის კაფსულა  
 B: თირკმელი SeNPs 10% სუსპენზია 500მგ/კგ 90 დღიანი მრავალჯერადი მიღების შემდეგ (X400) თირკმლის ქერქოვანი ნივთიერება პროქსიმალური და დისტალური კლაკნილი მილაკები  
 C: თირკმელი SeNPs 10% სუსპენზია 500მგ/კგ 90 დღიანი მრავალჯერადი მიღების შემდეგ (X200) თირკმლის ტვინოვანი ნივთიერება შემკრები მილაკები  
 D: (X200) თირკმელი SeNPs 10% სუსპენზია 500მგ/კგ 45 დღიანი მრავალჯერადი მიღების შემდეგ თირკმლის ტვინოვანი ნივთიერება შემკრები მილაკები

### პანკრეასი

სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიის ტოქსიურობის დადგენისას მისი მრავალჯერადი მიღების შემდგომ პანკრეასის ჰისტოლოგიური გამოკვლევისას არც ეგზოკრინულ და არც ენდოკრინულ ნაწილში ცვლილებები არ დაფიქსირებულა.

#### 2.4.4. შაქრიანი დიაბეტით დასნებოვნებული ვირთაგვების სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიით მონო და კომბინირებული მკურნალობის შედეგები

##### 2.4.4.1. შაქრიანი დიაბეტით დასნებოვნებული ვირთაგვების სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიითა და ინსულინით მონო და კომბინირებული მკურნალობისას მიღებული ბიოქიმიური კვლევის შედეგები

შაქრიანი დიაბეტით დასნებოვნებულ ვირთაგვებში სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიით მონო და კომბინირებული მკურნალობისას ჩატარდა შემდეგი ბიოქიმიური კვლევები (ცხრილი 6, 7; დიაგრამა 13)



	AST U/L	ALT U/L	CREA umol/L	BUN mmol/L	CHOLF mmol/L	TG mmol/L	ALB g/L	HDLF mmol/L
საკონტროლო ჯგუფი	223.5±42	85±12	31±4	4.6±1.7	1.5±0.1	2.5±0.6	42±4	0.9±1
DM + Se	192±17	82±18	30,2±13	5,3±5,2	2,1±0,3	9,3±1*	36±2*	1.4±0.6
DM+Se+Ins	207±24	86±14	29±11	4.5±3.2	2,1±0,8	8,9±0,8*	44±3	1.5±1
DM+Ins	194±27	87±16	31±13	4,3±1,7	1,4±0,3	9.2±1.8*	40±4	0.8±0.2
DM	371±37*	142±33*	64,3±5*	9.6±0.8*	3,4±0.9*	19,3±7*	28±4*	0.6±0.1*

ცხრილი 6. ბიოქიმიური მაჩვენებლები შაქრიანი დიაბეტით დასნებოვნებული ვირთაგვების სელენით მონო და კომბინირებული მკურნალობის შემდგომ.

საშუალო მაჩვენებელი±SD (n=5); \*P<0.05 VS საკონტროლო ჯგუფი.

DM+Se შაქრიანი დიაბეტით დასნებოვნებული ვირთაგვები იმყოფებიან მხოლოდ სელენის ნაწილობრივ მკურნალობაზე.

DM+Se+Ins შაქრიანი დიაბეტით დასნებოვნებული ვირთაგვები იმყოფებიან სელენის ნაწილობრივ მკურნალობისა და ინსულინის ინექციის კომბინირებულ მკურნალობაზე.


DM+Ins დიაბეტით დასნებოვნებული ვირთაგვები იმყოფებიან მხოლოდ ინსულინის ინექციურ მკურნალობაზე.

DM დიაბეტით დასნებოვნებული ვირთაგვები არ იმყოფებიან არანაირ მკურნალობაზე

	GLUC mg/dL ექსპერიმენტის დაწყებამდე	GLUC mg/dL დიაბეტის გამოწვევა(ექსპერიმენტის მსვლელობისას)	GLUC mg/dL ექსპერიმენტის/მკურნალობის დასრულებისას
საკონტროლო ჯგუფი	108±5	107±6	108±7
DM + Se	107±5	579±27*	146±11*
DM+Se+Ins	108±6	581±25*	120±10
DM+Ins	108±7	575±33*	159±6*
DM	108±4	588±25*	583±25*

ცხრილი 7. გლუკოზის საშუალო ბიოქიმიური მაჩვენებლები შაქრიანი დიაბეტით დასნებოვნებული ვირთაგვების სელენით მონო და კომბინირებული მკურნალობის შემდგომ.

საშუალო მაჩვენებელი±SD (n=5); \*P<0.05 VS საკონტროლო ჯგუფი



დიაგრამა 13. გლუკოზის(mg/dL) საშუალო ბიოქიმიური მაჩვენებლები შაქრიანი დიაბეტით დასნებოვნებული ვირთაგვების სელენით მონო და კომბინირებული მკურნალობის შემდგომ

**DM+Se** შაქრიანი დიაბეტით დასნებოვნებული ვირთაგვები იმყოფებიან მხოლოდ სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიით მკურნალობაზე

**DM+Se+Ins** შაქრიანი დიაბეტით დასნებოვნებული ვირთაგვები იმყოფებიან სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიითა და ინსულინის ინექციის კომბინირებულ მკურნალობაზე

**DM+Ins** დიაბეტით დასნებოვნებული ვირთაგვები იმყოფებიან მხოლოდ ინსულინის ინექციურ მკურნალობაზე

**DM** დიაბეტით დასნებოვნებული ვირთაგვები არ იმყოფებიან არანაირ მკურნალობაზე


2.4.4.2. შაქრიანი დიაბეტით დასნებოვნებული ვირთაგვების სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიითა და ინსულინით მონო და კომბინირებული მკურნალობისას მიღებული მორფოლოგიური შედეგები

შაქრიანი დიაბეტით დასნებოვნებულ ვირთაგვებში სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიით მონო და კომბინირებული მკურნალობისას მიღებული ღვიძლის, თირკმლისა და პანკრეასის მორფოლოგიური კვლევა.

**ჯგუფი DM: დიაბეტით დასნებოვნებული ვირთაგვები**

ღვიძლი

ღვიძლის არქიტექტონიკა დარღვეულია. ჰექსაგონური სტრუქტურა კარგად არ იკვეთება, არ არის ნათელი დემარკაცია ჰექსაგონებს შორის. ჰეპატოციტების ციტოპლაზმა გრანულარული აღინიშნება მკვეთრად გამოხატული ვაკუოლიზაცია და ანთებითი(ლიმფოციტური) ინფილტრაცია. მომატებულია კუფფერის უჯრედების რაოდენობა. ინფილტრაცია გვხვდება როგორც ტრიადის (სურ. 24 C) ასევე ცენტრალური ვენის გარშემო. ( სურ.24)



სურათი 24. DM-ით დაავადებული ვირთაგვები. ღვიძლი. H&E.

A (X100) ჰეპატოციტები წვრილმარცვლოვანი, დარღვეული ღვიძლის არქიტექტონიკა.


B(X400) თეთრი ისრით მითითებულია ნაღვლის სადინრების მიდამოში მკვეთრად გამოხატული ანთებითი ინფილტრაცია, წითელი ისრით მითითებული კუფფერის უჯრედები, მკვეთრად გამოხატულია ვაკუოლიზაცია.

C(X400) ანთებითი ინფილტრაცია აღინიშნება პორტული ტრიადის მიდამოშიც, მკვეთრად გამოხატულია ვაკუოლიზაცია

**პანკრეასი**

ეგზოკრინულ პანკრეასში ცვლილებები არ იქნა ნანახი. ენდოკრინულ კუნძულებში პანკრეასში ჩანს ნარჩენი ლანგერჰანსის კუნძულები რომლებიც განიცდიან ნეკროზს(სურ.25 A, B), რომელთა გარშემოც შეინიშნება სიდეროფაგებით ინფილტრაცია (სურ.25 C)





სურათი 25. DM-ით დაავადებული ვირთავგები, პანკრეასი. H&E. A, B, C (X400).


A: ლანგერჰანსის კუნძულები დანეკროზებულია, აღინიშნება ანთებითი ინფილტრაცია.

B: ლანგერჰანსის კუნძული, აღინიშნება მკვეთრი ანთებითი ინფილტრაცია.

C: დანეკროზებული ლანგერჰანსის კუნძული, წრეში აღინიშნება სიდეროფაგები

## თირკმელი

აღინიშნება მკვეთრად გამოხატული ანთებითი ინფილტრაცია, ინტერსტიციუმის შეშუპება. თირკმლის გორგლები შეჭმუხნულია შეშუპებული ინტერსტიციუმის კომპრესიის გამო, გორგლოვან კაპილარებში ჩანს “სლაჯირებული” ერითროციტები. სადინრებში მასიურად ჩანს ჰემოსიდერინი, კაპილარები დილატირებულია (სურ. 26, 27). თირკმლის ინტერსტიციუმში ჩანს ცილოვანი კომპონენტები (სურ. 28)




სურათი 26. DM-ით დაავადებული ვირთავგები, თირკმელი. H&E.

A: შემკრები მილაკები მკვეთრად შეშუპებულია (X200).

B: მკვეთრად გამოხატული ინტერსტიციუმის შეშუპება (X400).

C: თირკმლის ქერქოვანი ნივთიერება. მკვეთრად გამოხატული ანთებითი ინფილტრაცია (X200)






სურათი 27. DM-ით დაავადებული ვირთაგვები, თირკმელი (X400). H&E.

A და B: თირკმლის სადინრები დიდი რაოდენობით ჰემოსიდერინი (ისარი).

C: მკვეთრად შეჭმუხნილი თირკმლის გორგალი(ისარი), მკვეთრად დილატირებული კაპილარები.

D: კაპილარები გაფართოებული, გლომერულები შეჭმუხნილი, ჩანს ერითროციტების სტაზი




სურათი 28. DM-ით დაავადებული ვირთაგვები, თირკმელი. A, B (X400). ფლორესცენციულ მიკროსკოპი, ცილოვანი ნივთიერების დაგროვება ინტერსტიციუმში (ისარი)

## *გგუფი DM+Ins: დიაბეტით დასნებოვნებულ ვირთაგვებში მხოლოდ ინსულინის ინექციით მკურნალობა*

### ღვიძლი

ღვიძლის არქიტექტონიკა მცირედ დარღვეული რაც გამოიხატება სინუსოიდების გაფართოებასა და უჯრედებს შორის სივრცის გაჩენით, არ გვხვდება ვაკუოლიზაცია, და არც ცხიმოვანი დისტროფიისა და ფიბროზის ველები (სურ. 29)




სურათი 29. DM-ით დაავადებული ვირთაგვების მკურნალობა მხოლოდ ინსულინის ინექციით. H&E A(X200) B(X100) ჩანს გადიდებული სინუსოიდები, უჯრედშორისი სივრცეები მცირედ მომატებული. C და D (X200) გადიდებული სინუსოიდები(ისარი) (X200)

### პანკრეასი

პანკრეასის ლანგერჰანსის კუნძულებში შეინიშნება ანთებითი ინფილტრაცია, დიდი რაოდენობით ჰემოსიდეროფაგები. კუნძულების ზომა მცირეა, რეგენერაციული პროცესები დაწყებულია, ბეტა უჯრედები გააქტივებულია მათ ბირთვები აღინიშნება



ჰეტეროქრომატინი. ლანგერჰანსის კუნძულებში აღინიშნება კაპილარების რაოდენობის ზრდა(ჰიპერვასკულარიზაცია) (სურ. 30)




სურათი 30. DM-ით დაავადებული ვირთაგვების მკურნალობა მხოლოდ ინსულინის ინექციით, პანკრეასი. H&E.

A(X200) B(X400) ლანგერჰანსის კუნძულების რეგენერაცია დაწყებულია, მაგრამ ჩანს ანთებითი ინფილტრაცია, თეთრი ისრებით მითითებულია ჰემოსიდროფაგები.

C და D(X400) ლანგერჰანსის კუნძულების რეგენერაცია დაწყებულია, მაგრამ ჩანს ანთებითი ინფილტრაცია, თეთრი ისრით მითითებული მცირე ზომის ლანგერჰანსის კუნძული (თეთრი ისარი). ლანგერჰანსის კუნძული, კუნძულში ბა ზოფილური ბირთვები(შავი წრე).

### თირკმელი

თირკმლის მილაკებში აღინიშნება შეშუპება, სანათურები ღიაა. ამომფენი ეპითელიუმიც მცირედ შეშუპებულია, თირკმლის გორგლები ნორმაშია, კაპილარული სტაზი არ აღინიშნება (სურ.31)



სურათი 31. DM-ით დაავადებული ვირთაგვების მკურნალობა მხოლოდ ინსულინის ინექციით. თირკმელი. H&E.


A: (X200). შემკრები მილაკების ამომფენი ეპითელიუმში მცირედ შეშუპებული.

B: (X400) თირკმლის ქერქოვანი ნივთიერება გამოხატულია ნორმალური ბოუმანის კაფსულა, პროქსიმალური კლაკნილი მილაკის ამომფენი ეპითელიუმში მცირედ შეშუპებულია

### ჯგუფი DM+Se: დიაბეტით დასნებოვნებულ ვირთაგვებში მხოლოდ სელენის ნაწილობრივად 10% სუსპენზიით მკურნალობა

#### ღვიძლი


ღვიძლის არქიტექტონიკა შეუცვლელია, ჰეპატოციტების ვაკუოლიზაცია, ცხიმოვანი დისტროფია ან ფიბროზი არ ისახება. (სურ. 32 A), ღვიძლში მომატებულია კუფფერის უჯრედების რაოდენობა, სინუსოიდები ოდნავ გაგანიერებულია (სურ. 32 B)



სურათი 32. დიაბეტით დასნებოვნებულ ვირთაგვებში მხოლოდ SeNPs 10% სუსპენზიის მიღება ღვიძლი. H&E. A: (X200) ღვიძლის შეუცვლელი არქიტექტონიკა. B: (X400) კუფფერის უჯრედები (თეთრი ისარი), სინუსოიდები (წითელი ისარი)




სინუსოიდების, ნაღვლის დუქტულებისა და ტრიადის გარშემო ნანახია ლიმფოციტური ინფილტრაცია (სურ. 33 A), რომელიც ასევე აღინიშნება ნაღვლის დუქტულებისა(სურ. 33 B) და ტრიადის მიდამოში(სურ. 33 C)




სურათი 33. DM-ით დასნეობუნებულ ვირთაგვებში მხოლოდ SeNPs 10% სუსპენზიის მიღება. H&E.  
 A: (X200) ისრებით მითითებული პერისინუსოიდურ დისსეს სივრცეებში ლიმფოციტური ინფილტრაცია.  
 B: (X300) ლიმფოციტებით ინფილტრაცია ნაღვლის დუქტულების მიდამოში პერიდუქტულურად.  
 C: (X400) ისრით მითითებულია ლიმფოციტები პორტული ტრიადის მიმდებარედ პერიპორტულად

### პანკრეასი

სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიით მონო თერაპიის შემდგომ შაქრიანი დიაბეტით დასნეობუნებულ ვირთაგვებში აღინიშნება დიდი რაოდენობით რეგენერაციული, სხვადასხვა ზომისა და ფორმის ლანგერჰანსის კუნძულები(სურ.34, 35)








სურათი 34. DM-ით დასნეობენებული ვირთაგვები, SeNPs-ის 10% სუსპენზიით მონო მკურნალობა, პანკრეასი. H&E.

A: (X100) სხვადასხვა ზომისა და ფორმის ლანგერჰანსის კუნძულები (თეთრი ისარი)

B:(X200) ორ სისხლძარღვთან ახლად რეგენირებული ლანგერჰანსის კუნძულები. გაგანიერებული კაპილარები(წითელი), რეგენირებული ლანგერჰანსის კუნძულები (თეთრი ისარი)

C და D: (X400). სისხლძარღვებთან ახლად რეგენირებული ლანგერჰანსის კუნძულები ჰიპერვასკულარიზაცია (წითელი ისარი), რეგენირებული ლანგერჰანსის კუნძულები (თეთრი ისარი)



სურათი 35. DM-ით დასნეობენებული ვირთაგვები, SeNPs-ის 10% სუსპენზიით მონო მკურნალობა, პანკრეასი. H&E.


A: (X400) რეგენირებული ლანგერჰანსის კუნძული

B: (X400) ლანგერჰანსის კუნძულის უჯრედების ბაზოფილური ბირთვები (თეთრი ისრები), სავარაუდოდ მიტოზური მეტაფაზა (წითელი ისარი)

### თირკმელი

ანთებითი ინფილტრაცია ან ნეკროზი მილაკების და ინტერსტიციუმის შეშუპება არ არის გამოხატული, თირკმლის გორგლები-ბოუმანის კაფსულა ნორმაშია, მილაკების


სანათურები არ არის გაფართოებული (სურ.36) და ცილოვანი ნივთიერებები ინტერსტიციუმში არ ვლინდება (სურ.36, 37)



სურათი 36. DM-ით დასნებოვნებული ვირთაგვები, SeNPs-ის 10% სუსპენზიით მონო მკურნალობა, თირკმელები. H&E. A, B (X200)

A: თირკმლის ქერქოვანი ნივთიერება, პროქსიმალური და დისტალური კლაკნილი მილაკები. ანთებითი ინფილტრაცია, შეშუპება არ არის გამოხატული

B: თირკმლის გორგლები (თეთრი ისარი) პროქსიმალური და დისტალური კლაკნილი მილაკები (წითელი ისარი)




სურათი 37. DM-ით დასნებოვნებული ვირთაგვები, SeNPs-ის სუსპენზიით მონო მკურნალობა, თირკმელები (X200). ფლოურესცენციული მიკროსკოპით ჩანს რომ თირკმელებში შეშუპება არ ვლინდება, ცილოვანი ნივთიერებები არ არის დაგროვილი ინტერსტიციუმში.



გგუფი DM+Se+Ins: დიაბეტით დასნებოვნებულ ვირთაგვებში ინსულინითა და სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიით კომბინირებული მკურნალობა

ღვიძლი:


ღვიძლის არქიტექტონიკა დარღვეული არ არის, სინუსოიდები მცირედ გაგანიერებული, არ ისახება ვაკუალიზაცია, ლიმფოციტებით ინფილტრაცია, არ არის ცხიმოვანი დისტროფია ან ფიბროზი (სურ. 38)



სურათი 38. DM-ით დასნებოვნებული ვირთაგვები, SeNPs-ის 10% სუსპენზიით და ინსულინით კომბინირებული მკურნალობა, ღვიძლი. H&E. (X200)

პანკრეასი

აღწერა ეგზოკრინული ნორმა. ენდოკრინულ ნაწილში სისხლძარღვთა მარყუებში(ჰიპერვასკულარიზაცია) აღინიშნება მრავლობითი სხვადასხვა ფორმის და ზომის რეგენერირებული ლანგერჰანსის კუნძულები (სურ.39).




სურათი 39. DM-ით დასნეობენებული ვირთაგვები, SeNPs-ის 10% სუსპენზიითა და ინსულინით კომბინირებული მკურნალობა, პანკრეასი. H&E. A, B, C, D (X400). რეგენირებული ლანგერჰანის კუნძულები (თეთრი ისარი), ჰიპერვასკულარიზაცია, სისხლძარღვები (წითელი ისარი)

### თირკმელები

თირკმელებში ანთებითი ინფილტრაცია, ნეკროზი არ არის გამოხატული, მილაკების და ბოუმანის კაფსულის სტრუქტურა შენარჩუნებულია (სურ.40) ფლოურესცენციული მიკროსკოპით ჩანს რომ თირკმელებში შეშუპება არ ვლინდება, ცილოვანი ნივთიერებები არ არის დაგრივილი ინტერსტიციუმში (სურ.41)






სურათი 40. DM-ით დასნებოვნებული ვირთაგვები, SeNPs-ის 10% სუსპენზიითა და ინსულინით კომბინირებული მკურნალობა, თირკმელი. H&E.

A: (X200) თირკმლის ქერქოვანი ნივთიერება, პროქსიმალური და დისტალური კლაკნილი მილაკები (წითელი ისარი), თირკმლის გორგალი (თეთრი ისარი), დისტალური კლაკნილი მილაკები მცირედ დილატირებული

B: (X400) ნორმალური პროქსიმალური კლაკნილი მილაკები

C: (X200) თირკმლის ნორმალური შეშვრები მილაკები, არ არის გამოხატული შეშუპება ან ანთებითი ინფილტრაცია.

D: (X400) ნორმალური ბოუმანის კაფსულები (თეთრი ისარი)




სურათი 41. DM-ით დასნეზოვნებული ვირთაგვები, SeNPs-ის 10% სუსპენზიითა და ინსულინით კომბინირებული მკურნალობა, თირკმელი (X400). ფლოუორესცენციული მიკროსკოპით ჩანს რომ თირკმელებში შემუპება არ ვლინდება, ცილოვანი ნივთიერებები არ არის დაგრივილი ინტერსტიციუმში.

ლანგერჰანსის კუნძულების რეგენერაციის დასადასტურებლად საკვლევ ჯგუფებში მოხდა ლანგერჰანსის კუნძულების ფართობების შეფარდებითი პროცენტის გამოთვლა. ყოველი ჯგუფიდან რანდომულად შეირჩა პანკრეასის სამ-სამი ჰისტოლოგიური პრეპარატი. გამოვითვალეთ თითოეულ პრეპარატზე არსებული პანკრეასის ქსოვილის საერთო ფართობი და ამავე პრეპარატებში ლანგერჰანსის კუნძულების ფართობები. შესაბამისად გამოვითვალეთ ლანგერჰანსის კუნძულების ფართობების შეფარდება პრეპარატზე არსებული პანკრეასის ქსოვილის საერთო ფართობთან (ცხრილი 8; დიაგრამა 14).

ჯგუფები	ლანგერჰანსის კუნძულების შეფარდება პანკრეასის მთლიან ფართობთან (%)
DM+Ins+Se	1.3 ±0.4%* <sup>1 2</sup>
DM+Se	0.3±0.1%* <sup>1 3</sup>
DM+Ins	0.2±0.07%* <sup>2 3</sup>
DM	0.05±0.03%*

Standard deviation  $\pm$  SD (n=3);  
 \*  $P < 0.05$  VS DM Group  
<sup>1</sup>  $P < 0.05$  DM+Ins+Se VS DM+Se  
<sup>2</sup>  $P < 0.05$  DM+Ins+Se VS DM+Ins  
<sup>3</sup>  $P > 0.05$  DM+Se VS DM+Ins

ცხრილი 8. ლანგერჰანსის კუნძულების ფართობების შეფარდებითი წილი და პროცენტი



დიაგრამა 14. ლანგერჰანსის კუნძულების ფართობის შეფარდებითი პროცენტის გადანაწილება საკვლევი ჯგუფების მიხედვით (LI Langerhans Islands)

2.4.5. კვლევის შედეგების ანალიზი

დადგენილია რომ შაქრიანი დიაბეტის დროს მცირდება ანტიოქსიდანტების რაოდენობა და შესაბამისად იზრდება უჯრედების ოქსიდაციური სტრესი და ზეჟანგური ჟანგვა, რაც თავის მხრივ ამძიმებს დიაბეტის მიმდინარეობას და იწვევს სახვადასხვა გართულებებს (Tabar, 2012)(Vassort & Turan, 2010)(Kornhauser et al., 2008)(Steinbrenner et al., 2006)(Asmat, Abad, & Ismail, 2016)(Oguntibeju, 2019)(X. Ma et al., 2018)(Lazo-de-la-Vega-Monroy & Fernandez-Mej, 2013).

სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიის უსაფრთხოების დადგენის მიზნით მისი ერთჯერადი პერორალური გამოყენებისას აღინიშნა ღვიძლის ფერმენტის AST-ს

მატება, როგორც 1000მგ/კგ ისე 5000მგ/კგ მიღებისას(ცხრილი 4). ჩვენი შედეგები შეესაბამება სხვადასხვა მკვლევარების მიერ მიღებულ მონაცემებს ლაბორატორიულ ცხოველებში ღვიძლის ფერმენტების მატების შესახებ სელენის ნაონაწილაკების მიცემისას (He et al., 2014)(Shakibaie et al., 2013). ჩვენს ექსპერიმენტში ერთჯერადად მიცემულმა მაქსიმალურმა დოზებმა (1000მგ/კგ და 5000მგ/კგ) არ გამოიწვია არც ერთი ვირთავას ლეტალობა. სელენის ნაონაწილაკების 10% სუსპენზიის მრავალჯერადად მიღებისას (დოზის 10ჯერ შემცირებით-500მგ/კგ) AST-ს მომატებული მაჩვენებელი ნორმალიზდა (ცხრილი 5).

ცნობილია რომ ღვიძლის უჯრედების - ჰეპატოციტების ფერმენტები ამინოტრანსფერაზები - ALT და AST მონაწილობენ გლუკონეოგენეზში - AST მდებარეობს უჯრედების ციტოზოლსა და მიტოქონდრიაში, ღვიძლის გარდა გვხვდება გულისა და ჩონჩხის კუნთებში, თირკმელებში, თავის ტვინში, ფილტვებში, ლეიკოციტებსა და სისხლის წითელ უჯრედებში. აქედან გამომდინარე აღნიშნული ფერმენტის მატება მხოლოდ ჰეპატოციტების დაზიანებისათვის არ არის სპეციფიური (Lala, Goyal, Bansal, & Minter, 2021)(Giannini, Testa, & Savarino, 2005). ტრანსამინაზები ALT და AST წარმოადგენენ ერთგვარ მარკერებს რომელთა რაოდენობის ზრდა შეიძლება ასოცირებული იყოს ჰეპატოციტების დაზიანებასთან (Al-Quraishy et al., 2015)(Dkhil et al., 2014)(Di Naso, Simões Dias, Porawski, & Marroni, 2011)(Maiti et al., 2013). ALT (ჰეპატოციტების ციტოზოლური ფერმენტი) მცირე რაოდენობით გვხვდება ჩონჩხის კუნთებსა და თირკმელში. ღვიძლში ALT უმეტესად ციტოპლაზმაშია, AST კი ციტოპლაზმასა (20%) და მიტოქონდრიის (80%) მატრიქსში. AST უმეტესად ღვიძლის აცინუსის მესამე ზონაში გვხვდება, შესაბამისად ჰიპოქსიის, იშემიის ან ტოქსიური დაზიანებისას ხდება მისი რაოდენობის მატება(Giannini et al., 2005)(Pratt & Kaplan, 2000). სელენის ნაონაწილაკების 10% სუსპენზიის დიდი დოზით (5000მგ/კგ) მიღებამ გამოიწვია სინუსოიდების გაგანიერება, რომელიც განსაკუთრებით, OECD გაიდლაინით მითითებული(OECD GUIDELINE FOR TESTING OF CHEMICALS, 2002) მაქსიმალური დოზის - 5000მგ/კგ სელენის ნაონაწილაკების 10% სუსპენზიის მიღების შემდეგ შეიმჩნევა. პორტულ ვენულებში სელენის ნაონაწილაკების კონგლომერატის

წარმოქმნამ შესაძლოა გამოიწვიოს ჰიპოქსია და ტრანსამინაზა -AST-ს ციფრების მატება, სხვა ტრანსამინაზების (ALT და GGT) ციფრების მატების გარეშე. GGT ფერმენტი ჰეპატოციტებსა და სანაღვლე გზების ეპითელიურ უჯრედებშია, მისი მომატება უმეტესად ნაღვლის შეგუბებისა და ჰეპატოციტების დაზიანებისას აღინიშნება (Rosalki, Tarlow, & Rau, 1971)(Giannini et al., 2005). სელენის ნაონაწილაკების 10% სუსპენზიის არც ერთჯერადი და არც მრავალჯერადი მიღებისას არც ALT-სა და არც GGT ტრანსამინაზების მატება არ დაფიქსირებულა (ცხრილი 4, 5), ამასთანავე აღსანიშნავია რომ სელენის ნაონაწილაკების 10% სუსპენზიის მრავალჯერადი მიღებისას- სელენის რაოდენობის 100ჯერ შემცირების შემდგომ AST-ს რაოდენობა ნორმალზე მაღალია როგორც 45 ისე 90 დღის შემდეგ(ცხრილი 5). ტრანსამინაზების ნორმალზე მაღალ ტანხვდება ღვიძლის ჰისტომორფოლოგიური სურათის გაუმჯობესება, არ იკვეთება სინუსოიდების გაგანიერება, სელენის ნაონაწილაკები მხედველობის ველში აღარ ჩნდებიან კონგლომერატების სახით. ღვიძლის არქიტექტონიკა შენარჩუნებულია და მიუხედავად 90 დღიანი მიღებისა ვაკუოლიზაცია, ცხიმოვანი დისტროფია ან ფიბროზი არ შეიმჩნევა(სურ. 22). შესაბამისად შეგვიძლია ვივარაუდოთ რომ სელენის ნაონაწილაკების 10% სუსპენზიას არ ახასიათებს ჰეპატოტოქსიურობა და ის არ იწვევს ნაღვლის შეგუბებას, ფიბროზსა თუ ვაკუოლიზაციას.

სელენის ნაონაწილაკების 10% სუსპენზიის ერთჯერადი 5000მგ/კგ და მრავალჯერადი 500მგ/კგ (90დღე) მიღებისას აღნიშნულია ტრიგლიცერიდების მატება(ცხრილი 4, 5). სელენისა და ლიპოპროტეინების დონე დამოკიდებულია მიღებული სელენის დოზაზე რასაც სხვადასხვა კვლევები მოწმობს: სელენის, როგორც ლიპიდური სპექტრის მარეგულირებლის ეფექტი დასტურდება სახვადასხვა კვლევებით სადაც სელენი/სელენის ნაონაწილაკების მიღების შემდგომ Tg-ს, საერთო ქოლესტერინისა და LDL ქოლესტერინის მომატებული დონე კლებულობს, ხოლო HDL ქოლესტერინის დონე კი იზრდება (Knight et al., 2016)(Chen et al., 2015)(Rayman, Stranges, Griffin, Pastor-Barriuso, & Guallar, 2011)(Zhou, Huang, & Lei, 2013)(Laclaustra,



Stranges, Navas-Acien, Ordovas, & Guallar, 2010)(Bleys et al., 2008)(Ismail, Joumaa, & Moustafa, 2019)(Wójcicki et al., 1991).

სხვადასხვა რანდომიზებული კვლევებით დადგენილია კავშირი სელენსა და ლიპიდური სპექტრის ცვლილებებს შორის. მაგალითად საფრანგეთის პოპულაციაში სელენის გახანგრძლივებული მიღების შემდეგ აღინიშნა ტრიგლიცერიდებისა და საერთო ქოლესტერინის რაოდენობის გაზრდა(Herberg et al., 2005). ჩინეთის პოპულაციაში პირებში რომელთაც აღენიშნებოდათ სელენის სიმცირე, სელენის დანამატის მიღების შემდგომ აღინიშნა საერთო ქოლესტერინისა და LDL-ის მცირე მატება(L. Zhang et al., 2006). Olivetti Heart Study ამ კვლევის შედეგად ბაზალური სელენის დონე პირდაპირპროპორციულ კავშირშია საერთო ქოლესტერინისა და LDL-ის დონესთან. თუმცა შემდგომ სელენის რაოდენობის ცვლილებას/მატებას ლიპიდურ სპექტრზე გავლენა არ მოუხდენია(Stranges et al., 2011). ჩინეთში 7.5 წლიანი კვლევის შედეგად დადგინდა რომ სელენის მიღების შედეგად შემცირდა საერთო ქოლესტერინისა და LDL-ის რაოდენობა და გაიზარდა HDL-ის დონე(Chen et al., 2015). ჩატარებულმა ჯვარედინულმა კვლევამ ჯანმრთელობისა და კვების მესამე ეროვნული გამოკვლევიდან (Cross-sectional study from the Third National Health and Nutrition Examination Survey), აჩვენა უკუპროპორციული კავშირი სელენის რაოდენობასა და კარდიოვასკულარული მოვლენებით გამოწვეულ სიკვდილიანობას შორის(Bleys, 2008).

ჩვენს მიერ ხელმისაწვდომ ლიტერატურაში მოძიებული კვლევის შედეგების შესაბამისად, შეგვიძლია ვივარუდოთ, რომ სელენსა და ლიპიდური სპექტრის ცვლილებას შორის U-ფორმის დამოკიდებულებაა - ანუ, როგორც დაბალი ასევე მაღალი რაოდენობით სელენის მიღებისას შესაძლოა სხვადასხვა ტიპის დისლიპიდემია დაფიქსირდეს (Duffield, Thomson, Hill, & Williams, 1999)(Navas-Acien, Bleys, & Guallar, 2008)(Mueller, Mueller, Wolf, & Pallauf, 2009)(Rayman et al., 2011)(Rayman, 2020), რაც ასევე დადასტურდა ჩვენი კვლევიითაც: ნაიონაწილაკების 10% სუსპენზიის მაღალი დოზის ერთჯერადი მიცემის შემდგომ (5000მგ/კგ) და 90 დღის



განმავლობაში (500მგ/კგ) მიღებისას აღინიშნა ტრიგლიცერიდების რაოდენობის სარწმუნო მატება ( $P < 0.05$ ) (ცხრილი 4 და 5)

ამასთან, ზემოთ აღწერილი ფენომენის დაზუსტებული მექანიზმი ჯერჯერობით უცნობია. მკვლევართა ერთი ნაწილი სელენოპროტეინებსა და ლიპოპროტეინებს ერთმანეთთან აკავშირებს - სელენი სელენოპროტეინების შემადგენელი კომპონენტია რომელიც დამოკიდებულია სატრანსპორტო RNA-ის არსებობაზე-tRNA<sub>[Ser]Sec</sub>. (Hatfield & Gladyshev, 2002) სელენოპროტეინების სინთეზის შემცირება მიზანმიმართული tRNA<sub>[Ser]Sec</sub> - მაკოდირებელი გენის (Trsp) მოშორებით იწვევდა პლაზმის ქოლესტერინის კონცენტრაციისა და აპოლიპროტეინ E-ს მატებას. ამავე დროს აქტიურდებოდა იმ გენების ექსპრესია, რომლებიც ჩართულნი იყვნენ ქოლესტერინის ბიოსინთეზში, და მიმდინარეობდა იმ გენების ექსპრესიის შემცირება რომლებიც პასუხისმგებლები იყვნენ ქოლესტერინის მეტაბოლიზმსა და ტრანსპორტში, შედეგად მოიმატა აპოლიპროტეინ E(ApoE) და ქოლესტერინის რაოდენობამ. Trsp “მოშორებული” ტრანსგენური თაგვებისა შედარებისას სხვა საკონტროლო ჯგუფთან აშკარა იყოს სელენოპროტეინებისა და შესაბამისად აპოლიპროტეინ E და ქოლესტერინის ნორმალური რაოდენობა, აქედან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა რომ სელენოპროტეინებს შეუძლიათ აპოლიპროტეინ E-სა და ქოლესტერინის კონცენტრაციის დაქვეითება (Sengupta, Carlson, Hoffmann, Gladyshev, & Hatfield, 2008). სელენისა და ლიპიდების ურთიერთკავშირის შემთხვევაში აღსანიშნავია რომ სელენოპროტეინებისა და ქოლესტერინის სინთეზის გზები ერთმანეთთან დაკავშირებულია მევალონატეს გზით იზოპრენოიდის ბიოსინთეზში (Moosmann & Behl, 2004a). სიჩქარის შემზღუდავი ფერმენტი მევალონატეს ციკლში - 3-hydroxy-3-methylglutaryl coenzymeA რედუქტაზას აინჰიბირებს სტატინები, რომლებიც გამოიყენება სისხლში ქოლესტერინის რაოდენობის შემცირების მიზნით. ამ ჯაჭვში isopentenyl pyrophosphate(IPP) დაკავშირებულია სელენოციტეინის სატრანსპორტო რნმ-თან selenocysteine-tRNA<sub>[Ser]Sec</sub>(Arnaud, Akbaraly, Hininger-Favier, Berr, & Roussel, 2009)(Moosmann & Behl, 2004b). სელენის როგორც დანამატის მიღება ზრდის 15-deoxy-12, 14-prostaglandin J2-ის რაოდენობას სისხლში, აღნიშნული პროსტაგლანდინი

წარმოდგენს პროქსისომების პროლიფერატორ-აქტივატორ-ლიგანდს, რომელიც ააქტივებს პროქსისომების პროლიფერატორ აქტივაროტ რეცეპტორს, აქტივაციის შედეგად მცირდება სტეროლ რეგულატორული ელემენტ-დამაკავშირებელი ცილა-2-ის რაოდენობა რაც თავის მხრივ ამცირებს ქოლესტეროლის სინთეზს (Klopotek, Hirche, & Eder, 2006). სელენის მცირე რაოდენობა შესაძლებელია აღმოჩენილ იქნეს ადამიანის ლიპოპროტეინებში (Ducros, Laporte, Belin, David, & Favier, 2000). უფრო ადრეულ კვლევებში ნაჩვენებია, სელენის იზოტოპის ინტრავენურად შეყვანისას, მისი უმეტესად ძალიან დაბალი და დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინებთან დაკავშირების შესაძლებლობა (Burk, 1974). სელენოპროტეინ P “მიიტაცება” თავის ტვინისა და სათესლეების მიერ აპოლიპროტეინ E რეცეპტორ-2-ით (Burk & Hill, 2009), მეგალინი, მეორე აპოლიპროტეინის რეცეპტორი უზრუნველყოფს მის მიტაცებას თირკმელებში (Olson, Winfrey, Hill, & Burk, 2008). თავგები, რომლებსაც დაზიანებული აქვთ სელენოპროტეინების სინთეზი, ვერ ახდენენ ღვიძლის აპოლიპროტეინ E-სა და პლაზმის ქოლესტერინის სინთეზს. ასევე დაზიანებულია იმ გენების ექსპრესია რომლების ქოლესტერინის ბიოსინთეზსა და მეტაბოლიზმში არიან ჩართულნი. სელენოპროტეინის დეფიციტი იწვევს აპოლიპროტეინ E რაოდენობის ზრდას (Sengupta et al., 2008).

სხვადასხვა კვლევებში ურთიერთგამომრიცხავი შედეგებია მიღებული ტრიგლიცერიდების რაოდენობის მატებასა და კლებასთან. თუმცა ყველა მკვლევარი თანხმდება, რომ ეს ცვლილებები კავშირშია სელენის ზემოქმედებასთან.

მეცნიერთა დიდი ნაწილი თვლის, რომ სელენის ალიმენტარული გზით მიღება მოქმედებს სხვადასხვა ფერმენტების ფუნქციონალურ ექსპრესიაზე, მაგალითად: როგორცაა PEPCK (ფოსფოენოლპირუვატკარბოქსიკინაზა), SREBP1-სერტოლ მარეგულირებელი ელემენტ შემზოჭველი ცილა 1, FASN-თავისუფალი ცხიმოვანი მჟავების სინთეტაზა, ACC-აცეტილკოენზიმ-ა კარბოქსილაზა. ეს ფერმენტები ჩართულნი არიან თავისუფალი ცხიმოვანი მჟავებისა და გლუკოზის მეტაბოლიზმში. SREBP1 მონაწილეობს ლიპოგენეზში, აღნიშნული ფერმენტის გააქტივება ხორცილედება ინსულინის მიერ და შესაბამისად აქტიურდება თავისუფალი

ცხიმოვანი მჟავების დამარაგება ტრიგლიცერიდების სახით(Ruiz et al., 2014)(Espenshade, 2013)(Drabkin & Gemmill, 2010). FASN-თავისუფალი ცხიმოვანი მჟავების სინთეზა ასევე მონაწილეობს ლიპოგენეზში, რომელიც გარდაქმნის აცეტილ კოენზიმ A-სა და მანოლინ კოენზიმ A-ს გრძელ ჯაჭვიან თავისუფალ ცხიმოვან მჟავად - პალმიტატად (H. S. Sul, Smas, Wang, & Chen, 1998)(W. Zhao, 2016). PEPCK- გლუკონეოგენეზში მონაწილეობს და ოქსალოაცეტატიდან ფოსფონოლპირუვატის გარდაქმას აკონტროლებს(J. Yang, Kalhan, & Hanson, 2009)(Hanson & Owen, 2013). ACC-აცეტილკოენზიმ-ა კარბოქსილაზა მონაწილეობს თავისუფალი ცხიმოვანი მჟავების სინთეზში და აკატალიზებს მალონილ კოენზიმ ა-ს წარმოქმნას(Hei Sook Sul & Smith, 2008)(Frantom & Blanchard, 2010).

აღსანიშნავია რომ შაქრიანი დიაბეტის და შესაბამისად ჰიპერგლიკემიის დროს PEPCK აქტივობა იზრდება(Pan et al., 2013)(Shao, Qiao, Janssen, Pagliassotti, & Friedman, 2005), გენეტიკურად მოდიფიცირებულ თაგვებში, რომელთაც “გამორთული” ქონდათ (Gpx1-knockout) გლუტათიონპეროქსიდაზას(GPX) გენის ექსპრესია  $Gpx^{1-/-}$ , აღინიშნა PEPCK აქტივობის ზრდა(J.-Q. Huang, Zhou, Wu, Ren, & Lei, 2018). შესაბამისად სელენის მიღებას სავარაუდოდ PEPCK-ის აქტივობის შემამცირებელი ეფექტი აქვს და მონაწილეობს ლიპიდური სპექტრის მოწესრიგებაში(Aly & Mantawy, 2012)(J.-Q. Huang et al., 2018).

სხვადასხვა ავტორების მიერ ჩატარებულ კვლევებში სელენის დიდი დოზებით მიღების შედეგად აღინიშნა ტრიგლიცერიდების მატება, რაც დაემთხვა SREBP1 და FASN ფერმენტების მაკოდირებელი გენების ექსპრესიის ზრდას. PEPCK-ისა და ACC-ს აქტივობის ზრდით და შესაბამისად გლუკონეოგენეზის გაძლიერებით შეიძლება აიხსნას თავისუფალი ცხიმოვანი მჟავების მატება(Z. Zhao et al., 2016), მაგრამ ასევე აღსანიშნავია რომ სხვადასხვა კვლევებში სელენის პერორალური მიღება იწვევდა ამ ფერმენტების რაოდენობის კლებას და შესაბამისად ლიპიდური პროფილის გაუმჯობესებას(Tinkov et al., 2020)(Nido et al., 2016)(M. Luo et al., 2019). აღსანიშნავია სელენის გამააქტივირებელი მოქმედება PPAR $\gamma$ -პეროქსიზომ პროლიფერატორი - გამააქტივებელი რეცეპტორ-გამაზე(Nido et al., 2016)(Donma & Donma, 2016)(Finch et al.,

2017). აღნიშნული ცილა მონაწილეობს ლიპიდების/თავისუფალი ცხიმოვანი მჟავების მეტაბოლიზმში, PPARs -პეროქსიზომ პროლიფერატორი - გამააქტივებელი რეცეპტორი არის ტრანსკრიფციული ფაქტორი რომელიც არეგულირებს თავისუფალი ცხიმოვანი მჟავების ტრანსპორტსა და ოქსიდაციაში მონაწილე გენების ექსპრესიას.

სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიის მიღების შედეგად მისი ანტიოქსიდანტური თვისებების გამო მოიმატა HDL-ის დონემ (ცხრილი 4, 5), რაც ასევე ემთხვევა ლიტერატურულ მონაცემებს(Faghihi et al., 2014)(Rayman et al., 2011)(Laclaustra et al., 2010)(Radwan, Eldin, Zaiat, & Mostafa, 2015)(Ashouri, Keyvanshokoh, Salati, Johari, & Pasha-Zanoosi, 2015) და შეიძლება აიხსნას სელენის მოქმედებით. PPAR (პეროქსიზომ პროლიფერატორ) - alpha აგონისტების მატება ეფექტურად ზრდის HDL-ქოლესტერინს და ამცირებს ტრიგლიცერიდებს, შესაბამისად უმჯობესდება ლიპიდური სპექტრი და მცირდება კარდიოვასკულური დაავადებების რისკს (Nido et al., 2016)(Konstandi, Shah, Matsubara, & Gonzalez, 2013)(Donma & Donma, 2016)(Finch et al., 2017). შესაბამისად შესაძლებელია აიხსნას სელენის ხანგრძლივი მიღებისას HDL-ქოლესტერინის მატება და სელენის ნანონაწილაკების ჰიპოლიპიდემიური ეფექტი.

ემთხვევა რა ჩვენს მიერ მიღებული შედეგები ლიტერატურულ მონაცემებს, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სელენის ნანონაწილაკებს აქვთ ლიპიდური სპექტრის მოწესრიგების უნარი, მაგრამ აუცილებელია ვაკონტროლოთ მიღებული დოზა, ვინაიდან მაღალი დოზით მიღებისას შესაძლებელია დისლიპიდემიის განვითარება.

ლიტერატურაში დასტურდება სელენით მკურნალობის შედეგად ალბუმინის დონის ზრდა და შესაბამისად უჯრედების ანტიოქსიდანტური დაცვის მატება (Ahn, Bae, & Yun, 2016)(Khalili, Chamani, Amanlou, Nikkhah, & Sadeghi, 2019)(Burk, Hill, & Motley, 2001). აღსანიშნავია ისიც რომ არა დიაბეტიან ლაბორატორიულ ცხოველებში სელენის მიღების შედეგად შეიმჩნევა ალბუმინის რაოდენობის გაზრდა(Z. Zhao et al., 2016)(Jaaf & Mezzetti, 2020). აღნიშნული თანხვედება ჩვენს მიერ მიღებულ შედეგს 90 დღის განმავლობაში 500მგ/კგ სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიის მიღებისას სისხლის შრატში ალბუმინის დონის მატებას.

სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიის უსაფრთხოების შესწავლისას მის ერთჯერად(1000 და 5000მგ/კგ) და მრავალჯერად(45-90დღის განმავლობაში 500მგ/კგ) მიღებას ინტაქტურ ცხოველებზე გავლენა არ მოუხდენია გლუკოზის დონეზე (ცხრილი 4, 5), რაც ემთხვევა სხვადასხვა ავტორების კვლევებს (Faghihi et al., 2014)(Algotar, Stratton, Stratton, Hsu, & Ahmann, 2010)(Czernichow et al., 2006), თუმცა გამოავლინა მკვეთრი ჰიპოგლიკემიური ეფექტი შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ვირთაგვებში(ცხრილი 7, დიაგრამა 13).

ლიტერატურის მონაცემებით დასტურდება შაქრიანი დიაბეტის დროს ქოლესტერინისა და ტრიგლიცერიდების რაოდენობის მატება და HDL-ქოლესტერინის რაოდენობის შემცირება(Abdulmalek & Balbaa, 2019)(M.A.Nagy, 2015)(Becerra-Verdín et al., 2019)(Sancheti, Sancheti, & Seo, 2013)(Almeida, Braga, Novelli, & Fernandes, 2012)(Andallu, Vinay Kumar, & Varadacharyulu, 2009)(Husni, Purwanti, & Ustadi, 2016). ჩვენ მიერ ჩატარებულ კვლევაში დიაბეტით დაავადებულ ვირთაგვებში სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიით მონო და ინსულინთან კომბინირებული მკურნალობისას შემცირდა ტრიგლიცერიდების რაოდენობა, თუმცა ის ვერ უბრუნდება ნორმალურ მაჩვენებლებს, ხოლო საერთო ქოლესტერინის და HDL-ის კონცენტრაცია —ნორმალიზდა(ცხრილი 6,  $P>0.05$ ). შაქრიანი დიაბეტის დროს სელენის/სელენის ნანონაწილაკების დადებითი ზეგავლენა ლიპიდურ სპექტრზე ასევე დასტურდება სხვადასხვა ავტორების მიერ (Ozturk et al., 2015)(Tayibeh Ghaffari et al., 2011)(Roy et al., 2011)(Tayyebbeh Ghaffari et al., 2012)(Al-Quraishy et al., 2015)(L. Guo, Xiao, Liu, & Liu, 2020)(Abdulmalek & Balbaa, 2019).

შაქრიანი დიაბეტით დასნებოვნებული ვირთაგვებში ვლინდება კლასიკური სურათი - ტრანსამინაზების მატება (ცხრილი 6) (Gopal, Mandal, Tangjang, & Mandal, 2014)(H. B. Yazdi et al., 2019)(Sancheti et al., 2013)(Zafar, Naeem-ul-Hassan Naqvi, Ahmed, & Kaimkhani, 2009)(M.A.Nagy, 2015)(Becerra-Verdín et al., 2019) (Park, Yun, Bae, & Ahn, 2014)(F. M. El-Demerdash, Yousef, & El-Naga, 2005)(Palsamy & Subramanian, 2008)(Saeed, Deng, & Dai, 2008)(Abolfathi, Mohajeri, Rezaie, & Nazeri, 2012). დადგენილია რომ ხანგრძლივი ჰიპერგლიკემია ზრდის ოქსიდაციურ სტრესს, თავისუფალი რადიკალების

რაოდენობას და შესაბამისად აზიანებს ჰეპატოციტებს(სურათი 24) (H. B. Yazdi et al., 2019)(S. Guo, Mao, Yan, Zhang, & Ming, 2020)(Xie, Wu, Shen, Li, & Wu, 2017)(Sheweita, Mashaly, Newairy, Abdou, & Eweda, 2016)(Aldahmash, El-Nagar, & Ibrahim, 2016). დიაბეტით დაავადებული ვირთაგვების სელენის ნაონაწილაკების 10% სუსპენზიით მონო-მკურნალობისას ტრანსამინაზების რაოდენობა ნორმალიზდება(ცხრილი 6), აღნიშნულს თან სდევს ღვიძლის დარღვეული ჰისტოლოგიური სურათის (ჰეპატოციტების ჰისტოლოგიური კვლევით ნანახია მკვეთრად გამოხატული ვაკუოლიზაცია, ანთებითი ინფილტრაცია, ღვიძლის წილაკების დარღვეული არქიტექტონიკა) გაუმჯობესება - ჰეპატოციტებში არ აღინიშნება ვაკუოლიზაცია, ციმოვანი დისტროფია, ან ფიბროზი. სელენის ნაონაწილაკებისა და ინსულინის კომბინირებული მკურნალობისას, ჰეპატოციტებში ვერ ვნახეთ ლიმფოციტური ინფილტრაცია, ორივე შემთხვევაში, მკურნალობის შემდეგ, ღვიძლის წილაკების არქიტექტონიკა აღდგა(სურათი 32, 38).

მრავალი ავტორი თანხმდება რომ სელენის ნაონაწილაკებს სხვადასხვა ტოქსიური ნაერთების ზემოქმედების შემდგომი ჰეპატოპროტექტორული ეფექტი გააჩნია, რაც გამოიხატება სისხლში, მომატებული ტრანსამინაზური ფერმენტების - ALT, AST, GGT, დონეების დაქვეითებაში. აღნიშნული აიხსნება სელენის ანტიოქსიდანტური თვისებებით - თავისუფალი რადიკალების რაოდენობისა და უჯრედების დაზიანების შემცირებით(Amin, Hashem, Alshehri, Awad, & Hassan, 2017)(Messarah et al., 2012)(Rezaei-Kelishadi et al., 2017)(Al-Quraishy et al., 2015). დადგენილია კავშირი ჰეპატოტოქსიურობასა და გაზრდილ ოქსიდაციურ სტრესს შორის(Messarah et al., 2012)(Yousef, El-Demerdash, & Radwan, 2008)(Fatma M. El-Demerdash, Yousef, & Radwan, 2009)(Ozardali et al., 2004), ხოლო სელენი, გლუტათიონის-GSH-ის გაზრდისა და ლიპიდების პეროქსიდაციის შემცირების გზით, ამცირებს ჰეპატოციტების დაზიანებას და შესაბამისად ამცირებს გაზრდილ ტრანსამინაზურ ფერმენტებს (Ji et al., 2006)(Ognjanović et al., 2008)(Ozardali et al., 2004).

ჩვენი კვლევების შედეგად შაქრიანი დიაბეტით დასნებოვნებულ ვირთაგვებში აღინიშნა კრეატინინის მატება(ცხრილი 6). კრეატინი ცილაა, რომელიც გვხვდება

ღვიძლში, ჩონჩხის და გულის კუნთში, ბადურაში, თავის ტვინში. კრეატინინი კრეატინი/ფოსფორილკრეატინი/კრეატინინის მეტაბოლიზმში ჩართულ ელემენტს წარმოადგენს. აღნიშნული სისტემა ჩონჩხის განივრზოლიან კუნთებში მცისიერი ენერჯის(ATP) მიღების გზაა. ცნობილია, რომ კრეატინის დაშლა მიმდინარეობს უმეტესად ჩონჩხის კუნთებში და წარმოიქმნება პროდუქტი კრეატინინი რომლის ექსკრეცია ხორციელდება თირკმელების მიერ შარდოვანასთან ერთად (Wallimann, Tokarska-Schlattner, & Schlattner, 2011)(Wyss & Kaddurah-Daouk, 2000)(Yvonna S. Lincoln, 1985).

შაქრიანი დიაბეტის დროს კლასიკურად ვხვდებით კრეატინინის რაოდენობის ზრდას. რაც გამოწვეულია ოქსიდაციური სტრესის შედეგად განვითარებული ანთებითი ინფილტრაციითა და უჯრედების დაზიანებით (Saeed et al., 2008)(F. M. El-Demerdash et al., 2005)(Khater, Ali, Khater, Ahmed, & abd el-megid, 2020)(Fernandes, Cordeiro, Watanabe, da Fonseca, & Vattimo, 2016)(Sharma, Kulkarni, & Chopra, 2006)(Rezaei-Kelishadi et al., 2017) (Abdulmalek & Balbaa, 2019)(Al-Rasheed et al., 2018)(Al-Rasheed et al., 2018).

ჩვენს მიერ დიაბეტიან ვირთაგვებში ჩატარებულ კვლევაში კრეატინინის მატებას ემთხვევა თირკმელებში მკვეთრად გამოხატული ანთებითი ინფილტრაცია - ბოუმანის კაფსულების ინსტესტრიციუმისა და შემკრები მილაკების მკვეთრი შეშუპება, გლომერულების მკვეთრი შეჭმუხვნა შეშუპებული ინტერსტიციუმის კომპრესიის გამო, თირკმლის გორგლოვან კაპილარებში ჩანს სლაჯირებული ერითროციტები, სადინრებში მასიურად ჩანს ჰემოსიდერინი, კაპილარები დილატირებულია, გამოხატულია გლომერულოპათია (სურათი 26, 27, 28).

ცნობილია, რომ კრეატინინი გამოიყოფა თირკმელების მიერ შარდოვანასთან ერთად. შარდოვანას ციკლი ერთ-ერთი გზაა რომლის მეშვეობითაც ორგანიზმიდან ხორციელდება აზოტის ექსკრეცია. შარდოვანას ციკლის მეშვეობით ხორციელდება ამიაკის, ალფა-ნიტროგენის, ასპარტატისა და ბიკარბონატის გარდაქმნა შარდოვანად. ამიაკი საკმაოდ ტოქსიური ნაერთია, შარდოვანა კი შედარებით ინერტულია, წყალში ხსნადია და ადვილად გამოიყოფა შარდით(Mew, Pappa, & Gropman, 2014)(Rossignol, Ah

Mew, Meltzer, & Gropman, 2020)(Yvonna S. Lincoln, 1985)(Litwack, 2018)(Kumari, 2018). შაქრიანი დიაბეტით დასნებოვნებული ვირთაგვების თირკმელების ჰისტოლოგიური გამოკვლევის შედეგად ზემოთ განხილული დაზიანებები ხსნის სისხლში შარდოვანას რაოდენობის მატებას, რაც თირკმლის უჯრედების დაზიანებითა და ფუნქციის დარღვევით არის გამოწვეული. მსგავსი ცვლილები წარმოდგენს შაქრიანი დიაბეტის კლასიკურ გამოვლინებას(Kumar, Kulkarni, Khurana, Kaur, & Tikoo, 2014)(Elbe et al., 2015)(Mestry, Dhodi, Kumbhar, & Juvekar, 2017)(Mestry et al., 2017). სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიის მონო და ინსულინთან კომბინირებული მკურნალობის შემდეგ აღინიშნება შარდოვანას და კრეატინინის რაოდენობის ნორმალიზება (ცხრილი 6,  $P>0.05$ ). ჰისტოლოგიური გამოკვლევით არ არის გამოხატული შემუპება თირკმლის ინტერსტიციუმში, გორგლები და ბოუმანის კაფსულა ნორმაშია, მილაკების სანათური არ არის გაფართოებული, არ არის გამოხატული ანთებითი ინფილტრაცია (სურათი 40, 41). მიღებული შედეგები ემთხვევა ლიტერატურულ მონაცემებს, სადაც სელენს/სელენის ნანონაწილაკებს აქვთ შარდოვანასა და კრეატინინის ნორმალიზაცია/შემცირების ეფექტი და შესაბამისად დიაბეტური ნეფროპათიის საწინააღმდეგო მოქმედება, აღნიშნული აიხსნება სელენის ნანონაწილაკების მიერ ოქსიდაციური სტრესისა და შესაბამისად ანთებითი ინფილტრაციის შემცირებით (Roy et al., 2011)(Hassan et al., 2021)(Reddi & Bollineni, 2001)(Rezaei-Kelishadi et al., 2017)(Khater et al., 2020)(Abdulmalek & Balbaa, 2019)(Khurana, Tekula, Saifi, Venkatesh, & Godugu, 2019).

ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევაში შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ვირთაგვებში აღინიშნა ალბუმინის რაოდენობის შემცირება(ცხრილი 6). ალბუმინი სისხლის შრატის ყველაზე მრავალრიცხოვან ცილას წარმოადგენს, განსაზღვრავს მის ონკოზურ წნევას, ალბუმინის წარმოქმნა მიმდინარეობს ჰეპატოციტებში, ამიტომაც მისი რაოდენობის ცვლილება(კლება) შეიძლება ერთგვარად შეფასდეს როგორც ჰეპატოციტების დაზიანების ინდიკატორი(Sun et al., 2019). აღსანიშნავია რომ ალბუმინს გააჩნია ანტიოქსიდანტური თვისებები, ის მონაწილეობს თავისუფალი რადიკალების გაუვნებელყოფაში, რომელთა დონე სხვადასხვა ქრონიკული



დაავადებების დროს იზრდება (Nicholson, Wolmarans, & Park, 2000)(Taverna, Marie, Mira, & Guidet, 2013)(Roche, Rondeau, Singh, Tarnus, & Bourdon, 2008)(Holt, Ryall, & Campbell, 1984)(Ahn et al., 2016). შესაბამისად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ალბუმინის დაბალი დონე გარდა ჰეპატოციტების დაზიანებისა მეტყველებს თავისუფალი რადიკალების გაუვნებელყოფის გაუარესებულ უნარზე (Nicholson et al., 2000)(Sitar, Aydin, & ÇAkatay, 2013)(Prakash, 2017)(Himmelfarb & McMonagle, 2001). აღსანიშნავია რომ შაქრიანი დიაბეტის დროს ჰეპატოციტების დაზიანებისას სისხლის შრატში ალბუმინის დონე იკლებს, რაც დიაბეტის დამახასიათებელ ბიოქიმიურ ცვლილებას წარმოადგენს (Khater et al., 2020)(Abdulmalek & Balbaa, 2019)(Kumar et al., 2014)(Osicka et al., 2000)(Park et al., 2014) (Sundaram, Reddy, & Singh, 2009)(Sunmonu & Afolayan, 2013). ალბუმინის რაოდენობის შემცირების მიზეზად შეიძლება ვივარაუდოთ არა მხოლოდ ჰეპატოციტების დაზიანება და შესაბამისად მისი წარმოქმნის შემცირება, ასევე მისი გაძლიერებული გადმოსვლა ტუბულოინტესტიცუმში. ფლორესცენციული მიკროსკოპით თირკმელების გამოკვლევისას, ნათლად შეიმჩნევა ცილოვანი ბუნების ნაწილაკების გადმოსვლა თირკმლის ინსტერსტიცუმში(სურათი 28), რაც შეესაბამება თირკმლის ფილტრაციული ფუნქციის დარღვევას. თირკმლის დაავადებები და მათ შორის დიაბეტური ნეფროპათია ხასიათდება პროტეინურიითა და ანთებითი მედიატორების ზრდით (Gross et al., 2005)(Stehouwer et al., 2002)(Jefferson, Shankland, & Pichler, 2008)(Lim & Tesch, 2012), შესაბამისად ზიანდება თირკმლის მილაკების ბაზალური მემბრანა და მიმდინარეობს ცილის გადასვლა პერიტუბულურ სივრცეში, რაც თავის მხრივ კიდევ უფრო ამწვავებს ტუბულოინტესტიციალურ დაზიანებას (Eddy, 2004)(SHEERIN & SACKS, 2002)(Zeisberg & Kalluri, 2015)(Christensen & Gburek, 2004). კანონზომიერია ჩვენს მიერ მიღებული შედეგი, რომელიც გამოიხატა შაქრიანი დიაბეტით დასნებოვნებული ვირთაგვების სისხლის შრატში ალბუმინის კონცენტრაციის კლებით. სელენის ნაწილაკების 10% სუსპენზიით მონო და ინსულინთან კომბინირებული მკურნალობის შემდგომ მოხდა ალბუმინის კონცენტრაციის გაზრდა მონოთერაპიისას და სრული ნორმალიზება ინსულინთან კომბინირებული მკურნალობისას (ცხრილი 6). აღნიშნული დადასტურდა

იმუნოფლორესცენტული მიკროსკოპიით რაც გამოიხატა თირკმლის შეშუპების შემცირებითა და ცილოვანი ბუნების კომპონენტების არარსებობით თირკმლის ინტერსტიციუმში (სურათი 40, 41).

ჰიპერგლიკემია, რომელიც სტრეპტოზოტოცინით (SZT) გამოწვეული შაქრიანი დიაბეტისას ვითარდება, პანკრეასის ბეტა უჯრედების ნეკროზის შედეგია, (Xie et al., 2017)(Maritim, Sanders, & Watkins, 2003)(Karunakaran & Park, 2013)(Szkudelski, 2001)(Tiedge, Lortz, Drinkgern, & Lenzen, 1997)(Konda, Nagalapuram, Venkateswarlu, Mohammad, & Chippada, 2020)(Yan & Wu, 2015). აღნიშნული ასევე დადასტურდა ჩვენი კვლევებით, სადაც პანკრეასის ქსოვილის მორფოლოგიური შესწავლით გამოვლინდა ლანგერჰანსის კუნძულების ნეკროზი, მკვეთრად გამოხატული ანთებითი ინფილტრაცია და დიდი რაოდენობით სიდეროფაგები (სურათი 25).

ჩვენს ექპერიმენტში სელენის ნანონაწილაკების 10%-იანი სუსპენზიით მონო და ინსულინთან კომბინირებული მკურნალობისას დიაბეტით დაავადებულ ვირთაგვებში აღინიშნება გლუკოზის დონის მკვეთრი დაქვეითება (ცხრილი 7, დიაგრამა 13). ცალკე უნდა აღვნიშნოთ, რომ სელენის ნანონაწილაკებით მონო-თერაპიისას (DM+Se -  $146 \pm 11$ ) და მხოლოდ ინსულინით მკურნალობისას (DM+Ins-  $159 \pm 6$ ) გლუკოზის მაჩვენებლები, სტატისტიკურად ერთმანეთისაგან არ განსხვავდება (ცხრილი 6,  $P > 0.05$ ). მსგავსი ჰიპოგლიკემიური შედეგები აღწერილია სხვადასხვა ავტორების მიერ, რაც ადასტურებს სელენის ინსულინის მსგავს მოქმედებას (Ahmed, Abd El-Maksoud, Abdel Moneim, & Aglan, 2017)(Hwang et al., 2007)(Fontenelle et al., 2018)(Stapleton, 2000). აღნიშნული მოქმედება დასტურდება პანკრეასის ჰისტოლოგიური გამოკვლევით. სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიით მონო მკურნალობის შემდგომ პანკრეასში შეინიშნება სხვადასხვა ზომისა და ფორმის რეგენერაციული ლანგერჰანსის უბნები (სურათი 34, 35). აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ მხოლოდ ინსულინით მკურნალობისას ბეტა უჯრედების რეგენერაცია დაწყებულია, მაგრამ სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიით მკურნალობის მსგავსი მრავლობითი რეგენერაციული უბნები არ შეინიშნება (სურათი 30). სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიისა და ინსულინით კომბინირებული

მკურნალობისას მიღებულმა მრავლობითი სხვადასხვა ფორმისა და ზომის რეგენერირებული ლანგერჰანისის კუნძულებმა (სურათი 39) კორელირებს გლუკოზის ციფრების ნორმალიზაციასთან ( ცხრილი 6,  $P>0.05$ ).

საკვლევ ჯგუფებში ლანგერჰანისის კუნძულების ფართობების შეფარდებითი პროცენტის დათვლის შედეგად (ცხრილი 8 და დიაგრამა 14) მიღებული მონაცემების სტატისტიკური დამუშავების შედეგად, ინსულინითა და სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიით კომბინირებული მკურნალობის ჯგუფის (DM+Ins+Se) ლანგერჰანისის კუნძულების ფართობების შეფარდებითი წილი განსხვავდება ინსულინით მონოთერაპიის ჯგუფისაგან (DM+Ins) ( $p<0.05$ ), კომბინირებული მკურნალობის მქონე ჯგუფში 6.6-ჯერ მეტია ლანგერჰანისის კუნძულების საერთო ფართობი მხოლოდ ინსულინით ნამკურნალებ ჯგუფთან შედარებით (ცხრილი 8).

სტატისტიკურად შევადარეთ ინსულინითა და სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიით კომბინირებული მკურნალობის მქონე ჯგუფის (DM+Ins+Se) ლანგერჰანისის ფართობის შეფარდებითი წილი სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიის მონო თერაპიის ჯგუფის (DM+Se) ფართობის შეფარდებით წილს, ჯგუფები სტატისტიკურად განსხვავებულია ( $p<0.05$ ) კომბინირებული მკურნალობის მქონე ჯგუფში 4-ჯერ მეტია ლანგერჰანისის კუნძულების საერთო ფართობი მხოლოდ სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიით ნამკურნალებ ჯგუფთან შედარებით (ცხრილი 8).

სტატისტიკურად შევადარეთ სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიით მონო თერაპიის მქონე ჯგუფის (DM+Se) ლანგერჰანისის კუნძულების ფართობის შეფარდებითი წილი ინსულინის მონო თერაპიის ჯგუფის (DM+Ins) ფართობის შეფარდებით წილს, ჯგუფები სტატისტიკურად არ განსხვავდება ( $p>0.05$ ), მაგრამ აღსანიშნავია, რომ სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიის მონოთერაპიის დროს ლანგერჰანისის კუნძულების ფართობის შეფარდებითი წილი 2-ჯერ მეტია ინსულინით მონოთერაპიის ჯგუფთან შედარებით (ცხრილი 8).

კომბინირებული მკურნალობისა (DM+Ins+Se) და მონოთერაპიის ჯგუფები (DM+Se) (DM+Ins) დიაბეტით დაავადებულ არანამკურნალებს ჯგუფების (DM) შედარებისას: (ცხრილი 8)

კომბინირებული მკურნალობის (DM+Ins+Se) დროს ლანგერჰანსის კუნძულების შეფარდებითი ფართობი 24-ჯერ აღემატება დიაბეტით დაავადებულ არანამკურნალებს ჯგუფს (DM), სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიით მონო თერაპიისას (DM+Se) 6-ჯერ აღემატება, ხოლო ინსულინით მონოთერაპიისას (DM+Ins) 3.6-ჯერ აღემატება დიაბეტით დაავადებულ არანამკურნალებს ჯგუფს (DM).

ლიტერატურული მონაცემებით მღრღნელების პანკრეასი, ნორმაში, ლანგერჰანსის კუნძულების პროცენტული რაოდენობა 1-3%-მდე მერყეობს (Dolenšek, Rupnik, & Stožer, 2015; Guest, 2019; Hellerstrom, 1984; Liggitt & Dintzis, 2018; O'Dowd & Stocker, 2020; Persaud, Hauge-Evans, & Jones, 2014). ჩვენი მონაცემებით, კომბინირებული მკურნალობის შემდეგ, ლანგერჰანსის კუნძულების ფართობის პროცენტული რაოდენობა  $1.3 \pm 0.4\%$  შეადგენს.

ჩენს მიერ მიღებული შედეგი - ლანგერჰანსის კუნძულების რეგენერაცია და შესაბამისი გლუკოზის კონცენტრაციის კლება, შეიძლება აიხსნას სელენის ნანონაწილაკების ანტიოქსიდანტური ეფექტით - ანტიოქსიდანტური ფერმენტების (SOD, CAT, GPx, and GR) მატებითა და შესაბამისად პანკრეასული მალონდიალდეჰიდის (MDA), აზოტის ოქსიდის (NO), სიმსივნის ნეკროზის ფაქტორი- $\alpha$  (TNF- $\alpha$ ) და პროდტაგლანდინ F2 $\alpha$  (PGF2 $\alpha$ ) შემცირებით (Ahmed et al., 2017)(Y. X. Wang, Zhan, Yong, Zhang, & Wu, 2011)(Zeng, Zhou, & Huang, 2009)(Mohammed & Safwat, 2013).

ეს მონაცემები ემთხვევა სხვა ავტორების მონაცემებს, სადაც შაქრიანი დიაბეტის დროს თავისუფალი რადიკალების რაოდენობის მატება და შესაბამისად გაზრდილი ოქსიდაციური სტრესი ნეგატიურად მოქმედებს პანკრეასის ბეტა უჯრედების რეგენერაციასა და პროლიფერაციაზე(Lenzen, 2008)(Gerber & Rutter, 2017)(Drews, Krippeit-Drews, & Düfer, 2010)(J. Wang & Wang, 2017). სწორედ ამ უარყოფით ეფექტებს ეწინააღმდეგება ანტიოქსიდანტები და კერძოდ სელენი(J. Wang & Wang, 2017)(Aly &

Mantawy, 2012)(Fontenelle et al., 2018)(Ahmed et al., 2017)(Zeng et al., 2009)(X. Wang, Yang, Wei, Lei, & Zeng, 2015).

ამდენად შეგვიძლიათ დავასკვნათ რომ:

#### 2.4.6. დასკვნები

1. სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზია როგორც ერთჯერადი ისე მრავალჯერადი მიღებისას არ იწვევს სამიზნე ორგანოებსა და სისტემებში ტოქსიურ ეფექტს;
2. სელენის ნანონაწილაკების 10%-ინ სუსპენზიას გააჩნია ინსულინის მსგავსი ჰიპოგლიკემიური მოქმედება;
3. შაქრიანი დიაბეტით დასნებოვნებულ ვირთაგვებში ინსულინით მონოთერაპიისაგან განსხვავებით, სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიით მონოთერაპია იწვევს თირკმელების შეშუპების შემცირებას.
4. სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიითა და ინსულინით კომბინირებული მკურნალობისას თირკმელების შეშუპება არ ვითარდება;
5. შაქრიანი დიაბეტით დასნებოვნებულ ვირთაგვებში სელენის ნანონაწილაკების 10% სუსპენზიის როგორც მონო (DM+Se) -  $0.3 \pm 0.1\%$ , ისე ინსულინთან კომბინირებული მკურნალობისას (DM+Ins+Se) -  $1.3 \pm 0.4\%$ , მორფოლოგიურად აღინიშნებოდა სხვადასხვა ზომის და ფორმის ბეტა უჯრედების რეგენერაციის მრავლობითი უბნები

### 3. დასკვნითი ნაწილი

#### 3.1. ბიბლიოგრაფია:

- [1]. A. Wadhvani & Utkarsha U. Shedbalkar & Richa Singh & Balu A. Chopade. (2016). Biogenic selenium nanoparticles current status and future prospects. *Applied Microbiology and Biotechnolog*, (100(6)), 2555–2566. <https://doi.org/10.1007/s00253-016-7300-7>
- [2]. Abdulmalek, S. A., & Balbaa, M. (2019). Synergistic effect of nano-selenium and metformin on type 2 diabetic rat model: Diabetic complications alleviation through insulin sensitivity, oxidative mediators and inflammatory markers. *PLOS ONE*, 14(8),

e0220779. <https://doi.org/10.1371/journal.pone.0220779>

- [3]. Abolfathi, A. A., Mohajeri, D., Rezaie, A., & Nazeri, M. (2012). Protective effects of green tea extract against hepatic tissue injury in streptozotocin-induced diabetic rats. *Evidence-Based Complementary and Alternative Medicine*, 2012. <https://doi.org/10.1155/2012/740671>
- [4]. Acharya, J. D., & Ghaskadbi, S. S. (2010). Islets and their antioxidant defense. *Islets*, 2(4), 225–235. <https://doi.org/10.4161/isl.2.4.12219>
- [5]. Adeloje, D., Chan, K. Y., Thorley, N., Jones, C., Johnstone, D., L'Heveder, A., Saftic, V., Henderson, D., Chopra, M., Campbell, H., & Rudan, I. (2018). Global and regional estimates of the morbidity due to type I diabetes among children aged 0–4 years: A systematic review and analysis. *Journal of Global Health*, 8(2), 1–12. <https://doi.org/10.7189/jogh.08.021101>
- [6]. Adler, A. I., Stevens, R. J., Manley, S. E., Bilous, R. W., Cull, C. A., Holman, R. R., & UKPDS Group. (2003). Development and progression of nephropathy in type 2 diabetes: The United Kingdom Prospective Diabetes Study (UKPDS 64). *Kidney International*, 63(1), 225–232. <https://doi.org/10.1046/j.1523-1755.2003.00712.x>
- [7]. Agrawal, R. P., Ola, V., Bishnoi, P., Gothwal, S., Sirohi, P., & Agrawal, R. (2014). Prevalence of micro and macrovascular complications and their risk factors in type-2 diabetes mellitus. *Journal of Association of Physicians of India*, 62(JUN), 504–508.
- [8]. Ahmed, H. H., Abd El-Maksoud, M. D., Abdel Moneim, A. E., & Aglan, H. A. (2017). Pre-Clinical Study for the Antidiabetic Potential of Selenium Nanoparticles. *Biological Trace Element Research*, 177(2), 267–280. <https://doi.org/10.1007/s12011-016-0876-z>
- [9]. Ahn, T., Bae, C. S., & Yun, C. H. (2016). Selenium supplementation restores the decreased albumin level of peripheral blood mononuclear cells in streptozotocin-induced diabetic mice. *Journal of Veterinary Medical Science*, 78(4), 669–674. <https://doi.org/10.1292/jvms.15-0611>
- [10]. Akram, J., Aamir, A. ul H., Basit, A., Qureshi, M. S., Mehmood, T., Shahid, S. K., Khoso, I. A., Ebrahim, M. A., & Omair, A. (2011). Prevalence of peripheral arterial disease in type 2 diabetics in pakistan. *Journal of the Pakistan Medical Association*, 61(7), 644–648.
- [11]. Al-Quraishy, S., Adkhil, M., & Moneim, A. E. A. (2015). Anti-hyperglycemic activity of selenium nanoparticles in streptozotocin-induced diabetic rats. *International Journal of Nanomedicine*, 10, 6741–6756. <https://doi.org/10.2147/IJN.S91377>
- [12]. Al-Rasheed, N. M., Al-Rasheed, N. M., Bassiouni, Y. A., Hasan, I. H., Al-Amin, M. A., Al-Ajmi, H. N., & Mahmoud, A. M. (2018). Simvastatin ameliorates diabetic nephropathy by attenuating oxidative stress and apoptosis in a rat model of streptozotocin-induced type 1 diabetes. *Biomedicine & Pharmacotherapy*, 105(April),



290–298. <https://doi.org/10.1016/j.biopha.2018.05.130>

- [13]. Al-Sayyari, A. A., & Shaheen, F. A. (2011). End stage chronic kidney disease in Saudi Arabia. A rapidly changing scene. *Saudi Medical Journal*, *32*(4), 339–346. Retrieved from <http://www.ncbi.nlm.nih.gov/pubmed/21483990>
- [14]. Al-Khader, A. A. (2001). Impact of diabetes in renal diseases in Saudi Arabia. *Nephrology Dialysis Transplantation*, *16*(11), 2132–2135. <https://doi.org/10.1093/ndt/16.11.2132>
- [15]. Alavi, A., Sibbald, R. G., Mayer, D., Goodman, L., Botros, M., Armstrong, D. G., Woo, K., Boeni, T., Ayello, E. A., & Kirsner, R. S. (2014a). Diabetic foot ulcers: Part I. Pathophysiology and prevention. *Journal of the American Academy of Dermatology*, *70*(1), 1.e1-1.e18. <https://doi.org/10.1016/j.jaad.2013.06.055>
- [16]. Alavi, A., Sibbald, R. G., Mayer, D., Goodman, L., Botros, M., Armstrong, D. G., Woo, K., Boeni, T., Ayello, E. A., & Kirsner, R. S. (2014b). Diabetic foot ulcers: Part II. Management. *Journal of the American Academy of Dermatology*, *70*(1), 21.e1-21.e24. <https://doi.org/10.1016/j.jaad.2013.07.048>
- [17]. Alberti, K. G. M. M., & Zimmet, P. Z. (1998). Definition, diagnosis and classification of diabetes mellitus and its complications. Part 1: Diagnosis and classification of diabetes mellitus. Provisional report of a WHO consultation. *Diabetic Medicine*, *15*(7), 539–553. [https://doi.org/10.1002/\(SICI\)1096-9136\(199807\)15:7<539::AID-DIA668>3.0.CO;2-S](https://doi.org/10.1002/(SICI)1096-9136(199807)15:7<539::AID-DIA668>3.0.CO;2-S)
- [18]. Aldahmash, B. A., El-Nagar, D. M., & Ibrahim, K. E. (2016). Attenuation of hepatotoxicity and oxidative stress in diabetes STZ-induced type 1 by biotin in Swiss albino mice. *Saudi Journal of Biological Sciences*, *23*(2), 311–317. <https://doi.org/10.1016/j.sjbs.2015.09.027>
- [19]. Alegre-díaz, J., Ramirez, R., Hill, M., & Phil, D. (2017). Europe PMC Funders Group Diabetes and Cause-Specific Mortality in Mexico City. *New England Journal of Medicine*, *375*(20), 1961–1971. <https://doi.org/10.1056/NEJMoa1605368>
- [20]. Alfonso-Muñoz, E. A., Burggraaf-Sánchez de las Matas, R., Mataix Boronat, J., Molina Martín, J. C., & Desco, C. (2021). Role of oral antioxidant supplementation in the current management of diabetic retinopathy. *International Journal of Molecular Sciences*, *22*(8). <https://doi.org/10.3390/ijms22084020>
- [21]. Algotar, A. M., Stratton, M. S., Stratton, S. P., Hsu, C.-H., & Ahmann, F. R. (2010). No Effect of Selenium Supplementation on Serum Glucose Levels in Men with Prostate Cancer. *The American Journal of Medicine*, *123*(8), 765–768. <https://doi.org/10.1016/j.amjmed.2010.02.018>
- [22]. Ali, Zabiullah, Levine, B., Ripple, M., & Fowler, D. R. (2012). Diabetic ketoacidosis: A silent death. *The American Journal of Forensic Medicine and Pathology*, *33*(3), 189–193.

<https://doi.org/10.1097/PAF.0b013e31825192e7>

- [23]. Ali, Zeeshan, Ahmed, S. M., Bhutto, A. R., Chaudhry, A., & Munir, S. M. (2012). Peripheral artery disease in type II diabetes. *Journal of the College of Physicians and Surgeons Pakistan*, 22(11), 686–689. <https://doi.org/11.2012/JCPSP.686689>
